

მთაწერიშვილის და ამხ. წიგ. მალაზიის გამოცემა

ნ. ს. ჯორჯიკია

სახელმწიფოებრივი

დევანსტრუქციონი

(ავტონომია და ფედერაცია)

იურიდიული მონოგრაფია

წიგ. I.

ფასი 2 მან.

ქუთაისი 1918 წ.

თერაპიისა და ამხ. სტამბა

წიგ. I
ფასი 2 მან.



ნ. ს. ჯორჯიკია

სახელმწიფოებრივი

28936

დესენსკრულიზაცია

(ავტონომია და ფედერაცია)

იურიდიული მონოგრაფია



ქუთაისი 1918 წ.

საესე გრძნობით

პირილე გეჟანის-ქე

ლორთქიფანიქეს

უძღვნის ამ წიგნს

ავტორი.

„ავტონომია“ და „ფედერაცია“ — ამ მომენტის
ლოზუნგები, რომელთაც ისეთსავე დიდ მნიშვნელო-
ბას მიაწერენ ნაციონალურ საკითხში, როგორსაც
მიაკუთვნებენ დემოკრატიულ პრინციპს პოლიტიკურ
უფლებათა დანაწილების სფეროში და სოციალის-
ტურ იდეალს ეკონომიუო მხარეში. ადვილად გასა-
გებია ამიტომ ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენს
საზოგადოება აღნიშნულ პოლიტიკურ ინსტიტუტებში-
სადმი. მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცნო-
ბათმოყვარეობა ამ საკითხში კიდევ უფრო სუსტა-
დაა დაკმაყოფილებული, ვინემ რომელსავე სხვა დარგ-
ში. თუ, მაგ., შეკითხვაზე: „რა არის სოციალიზმი?“
ჩვენ დაუყონებლივ ვღებულობთ მოქალაქისაგან ამ-
სურდულ პასუხს: „სოციალიზმი საკუთრების უაწყო-
ფაა-“ (*), — ამავე დროს ჩვენს სრულიად უბრალო
შეკითხვებზე: „რა არის პროვინციალური ავტონო-
მია?“ და „რით განსხვავდება იგი სახელმწიფოებრივ
ავტონომიისაგან?“ ჩვენ ვერავითარ პასუხსაც ვერ

*) იხ. ამ საყოველთაოდ გავრცელებულ უკლებ-
მარტების ენერგიული და სამართლიანი კრიტიკა წიგნაკში:
Проф. И. И. Иванюковъ. Очерки экономической поли-
тики 1904, გვ. 105—107. აქ (გვ. 106), სხვათა შორის,
ვკითხულობთ: „Шеффле, по поводу распространенна-
го невернаго представления объ отношеніи социализ-
ма къ частной собственности, замѣчаетъ, что пора
поближе ознакомиться съ социалистическими учениями,
хотя бы уже для того, чтобы отнять у коноводовъ
революціоннаго социализма возможность пользоваться

ვლებულობთ. ხოლო რა უნდა ითქვას სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის უფრო რთულ და ძნელი საკითხებზე: მათი არსებობაც კი არ არის გათვალისწინებული...

რასაკვირველია, ზნეობრივი პასუხისმგებლობა ამ თეორეტიულ უვიცობისათვის და, მაშასადამე, პოლიტიკურ მოუმზადებლობისათვისაც თვით საზოგადოებას ვერ მიეწერება. არ აგებს პასუხს საზოგადოება პირველად ყოვლისა იმიტომ, რომ ქვემდებარე პრობლემის სრულს და უნაკლოდ გაშუქებას ჩვენ დღემდის ვერ ვპოულობთ თვით მეცნიერებაში. დღესაც არ არის მიღწეული მეცნიერთა შორის შეთანხმება სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათათვის საყოველთაო ტერმინოლოგიის შემუშავებაში; დღემდის არსებობენ ერთდროულად და ებრძვიან ერთმანეთს ამ მოვლენათა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაციები. ტერმინოლოგიათა ასეთი სხვადასხვაობა და კლასიფიკაციათა სიმრავლე თვით სპეციალისტებსაც კი აბნევს. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ნაკითხი სახელმწიფოებრივ უფლების

въ своихъ интересахъ этимъ невѣжествомъ общества и прессы и разжигать злобу массъ, представляя имъ ложные взгляды прессы на социализмъ, какъ инсинуацію, умышленное извращеніе теоріи, съ цѣлью смѣшать ее съ каннибальствомъ и тѣмъ запугать общество“. ეგ „პორა поближе ознакомиться съ социалистическимъ учениемъ!“ საშინელი ირონიაა, როდესაც თვით სოციალისტების და სოციალიზმის პროფესიონალ კრიტიკოსებისადმი არის მიმართული.

საკითხებში ავტორი, როგორც ვ. ვოდუნოვიჩი, რომელიც ბროკჰაუს-ეფრონის „ახალ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ავტონომიის ერთს განმარტებას იძლევა, ხოლო სულ რამდენიმე თვის შემდეგ გრანატის ენციკლოპედიაში დაბეჭდილ სტატიაში უკვე სხვაგვარ განმარტებას ათავსებს (იხ. ამის შესახებ ქვემო). მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სავალალო არა ეს ტერმინოლოგიათა და კლასიფიკაციათა სიმრავლეა, არამედ ის გარემოება, რომ არც ერთი ამ ტერმინოლოგიათაგანი არ არის დამაკმაყოფილებელი და არც ერთი ამ კლასიფიკაციათაგან — სავსებით გამოსადეგარი.

ქვემდებარე გამოკვლევაში ჩვენ გვევალება — განვაფიქროთ და დავასაბუთოთ ჩვენი უარყოფითი დახასიათება და დაფასება სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობისა. მაგრამ, რა გინდუნს უნდა სურათს წარმოგვიდგენდეს ეს მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აქ ვხვდებით რამდენსამე, თუმცა „იურიდიულად“ ნაკლოვან, მაგრამ თავისთავად ლოგიკურად სწორ კლასიფიკაციას და სიწმიდით დაცულ ტერმინოლოგიულ სისტემას. და თუ, ერთის მხრით, ვერაფერს მოსთხოვს საზოგადოებას ზედმიწევნით სწორ და სრულყოფილ ცოდნას ისეთ საკითხებისას, რომელთა დამუშავება ჯერ თვით მეცნიერებაშიც არ დამთავრებულა, — მეორეს მხრით, ყოველ პოლიტიკურად მომწიფებულ

და თვითცნობიერ საზოგადოებისათვის სავალდებუ-
 ლოა—მტკიცედ დაეუფლოს იმ ნაკლულოვან, მაგ-
 რამ მაინც დიდად სასარგებლო ცოდნას, რომელსაც
 უკვე ღღეს გვაწვდის მეცნიერება საჭირობოროტო
 პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა საკითხების შესა-
 ხებ. როგორც ვიცით, ცხოვრებისათვის აუცილე-
 ბლად საჭირო თეორეტიულ ცოდნის მეცნიერებიდან
 საზოგადოებრივ შეგნებაში გადმონერგვა და აქ მისი
 ფართო გავრცელება პოპულიარულის სახით ე. წ.
 პუბლიცისტიკის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს.
 მაგრამ დამალონებელ სინამდვილედ გვევლინება სწო-
 რედ ის ფაქტი, რომ ქართველობას, რომლის ნა-
 ციონალური თვითშეგნება, სხვადასხვა პოლიტი-
 კურ მიმართულებებში განსახიერებულნი, ერთსულო-
 ვნად მოითხოვს სამშობლოსათვის ფართე ავტონო-
 მიას, ხოლო ერთ ამ მიმართულებათაგანის პირით
 ერების ფედერაციის საჭიროებაზე ლაღადებს,—ამ
 ქართველობას არც ავტონომიის და არც ფედერა-
 ციის შესახებ არ მოეპოვება მშობლიურ ენაზე არამც
 თუ განვითარებული სპეციალური სამეცნიერო ლი-
 ტერატურა,—ორიგინალური თუ ნათარგმნი,—არა-
 მედ თვით მცირეოდენად დამაკმაყოფილებელი პუ-
 ბლიცისტური მწერლობაც-კი. ქვემოდ ჩვენ დავი-
 ნახავთ, თუ რა ზღაპრული ცნობებით სახელმწი-
 ფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის შესახებ
 უმასპინძლდებიან ჩვენი პუბლიცისტები ქართველი
 მკითხველის ცნობათმოყვარეობას. ქართული პუბ-

ლიცისტიკა ვერ ასრულებს პირნათლად ზემო-განსარტებულ დიად თვის მისიას, და ეს არის მთავარი მიზეზი ფართე საზოგადოების ქვემდებარე საკითხში თეორეტიულ ჩამორჩენილობისა.

ყველაფერი ზემო-თქმულით ირკვევა ის ოთხი მიზანი, რომელიც უნდა დაისახოს ქვემდებარე გამოკვლევამ:

1⁰. უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვსურს მოვაწოდოთ აქ მკითხველს დაუშახინჯებელი და საკმაოდ სავსე სურათი სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის თანამედროვე მდგომარეობისა მცენიერებაში; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სატერმინოლოგიო და საკლასიფიკაციო სისტემების სიმრავლის გამოაშკარავებას და მათი ერთმანეთისაგან სასტიკ გამიჯნვას.

შემდეგ, რაკი ზემოთ უარყოფითად დავახასიათეთ ქვემდებარე პრობლემის დაუშახვების თანამედროვე მდგომარეობა როგორც თვით მცენიერებაში, ისე—განსაკუთრებით—ქართულ პუბლიცისტიკაში, —ამით დაგვევალა ჩვენი უარყოფითი დახასიათება შესაფერისი დასაბუთებით გავამართლოთ და მაშასადამე:

2⁰. გამოვარკვიოთ სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათა სხვადასხვა იურიდიული კლასიფიკაციების და ტერმინოლოგიების უფარგოსობა (აქ მთავარ ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ იმ პრინციპების განმარტებას, რომელითაც დამყარდება

ჩვენი კრიტიკა ტრადიციონურ შეხედულებათა) და
 3⁰. დავანახვით მკითხველს კონკრეტულ მაგა-
 ლითებზე, თუ როგორ საბოლოოდ მახინჯდებიან
 შემდეგ ეგ უმისოდაც ნაკლებლოვანი იურიდიული
 თეორიები ჩვენი პუბლიცისტების უმსგავს გადმო-
 ცემაში.

აღნიშნულ ისტორიულს და კრიტიკულ ნაწი-
 ლებს დაერთობა, დასასრულ, დოგმატიური ნაწილი
 გამოკვლევისა, სადაც ჩვენ —

4⁰. წარვადგენთ მკითხველის სამსჯავროდ სა-
 კუთარ მოსაზრებებს სახელმწიფოებრივ დეცენტრა-
 ლიზაციის პრობლემის მეთოდოლოგიურ და არსე-
 ბითი საკითხების შესახებ.

სახელმწიფოებრივი

დახანსრავლიჯანია

რომელიმე საკითხის მეცნიერულა დამუშავების ისტორიის გაცნობა ორის გზით შეიძლება: საკუთრად-ისტორიული განხილვით და სისტემატიური შესწავლით. — როდესაც ჩვენ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში მოქცეულ ინტელექტუალურ მოვლენათა ხასიათი შესწავლილი გვაქვს არსებითი მხრით და მხოლოდ გვსურს გამოვირკვიოთ ის რიგი, რომელშიდაც მოვლენანი მიმდინარეობდნენ და მისდევდნენ ერთმანეთს დროის მსვლელობაში, — მაშინ ჩვენ საკითხის საკუთრად-ისტორიულ (ევოლიუციონურ) განხილვას მივმართავთ. მაგრამ შესაძლებელია — ჩვენ თავთ რიგი მოვლენათა ისტორიულ თანადევნისა იმდენად არ გვინტერესებდეს, რამდენადაც გვესაქიროებოდეს კაცობრიობის მიერ რომელსამე ინტელექტუალურ დარგში გაწეულ მუშაობის ხასიათის გამორკვევა არსებითი მხრით; ასეთ შემთხვევისათვის უფრო გამოსადგვარია სისტემატიური განხილვა. სისტემატიური განხილვაც, ბოლოს და ბოლოს, ისტორიულ ცოდნას იძლევა, რამდენადაც იგი უკლებლივ ამოსწურავს ყველა ამ მოვლენებს, რომელთაც ეხება საკუთრად-ისტორიული განხილვა; განსხვავება მათ შორის არა სამე-

ცნიერო ობიექტის სხვადასხვაობაშია, არამედ მასალათა განსხვავებულ დალაგებაში, დამოკიდებულად იმ გნოსეოლოგიურ ინტერესების სხვადასხვაობისაგან, რომელთაც ემორჩილება კვლევადობა პირველს და მეორე შემთხვევაში. სისტემატიური დალაგება მასალებისა გვაძლევს მთლიან წარმოდგენას იმ ცოდნაზე, რომელიც შეგროვებულა განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში, საკუთრად-ისტორიული განხილვა მოგვითხრობს, თუ ვცოდნა რა რიგ გრძობდა.

ვინაიდან ქვემდებარე გამოკვლევას უფრო თეორეტიული ინტერესი ამოძრავებს, ვიდრე წმინდა-ისტორიული, — ცხადია, რომ სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხისათვის ჩვენ ვარჩიეთ უფრო ძნელი სახე განხილვისა — სისტემატიური შესწავლა. ისტორია ამ საკითხის დამუშავებისა არც წარმოადგენს, მასთანავე, რაიმე განსაკუთრებულ ინტერესს. იგი — ხანმოკლეა: პრობლემის ინტენსიური დამუშავება მხოლოდ 70-ან წლებში დაიწყო. თუმცა მანამდინაც არსებობდნენ ფედერატიული სახელმწიფოები, და, მაგ., უკვე ტოკუიჯი ძლიერ დაინტერესებულყო ამ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტის იურიდიული კონსტრუქციის გამოძიებით, მაგრამ სისტემატიური და განუწყვეტელი დამუშავება სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხისა დაიწყო — ჯერ გერმანეთში და შემდეგ დანარჩენ ქვეყნებშიც — მხოლოდ გერმანეთის სახელმწიფოებრივ

კავშირის შექმნის შემდეგ, მაშინ პირველად იქნა წარმოყენებული ძნელი პრობლემა ე. წ. „არასუვერენულ სახელმწიფოსი“ და მასთან ერთად ის თავსამტვრევი ამოცანაც, რომელიც სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის დედა-ძარღვად არის მიჩნეული: რით განირჩევა ეგ „არასუვერენული სახელმწიფო“ ავტონომიურ პროვინციისაგან? მას შემდგომ, 45 წლის განმავლობაში, ქვემდებარე საკითხები განუწყვეტლივ მუშავდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა საერთო თანამშრომლობით, და ამ თანამშრომლობის ისტორიული განვითარების შესწავლა მაინცა და მაინც ვერავითარ განსაკუთრებულად თვალსაჩინო მეცნიერულ დაკვირვებებს ვერ იწვევს გონებაში, თვით ცოდნის ეკლექტიკის ხსნათის შესწავლისათვის საკულისხმოს*).

საგნის სისტემატიური განხილვა, როგორც ეს-თქვით, ჩვენ გვესაჭიროება იმისათვის, რომ იგი უებარი საშვალეება საკითხის არსებაში ჩაწვდომისა. მთლიან და შინაგან ლოლიკურად გაერთიანებულ ცოდნის შედგენისა. სისტემატიკა შესაძლებლად ხდის, ერთის მხრით, მთელი აუარებელი მასალის ერთბაშად თვალის გარდავლებას და მეორე მხრით, ყოველი წვრილმანისათვის მისი განსაკუთრებული ადგილის მოძებნას ამ გაერთიანებულ მთლიანობაში. სისტემატიური ცოდნა, მაშასადამე, პირობაა მოვ-

*) იხ. კერძოდ ფედერალიზმის თეორიების ისტორიული განხილვა წიგნში: Проф. А. А. Жилинъ. Теорія союзнаго государства, Киевъ. 1912, გვ. 10—118.

ლენებში სწორ და სწრაფ ორიენტაციისა. ის, რაც ჩვენ ზემო სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათა კლასიფიკაციების მრავალრიცხოვანობაზე ვსთქვით, თავისთავად გულისხმობს მათი განხილვის სისტემატიზაციის განსაკუთრებულ საჭიროებას. მკვლევარნი ამ საჭიროებას გვერდს უვლიდნენ და დაუკმაყოფილებლად სტოვებდნენ, სწორედ ამით აიხსნება ის დაბნეულობა და გამოურკვევლობა, რომლის მსხვერპლი არა მარტო დასახლებული ვადფოზოვია, არამედ, როგორც დავინახავთ, აკადემიკოსი, დეუგიცი, დასი, ლაზარევიჩი და მრავალი სხვა საუკეთესო მკვლევარი. ამგვარად ის სისტემატიური განხილვა მეცნიერებაში და ცხოვრებაში არსებულ სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათა კლასიფიკაციებისა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვიძლევიტ, თუ არ ვცდებით, პირველი ცდაა ამ მიმართულებით. ყველგან სპეციალურ ნაწერებში ჩვენ ვხვდებოდით მხოლოდ თეორიების უსისტემო ჩამოთვლას და კრიტიკას. გარდა საკითხში სისტემატიზაციის შეტანისა, ჩვენ ვეცადეთ აგრეთვე, რომ განხილვა საკმაოდ სავსეც ყოფილიყო; არც ერთ სპეციალურ გამოკვლევაში, რამდენადაც-კი ცოდნა გაგვწვდებოდა, ჩვენ არ გვევლინებოდა კრთად შეკრიფი ყველა ის ცნობა სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათა სხვადასხვა იურიდიულ კლასიფიკაციების შესახებ, რომელსაც აწვდის მკითხველს ქვემდებარე ნაშრომი. არა ერთხელ

ჩვენ, არსებულ კლასიფიკაციის გვერდით, ვიძლევიტ
აგრეთვე მის მსგავს შესაძლებელ კლასიფიკაციასაც,
ჩვენ-მიერ პირველად წარმოყენებულს, როდესაც
ამ უკანასკნელის ლოგიკური *raison d'être* არას-
ფრით ჩამოუვარდება იმ კლასიფიკაციის ღირებუ-
ლებას, რომლის მსგავსადაც იგი იქნა აგებული.—
რომ უფრო გავეუადვილოთ მკითხველს თარიენტაცია
აუარებელ მასალაში, ჩვენ აქვე ვათავსებთ სახელ-
მძღვანელო ტაბულას, რომელიც შეიცავს სრულს
„კლასიფიკაციათა-კლასიფიკაციას“ და მასთანავე ჩვენ
სისტემატიური განხილვის გეგმის როლსაც ასრუ-
ლებს. მკითხველი თავშივე გარდაავლებს თვალს ამ
სქემას და შემდეგ განმეორებით შიმართავს მას ამ
წიგნის კითხვის დროს, საჭიროებისამებრ.

საკლასიფიკაციო ტაბულა

სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის სამეცნიერო კონსტრუქციებისა.

A). ეტიმოლოგიური კონსტრუქციები:

1. წმინდა-ეტიმოლოგიური კონსტრუქციები:

a) ავტონომია — „თვითკანონმდებლობა“;

b) ავტონომია — „თვითმართველობა“;

2. ეტიმოლოგიური კონსტრუქცია ლოგიკური შესწორებით.

B). ცხოვრებაში მიღებულ ტერმინოლოგიისაგან დამოკიდებული კონსტრუქციები:

ა. გენეტიური კონსტრუქცია;

ბ. კონსტრუქციები, რომელნიც დამფუძნებელ ფუნქციის სხვადასხვაგვარ განხორციელების კომპეტენციის ტიპების კლასიფიკაციას ეყრდნობიან, — კერძოდ:

1. თვითმართვის ტიპების კლასიფიკაციას,

2. Kompetenz-Kompetenz-ის ტიპების კლასიფიკაციას;

გ. კონსტრუქციები, რომელნიც ჩვეულებრივი საკანონმდებელ ფუნქციის განხორციელების იურიდიულ ხარისხის განჩევით ხელმძღვანელობენ, — კერძოდ:

1. საკანონმდებლო კომპეტენციის ფიქსაციას მიაწერენ მნიშვნელობას,

2. საკანონმდებლო კომპეტენციის სასესიობას შიამთავრებენ უურადლებას;

C). პოლიტიკური კონსტრუქციები:

a) „იურიდიული“;

b) მეტა-იურიდიული.

I

A). თანახმად ჩვენი სქემისა, ჩვენ განვიხილავთ წინდაწინ უმარტივეს კონსტრუქციებს, რომელნიც სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარეობენ, ე. ი. ცდილობენ დაახასიათონ მოვლენა მისა სახელწოდების მნიშვნელობის განმარტებით. ამ კატეგორიის კონსტრუქციათა შორის ჩვენ ვხვდებით პირველად ყოველისა ორს წმინდა — ეტიმოლოგიურ განმარტებას, რომელთა სხვადასხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ერთი მათგანი სახელწოდების სწორ თარგმანს იძლევა, მეორე კი მას უფრო თავისუფლად და ფართოდ სთარგმნის, — და შემდეგ კიდევ ერთს კონსტრუქციას, რომელიც აგრეთვე ეტიმოლოგიური ანალიზიდან გამომდინარეობს, მაგრამ სემასიურ განმარტებაში დამატებითი ლოლიკური ხასიათის შესწორება შეაქვს. აი ეგ სამი კონსტრუქცია:

I, a) სწორი მნიშვნელობა სახელწოდებისა „ავტონომია“ არის „თვითკანონმდებლობა“ („ავტოს“ თვით, „ნომოს“ კანონი). თანახმად იმ განმარტებისა, რომელიც ამ თარგმანს ეყრდნობა, „ავტონომიურად“ უნდა იქნეს მაჩნეული ყოველი კოლლექტივი, რომელსაც-კი გააჩნია კანონმდებლობის უფლება: ვინაიდან სახელმწიფოებრივი უფლების მეცნიერება, რომელიც ამ შემთხვევაში „კანონი“-ს ფორმალურად განმარტებით ხელმძღვანელობს, ასეთს უფლებას მიაკუთვნებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ყოველ „არა-სახელმწიფოებრივ“ ერთეულსაც-კი.

თუ ამ უკანასკნელს გააჩნია თავისი საკუთარი „პარლამენტი“ *), ამიტომ ავტონომიურ ერთეულებად, თანახმად ზემოაღნიშნულ ეტიმოლოგიურ კონსტრუქციისა, გამოცხადებულ უნდა იქმნენ შემდეგნი: 1. „სუვერენული სახელმწიფოები“, 2. „არასუვერენული სახელმწიფოები“ და 3. „არასახელმწიფოებრივი“ პარლამენტიანი პროვინციები. სრული მეცნიერული გამოუსადეგრობა ამგვარ „კონსტრუქციისა“ დღესავით ნათელია. უწინარეს ყოვლისა იგი ერთს ცხრილში უყრის თავს სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს და არავითარ ნიშანს არ იძლევა მათი ერთმანეთისაგან განარჩევისათვის; ამ განმარტების თანახმად, „არასახელმწიფოებრივი“ პარლამენტიანი პროვინციაც, მაგ., სწორედ ისეთივე „ავტონომიური“ ერთეულია,

*) თუმცა საკითხი ჩვენი კვლევის პირდაპირ საგანს არ შეადგენს, ჩვენ მაინც იძულებული ვხდებით ვაკვიროთ აღვნიშნოთ აქ ის საბედისწერო ცდომილება, რომელიც სახელმწიფოებრივ უფლების მეცნიერების თვით საძირკველს არყევს და მაინც სრულიად (?) შეუმჩნეველი რჩება სპეციალისტებისათვის. ეს ცდომილება აშკარა *circulus vitiosus*-ია:

კანონს, ამ მცნების ფორმალური მნიშვნელობით, განმარტავენ, როგორც „პარლამენტის აქტს“. ცხადია, რომ ეს განმარტება სავსებით დამაკმაყოფილებელია, როცა გამოიკვეთილია, თუ რა არის „პარლამენტი“. მაგრამ თვით „პარლამენტის“ განმარტება, თავის მხრით, „კანონის“ განმარტებას გულისხმობს და იყრდნობა: „პარლამენტი—საკანონმდებლო დაწესებულებააო“. ამგვარად „კანონი“ განმარტებულია „პარლამენტით“, „პარლამენტი“—კი—„კანონით“,—ამიტომაც არც ერთი მათგანი განმარტებული არ არის.—რომ ქალაქის საბჭოს დადგენი-

როგორც თვით სუვერენული სახელმწიფო. შემდეგ ირკვევა, რომ ამგვარად განმარტებული მცნება, საზოგადოდ, არავითარ ახალ კოდას არ გვძენს: „ავტონომიური“, თანახმად ამ განმარტებისა, უბრალოდ სინონიმია სიტყვებისა: „საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი“ და სხვა არასტერი ამიტომაც კვემდებარე ტერმინი ამ მნიშვნელობით ზედმეტი ბარგია მეცნიერებისათვის.

1, ბ). მეორე განმარტება, აგრეთვე წმინდა-ეტიმოლოგიური, როგორც ვსთქვით, „ავტონომიის“ უფრო თართო და თავისუფალ თარგმანს იძლევა. თარგმანის უსწორობა გამოწვეულია იმ ვარაუდებით, რომ „კანონ“-ს ამ შემთხვევაში ისეთივე განსაზოგადოებული და თან ბუნდოვანი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული, როგორითაც იგი ჩვეულებრივად

ლებანი „კანონს“ არ წარმოადგენენ, — ეგ სრულიადაც არ მტკიცდება იმ მოსაზრებით, რომ „ქალაქის საბჭო პარლამენტი არ არის“. უწინარეს უნდა დამტკიცებულ იქნეს სწორედ ის, რომ ქალაქის საბჭო არ არის პარლამენტი. რაც თავის მხრით გამოურკვეველი რჩება, ხანამ არ არის გამორკვეული: წარმოადგენენ, თუ არა, ქალაქის საბჭოს დადგენილებანი „კანონ“-ს? ამ ლოღოვებულ თერაპიისაგან ვერ გვიხსნის შეხედულება, რომ „კანონი“ ია უბოლღესი სანქციით აღჭურვილი აქტია, რომელსაც ებოლოლები: ყველა სხვა დაწესებულებათა დადგენილებანი და რომ, მაშასადამე, „პარლამენტიც“ მხოლოდ იმ დაწესებულებას უნდა ეწოდოს, რომელიც სცემს ასეთ მონობოლურ იურიდიულ ძალის აქტებს. თუცა სახელმწიფოებრივი უფლების მეცნიერება მართლაც იძლევა „კანონის“ და „პარლამენტის“ მცნებათა ამგვარ განმარტებებს, მაგრამ იგი თვითვე აბათილებს მათ, როდესაც სცნობს „სახელმწიფოს სახელმწიფოში“ და, მაშასადამე, ერას

ხმარება ცხოვრებაში მოქალაქეთა-მიერ. ჩვენი პოლიტიკურად განუვითარებელი მოქალაქისათვის, როგორც ვიცით, ყოველი ადმინისტრაციული დადგენილება, მაგ., „კანონი“-ა, და საზოგადოთ ეგ მცნება ამოსწურავს მისთვის სახელმწიფოებრივ ფუნქციების ყველა დარგს. თუ, მეორეს მხრით, ჩვენ ვამჩნევთ, რომ იმ ყალბ ეტიმოლოგიურ შეხედულებისათვის, რომელსაც ვარჩევთ, დამახასიათებელია აგრეთვე „ვეტონომიის“ მაგიერ იმავე მნიშვნელობით სხვაგვარ მცნების-„თვითმართველობის“ ხმარება, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ სიტყვა „მართველობა“-ც აქ სწორედ ისევე ფართოდ და ბუნდოვანად არის ხმარებული, მოქალაქეთა იმავე ყოველდღიურ ენის ზეგავლენით, როგორც „კანონი“. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგები რჩება ჩვენთვის, როდესაც

სახელმწიფოში—რამდენსამე პარლამენტს და კანონმდებლობას. კვებეკისათვის, მაგ., უმაღლეს დადგენილებას, რომელსაც ემორჩილებიან ყველა სხვა წყაროთაგან—გამომდინარე ნორმები, წარმოადგენს მხოლოდ ინგლისის პარლამენტის აქტი; მიუხედავად ამისა, „კანონად“ მიჩნეულია არა მარტო ეს აქტი, არამედ აგრეთვე კანადის „პარლამენტის“ აქტიც და თვით კვებეკის „პარლამენტის“ დადგენილება. თუ ამგვარ წინააღმდეგობის ასაცილებლად „კანონის“ და „პარლამენტის“ შემოადინიშნულ განმარტებებს ცოტაოდენ შევცვლით და იმ შინაარსს მივაწერთ, თითქოს „პარლამენტად“ აღიარებდენ სახელმწიფოს საკუთარ უმაღლეს (და, რასაკვირველია, მთავარ აღმასრულებელ ორგანოსაგან მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელ) ორგანოს, ხოლო „კანონად“ ამ ორგანოს აქტს,— მაშინ ჩვენ სხვაგვარ უხერხულობას გარდავეყრებით: ამ შესწორების წყალობით „კანონის“ და „პარლამენტის“ განმარტებანი ჰკარგავენ თვის დამოუკიდებლობას „სა-

აღმოვაჩინო, რომ ქვემდებარე შეხედულებისათვის მცნება „ავტონომია“, იგივე „თვითმართელობა“, მოიცავს სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოვლენათა ბევრად უფრო ვრცელ სამფლობელოს, ვიდრე ის შედარებით ვიწროთ შემოფარგლული წრე, რომელიც, როგორც ვხედავდით, გულისხმობს მხოლოდ „საკანონმდებლო დაწესებულებებით“ („პარლამენტებით“) აღჭურვილ კალექტივებს. მაგრამ საგულისხმო მცნების მნიშვნელობის ასეთ გაფართოებაში იმდენად ის გარემოება არ არის, რომ მისი წყალობით კონსტიტუციონალურ უფლების წმინდა მცნება უეცრად ადმინისტრაციულ უფლების დარღშიაც ამოჰყოფს თავს — არამედ ის გარემოება, რომ მცნების სამეცნიერო ასპარეზი სცილდება თვით სახელმწიფოებრივ უფლების საზღვრებს და სამოქა-

ხელმწიფოს“ განმარტებისაგან. იმ წინააღმდეგობათაგან, რომელნიც ამ გარემოებიდან ტრადიციონალურ სახელმწიფოებრივ უფლების მეცნიერებისათვის გამოძღინარეობენ, ჩვენთვის საკმარისია აღვნიშნოთ აქ ერთი: თუ „პარლამენტი“ სახელმწიფოს საკუთარი უმაღლესი (აღმასრულებელი ორგანოსაგან დამოუკიდებელი) ორგანოა, რა საფუძველით ეწოდოს „პარლამენტი“, მაგ., ავსტრიის „საგვირგვინო მიწების“ სემებს, როდესაც ამ პროვინციათაგან არც ერთი „სახელმწიფო“ არ არის მიჩნეული? — ვინც ან წინააღმდეგობისაგანაც მოი უფლებდა თავის დაღწევას და ამ მიზნით ამოშლიდა საბედისწერო ფორმულიდან სიტყვას „სახელმწიფოს“, მას კიდევ უფრო უმწიფო მდგომარეობაში ჩააგდებდა საკითხი:

თუ „პარლამენტი“ „სახელმწიფო“-ს განსაკუთრებული ატრიბუტი არ არის და თუ, მაგ., ქალაქ პეტრონსა და ქალაქ ჰამბურგს შუა, სახელმწიფოებრივი უფლების ევალსაზრისით, მხოლოდ ის განსხვავება არსებობს, რომ პარ-

ლაქო (კერძო) უფლების ტერიტორიასაც კი იერთებს: აკი გვარწმუნებენ, თათქოს, მაგ, გერმანეთის მეფე-ბატონიშვილებს, თავადებს და უმაღლეს აზნაურობას მინიჭებულა ჰქონდესთ ავტონომიური საფჯახო უფლებანი¹⁾. რომ „ავტონომიის“ მცნებას სამოქალაქო უფლებაში „სამოქალაქო უფლება“ არ მოეპოვება, ეს შემდეგი მოკლე მსჯელობით აშკარავდება: „ავტონომია“ გულისხმობს ორ (ცენტრალურ და პერიფერიულ, — ამ სიტყვების იურიდიულ მნიშვნელობით) „უფლების წყაროების“ (источники права) კომპენტენციათა ერთმანეთისაგან გამიჯნვას, — ჩვენ კი ვიცით, რომ ყველგან, სადაც კი „უფლების წყაროებზე“ გვიხდება ლაპარაკი, ჩვენ უკვე სახელმწიფოებრივ უფლების ნიადაგზე ვიმყოფებით და არამცთუ — კერძო (სამოქალაქო) უფლების ნიადაგ-

ველი მათგანი არ არის მიჩნეული „სახელმწიფოდ“, მეორე კი „ქალაქ-სახელმწიფოს“ წარმოადგენს, — რა საფუძველით ეწოდება ბერლინს ქალაქს თვითმართველობის ორგანოს მხოლოდ „მუნიციპალიტეტი“ იმ დროს, როდესაც ჰამბურგის „სენატსა“ და „ბაურგერშაფტს“, გარდა ამისა, პარლამენტის სახელითაც ადიდებენ! — ყველა ეს საკითხები იმდენადვე განმანადგურებელია, რამდენადაც მოულოდნელი და — პირველი შთაბეჭდილებით — უცნაური სახელმწიფოებრივ უფლების გაყინულ ტრადიციონურ კონცეპციისათვის.

¹⁾ იხ. Водовозов-ის სტატია: „Автономія“ ბროკჰაუზ-ეფრონის „Новый энцикл. слов.“-ში, ტ. 1, გვ. 323—324, აგრეთვე — М. Горенберг-ის სტატია „Политическая энцикл.“-ში, მეორე გამოც., 1 წიგნი, 1906, გვ. 50—51; „Автономія высшего дворянства въ Германіи“.

ზე¹⁾). — „კერძო ავტონომიის“ იურიდიულ შესაძლებლობის უარყოფის შექმნეც, ჩვენ მაინც გვრჩება ხელში სხვადასხვაგვარი ავტონომიების საჭმოდ გრძელად სია²⁾); აქ ვხვდებით არა მარტო ე. წ. „პოლიტიკურ“ (ე. ი. საკანონმდებლო) ავტონომიასა და საზოგადო ხასიათის ადმინისტრატიულ ავტონომიას, არამედ სხვადასხვა გვარ დაწესებულებათა (resp. მათი ფუნქციების) პარტიკულიარულ ავტონომიების ბოელს წყებას; ჩვენ ვტყობილობთ, რომ არსებობს, მაგ. ეკლესიის ავტონომია, სასამართლოს ავტონომია, უნივერსიტეტის ავტონომია და სხვა და სხვა. — ამგვარად მოვლენათა იმ კლასს (პარლამენტთან კოორდექტივებს), რომელსაც ზემო-განხილული პირველი ეტიმოლოგიური კონსტრუქცია პირდაპირ „ავტონომია“-ს მცნებაში გულისხმობს, მეორე ეტიმოლოგიური განმარტება „ავტონომიის“ მხოლოდ კერძო სახედ სთვლას და სპეციალურ „პოლიტიკურ (საკანონმდებლო) ავტონომიის“ სახელით ნათლავს.

დავაპარებთ-რა ქვემდებარე ეტიმოლოგიურ „კონსტრუქციის“ კრიტიკულ დაუასებას, არ უნდა

¹⁾ შეად. Водовозовъ, Автономія, იქვე. — ჩვენი მსჯელობა აქ უნებლიედ უწევს ანგარიშს სახელმწიფოებრივ და სამოქალაქო უფლებათა ტრადიციულ დაპარისპირებას, სულ სხვა საკითხია, რასაკვირველია, თუ რამდენად კანონიერია თვით დაპარისპირება.

²⁾ კიდევ უფრო უმოწყალოდ გაგჩქლებულია ვ. ი. გიერთი ავტორის კალმის ქვეშ, — შეად. ვ. წერეთლის წიგნაკში: „ავტონომია და ფედერაცია“ (წლის აღწერა მწველად), გვ. 3—7: არსებობს „ოჯახის ავტონომია“, რეში ავტონომია“ და სხვა; ამ წიგნაკის შესახებ იხ. ქვემოთ.

დაგვავიწყდეს, რომ საქმე სწორედ სიტყვის განმარტებისათვის გვაქვს და არა თეორიის დამოუკიდებელ მეცნიერულ დასაბუთებასთან. ჩვენ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რა თქმა უნდა, იმის შესაძლებლობაც, რომ ის გაფართოვება „ავტონომიის“ მცნების მნიშვნელობისა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ სიტყვის უვარგის თარგმანით არის გამოწვეული, რომელიმე მკვლევარის კალმის ქვეშ სულ სხვა ნიადაგზე, მეცნიერულ საფუძველზე პოულობდეს მეთოდოლოგიურად შეგნებულ დასაბუთებას. თუმცა ასეთი ნაგულისხმევი თეორიის შექმნა, თუ არ ვცდებით, ჯერ არავის უცდია, მაგრამ სრულიად გამორკვეულია ის გზა, რომელსაც უნდა დადგომოდა მეცნიერი, რომელიც მოისაზრებდა მის დამუშავებას: მას წინდაწინვე უნდა დაემტკიცებინა, რომ სამეცნიერო დებულებანი იჩენენ ადეკვატობას სწორედ ამ ახალ გაფართოვებულ—და არა უწინდელ ვიწრო—კლასის მიმართ. ქვემოთ, თავის ადგილზე, ჩვენ კიდევ გავხედავთ ანალოგიურ სამეცნიერო სამუშაოს პროექტის წარმოყენებას, როდესაც მეთოდოლოგიურის დასაბუთებით მივუთითებთ მკითხველს „ავტონომიის“ მცნების—თუმცა არც ასე გადაჭარბებულ—გაფართოვების საჭიროებაზე. მაგრამ ჩვენს ეტიმოლოგიურ კონსტრუქციას, სამწუხაროთ, სამეცნიერო თეორიის და მეთოდოლოგიის, ვიმეორებთ, არაფერი აცხია, და კრიტიკასაც ამიტომ სრული უფლება ეძლევა მოურიდებლად შეეხოს მას: გარდა

იმისა, რომ განმარტება მხოლოდ სიტყვის უბრალო
თარგმანის ცდას წარმოადგენს, გულუბრყვილოდ-კი
მეცნიერული „კონსტრუქციის“ თანაბრად ისაღებს
თავს (ეგ საერთო ნაკლი ეტიმოლოგიური „კონ-
სტრუქციებისა“!); გარდა იმისა, რომ თვით თარგმა-
ნის როლშიაც იგი ყალბი და უფარგისია; გარდა
იმისა, რომ იურიდიულად აბსურდულ მცნებას ქმნის
— „სამოქალაქო (კერძო) უფლებათა სფეროში ავტო-
ნომიისა“ (იხ. ზემოთ), გარდა ყველა ამ ნაკლულუ-
ვანებათა აღნიშვნისა, ჩვენ იძულებული ვხდებით
დავტვირთოთ უამისოდაც უკვე საკმაოდ დასახიჩრე-
ბული „კონსტრუქცია“ იმ ნაკლულუვანებებითაც,
რომელნიც ზემო პირველს ეტიმოლოგიურ „კონ-
სტრუქციაში“ აღმოვაჩინეთ, — რამდენადაც ყველაფე-
რი, რაც იქ მცნების „ავტონომიის“ შესახებ ითქვა,
აქ უცვლელად უნდა იქნეს განმეორებული მის სი-
ნონიმ-მცნების: „პოლიტიკურ (საკანონმდებლო) ავ-
ტონომიის“ მისამართითაც, — სახელდობრ: 1) მცნება
ერთს ცხრილში უყრის თავს ერთმანეთისაგან განსხვა-
ვებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს (სახელმწიფოებს,
პროვინციებს) და 2) ტერმინი ზედმეტ ბარგს წარმოად-
გენს ტერმინოლოგიისათვის, რადგან ენისათვის უიმი-
სოდაც ადვილად გამოსაგებ სიტყვების მაგიერ მოა-
დგილოებს: „საკანონმდებლო უფლებით აღჭურვი-
ლი“... — ხოლო იმ განსაკუთრებულ კრიტიკულ
შენიშვნებს, რომელსაც იწვევს ესევე კონსტრუქცია
მეთოდოლოგიურ (და არა განხალულ-ეტიმოლო-

გიურ) იადაგზე დამყარებული, ჩვენ გავეცნობით ამ წიგნის სათანადო განყოფილებაში.

2. ის სრულიად ბუნებრივი, საღი ლოლიკიდან გამომდინარე შესწორება, რომელიც შეაქვს ორს განხილულ ეტიმოლოგიურ განმარტებაში მესამე შეხედულებას, შემდეგს მსჯელობაში პოულობს თვის გამოსახულებას: რადგან თავისთავად ცხადია, რომ ყოველი სუვერენული სახელმწიფო სრულიად დამოუკიდებელია თვის შინაგან ფუნქციების განხორციელებაში ყოველგვარი გარეშე (და შინაგანი) ძალისაგან, ამიტომ მისი აღიარება „ავტონომიად,“ ან „პოლიტიკურ ავტონომიად“, ე. ი. საკუთარ კანონმდებლობით აღჭურვილ ინსტიტუტად, ბრწყინვალე პლენონაზმია. ექვი საკუთარ კანონმდებლობის („პარლამენტის“) არსებობაში მხოლოდ არა-სუვერენულ ერთეულების მიმართ თუ დაიბადება, თორემ—რა განსაკუთრებული ხაზის-გასმა სჭირდება იმ ფაქტს, რომ ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფო კანონმდებლობს?! ამიტომაც ქვემდებარე შეხედულება გვიკარნახებს-სუვერენული სახელმწიფოები „ავტონომიურ“ ანუ „პოლიტიკურად ავტონომიურ“ ერთეულების სიიდან გამოვრიცხოთ, და ამ სახელწოდებაში მხოლოდ არასუვერენული კოლექტივები ვიგულისხმოთ.

შესწორება ლოლიკურად აუცილებელი და სამართლიანია, მაგრამ სავსებით, რა თქმა უნდა, ვერ

გვათავისუფლებს უზერხულობისაგან: თვით არასუვე-
რენული კოლექტივების კლასიკ წარმოგვივლენს
მდიდარ იურიდიულ მრავალსახიერებას და შრავალთე-
როვნებას („არასუვერენული სახელმწიფო,“ „პროვინ-
ციალური ავტონომია“ და სხვა:იხ. ამათ შესახებ
ქვემოთ); საერთო სახელწოდება „ავტონომია“ (resp.
„პოლიტიკური ავტონომია“), რომელსაც ყველა
სახე თანასწორად ჰყავს მხედველობაში, საკმარისად
ვერ ჩაითვლება: თვითთელი სახის თავისებურობა
ტერმინში აღუბეჭდველი რჩება.

28936

ამ ნაკლის შევსებას ვერ შესძლებს მეცნიერულ
დისციპლინას მოკლებული მსჯელობა, რომელიც
ხელმძღვანელის როლში ეტიმოლოგიურ ანალიზს
არ თაკილობს. თუ განხილული ეტიმოლოგიური
შეხედულებანი, ლოდიკური სირთულის დაფასების
მხრით, ჩვენ დავახასიათეთ, როგორც უმარტაკესნი, მე-
თოდოლოგიური თვალსაზრისით ისინი გვევლინებიან
როგორც უდარესნი: რიგით ჩვენ შათ ვერც კი
ვეუწოდებთ იურიდიულ თეორიებს, არამედ საფუძვ-
ლიანად უნდა ჩავთვალოთ ჯინგვისტაურ კომენტარზე
აგებულ განმარტებებად. — ეხლა ჩვენ უნდა შევეუ-
ღეთ მეცნიერულის თვალსაზრისით შედარებით უფ-
რო სად და რთულ შეხედულებათა განხილვას.

B). ცნობილია, რომ ცხოვრება ხშირად უსწ-
რებს მეცნიერებას მოვლენათა სისტემატიზაციაში
და ახსნაში. განსაკუთრებით კი საკვირბოლო სა-

კითხვებში ცხოვრება არ უცდის მეცნიერებას და ჩქარობს თვითვე გამოერკვიოს მოვლენათა ქაოსში: იბადება მოვლენათა წინასწარ—მეცნიერული განკლასოვანება. ამგვარად აღმოცენებული კლასიფიკაციისაგან შეუძლებელია, რასაკვირველია, მოველოდეთ განყენებითი შემეცნების თეორეტიული ინტერესების დაცვას: კლასიფიკაცია იქმნებოდა ცხოვრების საჭიროებათათვის და არა მეცნიერების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. პროფ. ჰეტრაჟიცის¹⁾ ეკუთვნის ოსტატური დახასიათება ამგვარ პრაქტიკულ კლასიფიკაციათა შექმნის პროცესის თავისებურობისა და უნაკლულო მეთოდოლოგიური კვალიფიკაცია იმ ცთომილებისა, რომელიც ამ თავისებურ პროცესის აუტალბელი შედეგია. პროცესის თავისებურობა გამოიხატება მის სოციალურად შეუგნებელ მსვლელობაში, მის-მიერ გამოწვეული ცთომილება—ლოდიკურ კლასების მაგიერ მოვლენათა ეკლექტიურ ჯგუფების შექმნაში, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათ მიმართ ადეკვატური თეორიების გამოთქმა (იხ. მცნებების და თეორიების ადეკვატობის მეთოდოლოგიური პრინციპის შესახებ ქვემოთ).

ასეა, თუ ისე, ფაქტიკი ის არის, რომ ძლიერ

1) Введение въ изученіе права и нравственности, მე-3-ე გამოც. 1908, გვ. 47—62; ავტორი სახალხო ენის მაინც ბევრად უფრო მალლა აყენებს, ობიექტიური სიწორის თვალსაზრისით, ვიდრე პროფესიონალურ პრაქტიკულ ტერმინოლოგიას.

ხშირად მეცნიერებას, რომელიც პირველად შესდგომია რომელისავე საკითხის განხილვას და დამუშავებას, უკვე დახვედრია ამ დარგში მოველენათა მზაკლასიფიკაცია და თეორია, ცხოვრების-მიერ საკუთარის ძალებით თვის საჭიროებათათვის სასწრაფოდ შემუშავებული. იბადება საკითხი: რა პოზიცია უნდა დაიკავოს, სამეცნიერო მეთოდოლოგიის თანახმად, მეცნიერებამ ასეთ პრაქტიკულ თეორია-კლასიფიკაციათა მიმართ? ამ პრინციპიალურ საკითხის გარდაჭრამდე-კი უნდა წინდაწინ გამოვარკვიოთ მისგან განსხვავებული კითხვა: რა პოზიცია დაუკავებია აქამდის მეცნიერებას (ჩვენ აქ, რასაკვირველია, მხოლოდ სახელმწიფოებრივ უფლების მეცნიერება გვექნება მხედველობაში) ფაქტიურად ასეთ შემთხვევებში? საკითხის ვითარების დაწკრივებითი გამოძიების შემდეგ ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სახელმწიფოებრივ უფლების მეცნიერებას საზოგადოთ არ სჩვევია ცხოვრებაში საყოველთაო ხმარებაში მიღებულ კლასიფიკაცია-ტერმინოლოგიების უყურადღებოდ დატოვება და ათვალისწინება. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში მეცნიერ-სპეციალისტთა აზროვნება ამ საყოველთაო ყოველდღიურ ტერმინოლოგიას მათდა შეუმჩნევლად დაუმორჩილებია. ბევრია ისეთი მეცნიერიც, რომელიც სამეცნიერო კვლევა-ძიების დანიშნულებად სრულად შეტყუებულად მიიჩნევს სწორედ ამ სახალხო კლასიფიკაციისათვის სამეცნიერო საძირკვლის ამოშენებას, რად-

გან ოდნავადაც არ ექვობს, რომ ასეთი ამოცანა ყოველთვის ადვილი შესასრულებელია. ვინაიდან ხალხური კლასიფიკაციის შექმნა, როგორც ესთქვით, სოციალურად შეუგნებულ პროცესის სახით სწარმოებს, მისი „გამეცნიერების“ პროცესიც, უთუოდ, მისთვის *fundamentum divisionis*-ის შეგნებულ გამოძებნაში უნდა იგულისხმებოდეს, რომ შეუგნებლად აღმოცენებულ კლასიფიკაციას, შემთხვევით, იქნებ, სრულიადაც არ აღმოაჩნდეს ასეთი ზოგადი *fundamentum divisionis*-ი, — ამის ეჭვიც, ცხადია, ამ მიმართულების მეცნიერთა აზროვნებიდან წინდაწინვე გაძევებულია. სწორედ ამგვარად წარმოგვიდგება საქმე ჩვენი კვლევის პიქტაპირი საგნის, სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის დარგში.

აქ, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სამეცნიერო კვლევა ფეხს შემოდგამდა, შემუშავდა მოვლენათათვის განსაზღვრული ოფიციალური და საყოველთაოდ ხმარებული „კლასიფიკაცია“ და ტერმინოლოგია. ინგლისის კოლონიები, ავსტრიის „საგვირგვინო მიწები“, მაგ., მოქცეულია ერთს კლასში; მათთვის სახელწოდებად მიღებულია „ავტონომია“. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული „მტატები“, შვეიცარიის „კანტონები“, გერმანიის კავშირის სამთავროები და რესპუბლიკები („თავისუფალი ქალაქები“) მიწერილი არიან მეორე კლასში; ესენი ცნობილი არიან როგორც (არა-სუვერენული) „სახელმწიფოები“. ბრემენი „სახელმწიფოა“, ავსტრალია მხო-

ლოდ-„ავტონომია“. გერმანია, ბრაზილია, კანადა და სხვ. „ფედერაციები“, ბრიტანეთის იმპერია, ავსტრია-მხოლოდ „უნიტარული სახელმწიფოები“. სადა არის საზომი მოვლენათა ამ განკლასიფიკაციისა? აი ამოცანა სახელმწიფოებრივ უფლებების შეცნობისათვის. ცხადია, რომ ჭეშმარიტად კლასიფიკაციის ცხოვრებაში (და თვით ოფიციალურ წრეებშიაც) შეუგნებლად იქმნებოდა, ე. ი. მისი საფუძველის (fundamentum divisionis-ის) შეუმცნებლად. ესაა შეცნობის მოვალეობა თვით კლასიფიკაციაში ჩაფლულს მის საიდუმლო ლოღობურ საფუძველს ნიღაბი ახადოს და ნამდვილი სახე გაჰოაჩენოს. პრაქტიკული ცხოვრების ტერმინოლოგიის ლოღობური დასაბუთება და გამართლება — აი, ერთის სიტყვითა დედა-აზრი სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის მეორე ტიპის სამეცნიერო კონსტრუქციებისა, რომელთა გაცნობაც გვიხდება ესაა მას შემდგომ, რაც უკვე პირველ რიგში მოვრჩით ფორმალური კონსტრუქციების განხილვას.

უმთავრეს ყურადღებას იპყრობს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „არასუვენერული სახელმწიფოების“ საკითხი და მათი გამიჯნვის პრობლემა „(არასახელმწიფოებრივი) თემებისაგან“¹⁾. ჩვენ ვიცით, რომ

1) სახელმწიფოებრივ ერთეულებს ჩვენ შემდეგშია: უფრო ხშირად დავუპირისპირებთ არა „პროვინციას“, არამედ — საზოგადოდ — „თემს“, რომელ ტერმინშია, ეგულისხმებთ როგორც თვით პროვინციას, ისე მის თვითმართველობის უფლებით აღჭურვილ — ნაწილებსაც (ლოკს).

მცნება „არასუვერენული სახელმწიფო“ ერთ დროს, სახელდობ მაშინ, როდესაც „სუვერენიტეტი“ სახელმწიფოს ნიშანდობლივ თვისებად იყო მიჩნეული, nonsens-ად ჩაითვლებოდა. მაგრამ ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების და გერმანულ სახელმწიფოთა კავშირების დაარსებამ შესაძლებელ ჰყო ასეთი მცნების შექმნაც: კავშირების წევრებს, რომელთაც, ცხადია, დაჰკარგეს თავიანთი სუვერენიტეტი, შერჩათ მაინც საყოველთაო და ოფიციალურ ენაში ძველი ტიტული „სახელმწიფო“, და სახელმწიფოებრივი უფლების მეცნიერებამაც, თვის წარმომადგენელთა უმრავლესობის პირით, მორჩილად დააკანონა ცხოვრებაში აღსარებული ტერმინოლოგია. ხოლო ესლა აუცილებელი შეიქნა — „სახელმწიფოს“ მცნებისათვის, „სუვერენიტეტის“ თვისების ნაცვლად, ახალი specifica differentia-ს მიჩენა, რათა „არასუვერენულ სახელმწიფოს“ მცნება ისევე უნა-

ქალაქს და სხ.). ამის უფლებას ჩვენ გვაძლევს ზემო-განვითარებული მსჯელობა (იხ. შენიშვნა მე-12 გვერდზე), რომლისაგანაც თავისთავად გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა, რომ (ავტონომიურ) პროვინციის და (თვითმმართველ) თემის ერთანეთისაგან იურიდიული გამოიჯნვა შეუძლებელი ხდება. მართლაც: თუ, ერთის მხრით, ჩვენ ვხედავთ, რომ განსხვავებას მათ შორის ნახულობენ მხოლოდ იმ ფაქტში, რომ ვითომც ავტონომიურ პროვინციას „პარლამენტი“ გააჩნდეს, „თემს“-კი უკანასკნელი არ მოეპყვებოდეს. — ჩვენ-კი, მეორეს მხრით, აშკარა ვყავით, რომ „პარლამენტი“ მცნება (და, მაშასადამე, „კანონის“ ფორმალური მცნებაც) სრულიადაც არ არის, როგორც საყოველთაოდ შეცდომით ფიქრობენ, ლოლიკურის უნა-

ლოლოდ გამიჯნული დარჩენილიყო „(არასახელ-
წითოებრივი) თემის“ მცნებისაგან, როგორც იგი
კათიოდ განსახდერული შეიქნა აწ თვისი „არა-
უვერენობით“ დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან.
ა, რომელსაც უნდა დადგომოდენ პუბლიცისტე-
ს (ე. ი. სპეციალისტები პუბლიურ უფლებების დარგ-
ში) ამ ამოცანის გარდასაწყვეტად, ხომ სრულიად
ამორკვეული აღმოჩნდა მათთვის: საკმარისად იქნა
აჩნეული დაწვრილებითი გამოძიება იმისა, თუ რო-
ელ არასუვერენულ ერთეულებს ეწოდება ოთერ
კიად და ხალხურ ენაში—„სახელმწიფო“ და რო-
ელთ—მხოლოდ „თემი“, „ავტონომია“, „პროვინ-
ცია“¹⁾ და სხვ. ის თვისება, რომელიც კოლლექ-
ტივთა პირველ ჯგუფს განარჩევს მეორე ჯგუფისა-
გან, უთუოდ მისაჩნევია, ცხოვრების ტერმინოლო-
კით დამონავეებულ მკვლევართა თვალსაზრისით,
„სახელმწიფოს“ specifica differentia-დ.

ქლოლობით განსახდერული,—რალა ექვი უნდა გვრჩებო-
დეს იმაში, რომ ასეთ პირობებში „ავტონომიურ პროვინ-
ციის“ და „თვითმმართველ თემის“ მცნებების ერთმანეთი-
სტგან ლოლიკური გამიჯნვის ცდა წარმატებით დავეირ-
გვინებულად ვერ ჩაითვლება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ
1) „კანონის“ ფორმალური მცნება რომ ლოლიკურად უნა-
კლულოდ მიჩნეულ იქნეს, საჭიროა ვიგულისხმობთ მასში
ან მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს „პარლამენტში“
გატარებული დადგენილებანი, ან—განურჩევლად—ყოველ-
გვარ მასშტაბის პუბლიურ სახალხო კოლლექტივების წარ-

¹⁾ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, როგორც გამოჩინალობი,
რომ „პროვინციებად“ იწოდებიან კანადის ფედერაციის
წევრები.

მკვლევარნი ვერ შეთანხმებულან თვით ამ სრულ-
ლიად გარკვეულ ჯგუფებისათვის ნიშანდობლივ თვი-
სებების გამოდებნაში. ერთნი ეძიებენ მათ კოლლექ-
ტივთა იურიდიულ არსებობის ერთს განსაზღვრულ
მხარეში, სხვები—კიდევ სხვა მხარეებში. ყველა ქვე-
მდებარე შეხედულებანი ჩვენ შეგვიძლია დავყოთ სამ
მთავარ კლასად, რომელნიც შემდეგ, თავის მხრით,
გაიყოფიან უფრო წვრილ ჯგუფებად. თავში ჩვენ
განვიხილავთ შეხედულებას (ა), რომელიც პუბლიურ
კოლლექტივთა უფლებების ისტორიის ან გენეზისის
განხილვას მიუბრუნდება და მათი ჩამომავლობის
ხასიათის სხვადასხვაობაში იმედოვნებს *fundamentum
divisionis*-ის აღმოჩენას. მეორე კლასის (ბ) შეხე-
დულებანი პუბლიურ კოლლექტივთა-მიერ დაშფუძ-
ნებელ ფუნქციის სხვადასხვაგვარ განხორციელების
ტიპების გამოაშკარავებას მიმართავენ და ამ ტიპების
კლასიფიკაციაზე აგებენ თვით კოლლექტივთა კლა-

მოზადგენლობითი ორგანოების აქტები (მაშინ „თემის“
ასეთი ორგანოც, მაგ.—ქალაქის თვითმმართველობაც „პარ-
ლამენტი“ შეიქნება); *tertium non datur*; 2) „კანონ“-ს, სიტყ-
ვის მატერიალური მნიშვნელობით (ე. ი. ნორმატიულ
დადგენილებას), სცემენ თვითმმართველი „თემებიც“...—
„ავტონომიას“ და „თიშს“ შორის იურიდიულ განსხვა-
ვებას უარყოფენ გერმანელი იურისტებიც,—მხოლოდ სულ
სხვაგვარ მოსაზრებით. მათ წინააღმდეგ ილაშქრებს ამის
გამო,—სრულიად ფუქად, როგორც ჩვენთვის ეხლა
ცხადი ხდება,—პროფ. ლაზარევსკი (*Русское государ-
ственное право. Том I. Конституционное право. გამოც.
მე-3-ე, 1913, გვ. 218*). ავტორი ჩივის, რომ გერმანული
იურიდიული ლიტერატურა ვითომც „уничтожает раз-

სიფიკაციას. დასასრულ, მესამე კატეგორიის (ბ) ში-
მართულება ჩვეულებრივ საკანონმდებლო მექანიზმის მე-
შაობას უკვირდება და აქ აღმოჩენილ განსხვავებებს
საფუძვლად უდევს „არასუვერენული სახელმწიფოსი“
და „ავტონომიური პროვინციის“ ერთმანეთთან და-
პირისპირებას.

ბ. თანახმად პირველი კონსტრუქციისა, რომ-
მელსაც ჩვენ ისტორიული-ს ან გენეტიურის სახელწო-
დება შეგვიძლია მივუსაკუთროთ, განსხვავება არა-
სუვერენულ სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებ-
რივი თემის (პროვინციის და სხვ.) შორის ის არის,
რომ იმ დროს, როდესაც პირველი არსებობს თა-
ვისუფლად აღმოცენებული, პირვანდელი (უხერხულ
ტერმინოლოგიით კიდეც: „საკუთარი“) უფლებების
ძალით, მეორე—მხოლოდ წარმოებული (ПРОИЗВОД-
НЫЙ) ან დათმობილი (УСТУПЛЕННЫЙ) უფლებების
წყალობით ასრულებს თვის ფუნქციებს. შტატი
ნაჟუ-ფორკი, მაგ., არსებობდა ჩრდილოეთ-ამერკის
შეერთებული შტატების დაარსებამდინაც და უკანას-
კნელის ორგანოების აქტით როდია შექმნილი; პირ-
იქით, მას თვით მიუღია მონაწილეობა ფედერატიულ
სახელმწიფოს შექმნაში; ამით აიხსნება, ქვემდებარე
კონსტრუქციის თვალსაზრისით, რომ ნაჟუ-ფორკი

личие“ ავტონომიისა და თემს შუაო. საქმეც ის არის, რომ
რეგორც ვხედავდით, აქ იურიდიული განსხვავება არც კი
არსებობს...

ეხლაც „შტატად“, ე. ი. სახელმწიფოდ იწოდება. სულ სხვაგვარ მდგომარეობს საქმე არა-სახელმწიფოებრივ ერთეულების მიმართ. მაგ., ავსტრიის „საგვირგვინო მიწებს“ (დააკვირდით თვით სახელწოდებას) ავტონომიური უფლებანი ავსტრიის იმპერატორისაგანა აქვთ მინიჭებული; მათი ავტონომია იურიდიულად ძველ ისტორიულ უფლებათა გაგრძელებად ვერ ჩაითვლება; ამიტომაც არისო, რომ ისინი მხოლოდ ავტონომიურ პროვინციებად იწოდებიან და არა სახელმწიფოებად.

ქვემდებარე შეხედულებას იზიარებს, სხვათა შორის, გამოჩენილი გერმანელი იურისტი, პროფ. ჟულიუს გაჩეკი, — მხოლოდ მის დოკტრინაში ისტორიული უფლების საკითხი მას თვითორგანიზაციის საკითხითა აქვს გართულებული¹⁾. ე. წ. თვითორგანიზაციის საკითხის განხილვაზე დამყარებულ კონსტრუქციებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ თავის ადგილზე, აქ-კი ჩვენს მსჯელობას გაჩეკის შეხედულება, რასაკვირველია, მხოლოდ იმდენად ყავს მხედველობაში, რამდენადაც იგი უმთავრესად ისტორიულ პრობლემის გაშუქებას ეყრდნობა.

¹⁾ Проф. Юлиусъ Гачекъ. Общее государственное право. მე-3-ე წიგნი: Право современнаго государственнаго соединенія (გამოცემული რიგაში, წლის აღუნიშნველად), თარგმ. გერ—დან, გვ. 4: Государство имѣетъ право самоорганизации всегда и при всѣхъ условіяхъ, община же обладаетъ имъ лишь постольку, поскольку оно делегировано ей государствомъ, значить, она обладаетъ имъ не по собственному праву, но въ силу передачи“.

გენეტიურ კონსტრუქციის ჩინებულ კრიტიკას ჩვენ ვპოულობთ ცნობილ ფრანგ პუბლიცისტის ჯუან დეუგის თხუზულებაში¹⁾. პროფ დეუგის მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ კრიტიკის საზომად მას მიღებული აქვს კონსტრუქციის თანხმობა ცხოვრებაში გავრცელებულ ტერმინოლოგიასთან²⁾. ავტორი სამართლიანად მიუთითებს გენეტიური კონსტრუქციის მიმდევართ, რომ მათი განმარტება ეწინააღმდეგება პოპულიარულ და ოფიციალურ ენას: ერთის მხრით არსებობენ ისეთი „არასუვერენული სახელმწიფოები“, რომელთაც პირვანდელი უფლებები სრულიადაც არ გააჩნიათ, არამედ „დათმობილ“ უფლებების წყალობით არსებობენ; მეორეს მხრით, ცნობილია ისეთი თემებიც, რომელთაც ზოგიერთი თავიანთი უფლებები ძველ დროთაგან ჰქონდათ შენარჩუნებული და არათუ სახელმწიფოსაგან მიღებული. ბრაზილიის თვითეული შტატი, მაგ., მხოლოდ ბრაზილიის ფედერაციის შექმნის შემდეგ (1891 წ.) არსებობს: ბრაზილია ის სახელმწიფოა, რომელიც

¹⁾ *Леонъ Дюи.* Конституціонное право. Общая теорія государства. Москва, 1908, თარგმ. ფრანგ-დან გვ. 184—185.

²⁾ სამართლიანობა შოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ დეუგი უარყოფს გენეტიურ თვალსაზრისს აგრეთვე სხვა უფრო მაღალ დონეებზე კრიტერიუმითაც, როდესაც ამრიგად მსჯელობს (იქვე, გვ. 184—185): „...различіе источника права отнюдь не влечетъ за собой различіе его природы:.. право власти всегда одинаково, будетъ ли оно первоначальнымъ или производнымъ.“

პირდაპირ გადავიდა უნიტარულ წესწყობილებიდან ფედერატიულ წესწყობილებაზე საკუთარი ნებაყოფლობითი იურიდიული აქტის ძალით, მეორეს მხრით არავის მოუვა აზრად „სახელმწიფო“ უწოდოს საფრანგეთის მრავალ თემებს (მუნიციპალიტეტებს) მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მათ 1789 წლამდე გააჩნდათ პირვანდელი უფლებები, რომელნიც სრულიადაც მეფისაგან არ ჰქონიათ მინიჭებული. — ჩვენ საჭიროდ ვსცნობთ დეჟუსის უნაკლო მადალითეჟს და ვურთობთ აქ კიდევ ერთი: პირვანდელი, მეტა-იურიდიულად აღმოცენებული უფლება თვით ჩრდალოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ყველა წევრს როდი მიეწერება; ამ მხრით დასახელებულ ნაუ-ჰორკის მდგომარეობაში სხვა შტატთა მხოლოდ ნაწილი იმყოფება; ფედერაცია უკვე დიდი ხნის დაარსებული იყო, როდესაც ზოგიერთი ეხლანდელი შტატი ჯერ კიდევ სახელმწიფო-წევრად არ ითვლებოდა და უბრალო „ტერიტორიის“ ხარისხზე რჩებოდა; განვლო დრომ და „ტერიტორიები“ ფედერატიულ სახელმწიფოს აქტით („წარმოებული“ ან „დათმობილი“ უფლებებით!) გარდაიქმნენ სრულუფლებიან „შტატებად“; მაგ., ყოფილი ტერიტორია აადაჰო მხოლოდ 1890 წლიდან ითვლება „შტატად“. ერთის სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ გენეტიური (ისტორიული) კონსტრუქცია სრულიად მიუღებელია იმ კრიტერიუმის მიხედვითაც-კი, რომელიც თვით მას წარმოუყენებია, ე. ი. ცხოვრებაში დაკანონებულ კლასიფიკაცია-

ტერმინოლოგიასთან თანხმობის თვალსაზრისით (ხოლო თვით კრიტერიუმის უვარგისობის გამორკვევას ჩვენ მაშინ შევუდგებით, როდესაც ამ ტიპის ყველა კონსტრუქციის განხილვას მოვრჩებით).

ბ. პირველის შეხედვით შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ კონსტრუქციები, რომელნიც სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათა კლასიფიკაციას ე. წ. დამფუძნებელ ფუნქციის სხვადასხვაგვარ განხორციელების ტიპების განკლასოვანებაზე აშენებენ, არსფრით განირჩევიან გენეტიურ კონსტრუქციისაგან. თვით სპეციალისტებიც ხშირად ამ გარეგანი მსგავსებით მოტყუებულნი რჩებიან, როგორც ანას ვხლავთ დავინახავთ ვადამუშავის ფორმულების კერძო მაგალითზე. ნამდვილად-კი ამ ორ კონსტრუქციას შორის არსებობს ღრმა განსხვავება. ერთია — რომელიმე პუბლიურ კოლლექტივის თავდაპირვანდელი დაფუძნების, ე. ი. მისი იურიდიული შექმნის ხასიათის გამორკვევა, სულ სხვა რამეა იმ საკითხის გამოძიება, თუ რა იურიდიული ბუნებისაა ის დამფუძნებელი კომპუტენცია, რომელიც მიენიჭა სამერქისოდ ამ კოლლექტივს მის დაარსების დროს. ბრზილიის თვითოეული შტატი, როგორც ვსთქვით, დაფუძნებულია („იურიდიულად შექმნილია“) ბრზილიის უნიტარული რესპუბლიკის აქტით; ამან მოგვცა ჩვენ ზემო უფლება გვეთქვა, გენეტიურ კონსტრუქციის ტერმინოლოგიის გამოყენებით, რომ

ბრაზილიის ფედერაციის თვითოეული წევრი დაფუძნებულია „დათმობილი“ ან „წარმოებული“ უფლებების წყალობით. მაგრამ სასტიკად შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ ამით მხოლოდ იმავე აზრს გავიმეორებთ, თუ გენეტიურ კონსტრუქციის ფორმულის ხმარების მაგიერ შემდეგნაირად ვიმეტყველებთ: „ბრაზილიის თვითოეულ შტატს არ გააჩნია საკუთარი დამფუძნებელი კომპეტენცია“. ეს ფორმულა უკვე სულ სხვა აზრს გამოხატავს და ეწინააღმდეგება კიდევ სიმართლეს, რადგანაც, პირიქით, ბრაზილიის შტატი არ არის მოკლებული კომპეტენციას (რასაკვირველია, შემოფარგლულ საზღვრებში) შესცვალოს, როცა მოისურვებს, თვისი ორგანიზაცია, კონსტიტუცია, როდესაც ფაქტობრივი ბროკჰაუს-ფერონის ახალ ენციკლოპედიაში ამგვარ ფორმულას გვაწვდის: „Характерной чертой всехъ государствъ, слѣд-но, и несuverенныхъ, является то, что ихъ право законодательства получено ими не по делегации отъ кого-либо другого (напримѣръ, отъ государства сувереннаго), а есть ихъ собственное, юридически неотъемлемое право; имъ принадлежитъ даже власть учредительная, т. е. право пересматривать свою собственную конституцію“, მაშინ ის (არა მგონია, რომ შეგნებულად) გენეტიურ კონსტრუქციას ეკედლება; ამ ფორმულით იგი უნებლიეთ ადასტურებს დებულებას, რომლის

კეშმარიტებისათვის შეგნებულად არასდროს არ აღ-
ლებდა პასუხისმგებლობას: თითქოს ბრაზილიის ფე-
დერაციის შტატი სახელმწიფო არ იყოს (მას ხომ
„დელეგაციით“ სწორედ „სუვერენულ სახელმწი-
ფოსაგანა“ აქვს მიღებული როგორც საკანონმდებ-
ლო, ისე დამფუძნებელი უფლებაც!). ხოლო, რო-
დესაც იგივე ვოდოვოზოვი გრანატის ენციკლოპე-
დიაში ამნაირად მსჯელობს: „Наиболье характер-
ной чертой автономности является то, что са-
мая конституція этихъ автономныхъ государствъ
измѣняется по ихъ единоличному усмотрѣнію;
они могутъ, напр., измѣнить порядокъ престо-
лонаслѣдія (въ монархіяхъ) или избирательный
законъ, на основѣ котораго избирается и пар-
ламентъ, и стоящая надъ ними союзная власть
не имѣетъ въ этомъ основанія для какого-ни-
будь вмѣшательства“, მაშინ ამ სულ სხვაგვარ ხა-
სიათის კონსტრუქციაში ბრაზილიის შტატის სახელ-
მწიფოებრივობა უკვე აღდგენილად გვევლინება. შე-
საძლებელია, რასაკვირველია, ეს წინააღმდეგობა
იმით აიხსნებოდეს, რომ ვოდოვოზოვმა რამდენიმე
თვის განმავლობაში მოასწრო თვისი შეხედულების
შეცვლა, მაგრამ უფრო საფიქრებელი ის არის, რომ
ის ვერც-კი ამჩნევს თვის წინააღმდეგობას: ორი
განსხვავებული კონსტრუქცია მას, შეცდომით, ერთ-
დამავე კონსტრუქციად მიაჩნია, მათი გარეგანი
მსგავსების მიზეზით. ეხლა, რაკი იმედი გვაქვს, რომ

ვოდოვოზოვის მდგომარეობაში ჩვენ არ ჩავვარდებით, შეგვიძლია დამფუძნებელი კომპენტენციის ტიპების გარჩევაზე დაყრდნობილ კონსტრუქციების განხილვას შევუდგეთ.

დამფუძნებელი ფუნქცია შინაარსის მხრით, როგორც ვიცით, იმავე საკანონმდებლო ფუნქციის წარმოდგენს: დამფუძნებელი (კონსტიტუციონალური) კანონი, ბოლოს და ბოლოს, მაინც „კანონია“, ე. ი. დადგენილება, რომელიც თვისი იურიდიული ძალით ადმინისტრატიულ აქტზე უფრო მაღლა დგას. მაგრამ ფორმალური თვალსაზრისით კი, ე. ი. „უფლების წყაროების“ (источники права) განსხვავების მხედველობაში მიღებით, კონსტიტუციონალური („დამფუძნებელი“) აქტი და უბრალო საკანონმდებლო აქტი ღრმად განირჩევიან ერთმანეთისაგან: იურისტები აღიარებენ მათ ორ სხვადასხვა უფლებრივ წყაროდან გამომდინარედ. ხშირად კონსტიტუციის შესამუშავებლად მართლაც იწვევენ განსაკუთრებულ ორგანოს („დამფუძნებელ კრებას“), მაგრამ მაშინაც კი, როდესაც დამფუძნებელ ფუნქციას თვით ორდინალურ პარლამენტს ანდობენ, მისი განხორციელების პროცედურას იურიდიულად ართულებენ (სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად), ასე რომ ამ გართულებულ პირობებში კანონმდებელი პარლამენტი იურიდიულად თითქოს ახალ ორგანოდ, უფლების ახალ წყაროდ იქცევა. მისი დადგენილებანი იმდენადვე მაღლა დგანან ჩვეულებრივ კანონებზე, რა-

მდენადაც ეს უკანასკნელი—უბრალო ადმინისტრაციული აქტზე. ამიტომ არის, რომ იქ, სადაც (როგორც, მაგ., ინგლისში) არ არის ცნობილი არც განსაკუთრებული დამფუძნებელი კრების მოწვევა და არც ექსტრა-ორდინალური პროცედურა პარლამენტის კანონმდებლობისა, — არ არსებობს „დამფუძნებელი კანონების“ ცალკე კატეგორია: პარლამენტის ყველა აქტები უბრალო ჩვეულებრივ კანონებს წარმოადგენენ (ამბობენ: „ინგლისს — კონსტიტუცია არა აქვს!“).

ჩვეულებრივი კანონის და დამფუძნებელი აქტის იურიდიულ სხვადასხვაობის გამოაშკარავებით თავისთავად დადასტურებულია კანონიერება სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის იურიდიული კონსტრუქციების ორ ტიპის დაპირისპირებისა, რომელთაგან ერთს (ბ) დამფუძნებელი ფუნქცია აქვს მხედველობაში, მეორეს-კი (ბ)-ჩვეულებრივი საკანონმდებლო.

ახლა, რაც შეეხება თვით დამფუძნებელი აქტების შინაგან განკლასოვანებას, აქაც შეგვიძლია, რამდენადაც დეცენტრალისტურ ერთეულების დამფუძნებელ კომპეტენციაზე გვიხდება ლაპარაკი, ნათლად განვარჩიოთ ერთმანეთისაგან და დავუპირისპიროთ ერთმანეთს ორი განსხვავებული ტიპის ასეთი აქტებისა და ამ დაპირისპირებაზე დაყრდნობით განვავსოთ თვით სამეცნიერო კონსტრუქციების საკლასიფიკაციო განმარტვლოვანება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრით, დეცენტრალისტურ სახელ-

მწიფოს საზღვრებში (ცენტრში თუ პერიფერიაში) გამოცემული ისეთი დამფუძნებელი აქტები, რომელნიც მხოლოდ ერთს ანტიანდლურ სფეროში (ან ცენტრში და ან პერიფერიაში) სცვლიან კონსტიტუციას (resp. კონსტიტუციის ნაწილს, იმა თუ ამ მუხლს), და მეორეს მხრით ისეთი კონსტიტუციონალური აქტები, რომელნიც თუმცა აგრეთვე დეცენტრალისტურ სახელმწიფოს კანონმდებლობის მხოლოდ ერთს სფეროში გამოიციეიან, მაგრამ, მოუხედავად ამისა, ორივე სფეროს კონსტიტუციებს შეეხებიან, — სახელდობ: ერთს მათგანს აფართოვებენ, მეორეს იმდენადვე ზღუდავენ. ქალაქმა ჰამბურგმა რომ, მაგ. გადასწყვიტოს (რის კომპეტენციაც მას საფსებით შესწევს) თვისი რესპუბლიკანური წესწყობილების შეცვლა მონარქიულ მართველობად, — ეს აქტი იურიდიულად ოდნავადაც არ შეეხება გერმანეთის კონსტიტუციის შინაარსს: ეს უკანასკნელი უცვლელი დარჩება. მაგრამ თუ, მაგ. რაიხსტაგმა და ბუნდესრატმა გადასწყვიტეს საშოქალაქო (კერძო უფლებების დარგში საკანონმდებლო კომპეტენციაზე უარის თქმა, ამ აქტით ეს საკავშირო სახელმწიფოს ყოფილი კომპეტენცია სახელმწიფო-წევრებს (ფედერატებს) შეეძინებათ, და მათი კონსტიტუციაც სათანადოთ შეიცვლება (შეივსება). დეცენტრალისტურ სახელმწიფოების დამფუძნებელ აქტების ამ ორ ტიპის არსებობის გამოაშკარავებასთან დაკავშირებულად, ჩვენ ვამბობთ, რომ თვითარგანსიხადის აქტი (მაგ., ჰამბურგის-

მიერ თვისი სახელმწიფოებრივი წესწყობილობის ფორმის გამოცვლა) არ გულისხმობს სავალდებულოდ ცენტრალურ და პერიფერიულ მფლობელობათა კომპეტენციების საზღვრების გადამიჯნვას; ამიტომაც თვითორგანიზაციის კომპეტენციის მცნებას (ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით) ჩვენ სრულის უფლებით ვუპირისპირებთ კომპეტენციათა-კომპეტენციის (გერმანულის ტერმინოლოგიით — Kompetenz-Kompetenz) მცნებას, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი დაპირისპირება შეუცნობელი და ხაზგაუსმელი რჩება და მკვლევართათვის „თვითორგანიზაციის კომპეტენცია“ და „Kompetenz-Kompetenz“ ხშირად თანაბარ-მნიშვნელოვანი მცნებებია. იმავე საფუძველით, ჩვენ არ სხვადასხვა კონსტრუქციად ვთვლით და ცალცალკე განვიხილავთ იმ შეხედულებებს რომელთაგან ერთი (1) დეცენტრალისტურ ფორმების კლასიფიკაციას თვითორგანიზაციის ტიპების სხვადასხვაობის გამოაშკარავებაზე აფუძვნებს, მეორე-კი (2)-Kompetenz-Kompetenz-ის ტიპების ერთმანეთისგან განჩევანზე.

1. 3. ვოდოვოხოვის-მიერ მოწოდენილ ერთ-და-ერთ ფორმულის საშუალებით ჩვენ უკვე გავეცანით ზემო კონსტრუქციას, რომელიც დეცენტრალისტურ სახელმწიფოებში თვითორგანიზაციის კომპეტენციის ნაირ დანაწილების ფაქტში ეძებს მიზეზს თვით დეცენტრალიზაციის სახეების სხვადასხვაობისას. ამ კონ-

სტრუქციის ავტორი ცნობილი ფელდინეკია, რომლის აზრით, განსხვავება არა-სუვერენულ სახელმწიფოსა და ავტონომიურ პროვინციას შორის იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ პირველს მათგანს გააჩნია თვითორგანიზაციის კომპეტენცია, მეორეს კი ასეთი კომპეტენცია არ მოეპოვება. მაგრამ უკვე გირკეს მიუქცევია ყურადღება¹⁾ იმ გარემოებისათვის, რომ ფელდინეკის კლასიფიკაციას ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები: ერთის მხრით, ცნობილია ისეთი ქალაქები და პროვინციები, რომელნიც—განსაზღვრულ ფარგლებში—აღჭურვილი არიან ავტოორგანიზაციის კომპეტენციითაც; მეორეს მხრით-კი, თვით „სახელმწიფოებში“ დამფუძნებელი ფუნქცია საგროძობლად შეზღუდულად გვევლინება: მაგ., შვეიცარიის კანტონებს და ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებს აკრძალული აქვთ ფედერალური კონსტიტუციებით რესპუბლიკანური წესწყობილების შეცვლა რომელსამე სხვა პოლიტიკურ ფორმაზე. ფელდინეკის აზრი შესაძლებელია უარყოფილ იქნეს კიდევ ერთი მეტად საინტერესო მაგალითით: სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, ვსცნობთ ჩვენ, თუ არა, „სახელმწიფოებად“ კანადის და სამხრეთ-აფრიკის პროვინციებს, — შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისის თანახმად არ აღვიაროთ ისინი, ყოველ შემთხვევაში, კრავგარ პო-

1) იხ. *Л. Дюи, op. cit.*, გვ. 185.

ლიტიკურ ორგანიზმებად: ან ჰირეკლნიც და მუარუნიც „არა-სუვერენულ სახელმწიფოებად“ უნდა იქნენ მიჩნეულნი, ან — არც ერთი მათგანი ¹⁾. მაგრამ სწორედ თვითორგანიზაციის კომპეტენციის დანაწილების საკითხში მათ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციები უჭირავთ: იმ დროს, როდესაც კანადაში თვითეულ პროვინციასაც გააჩნია უფლება შესცვალოს თვისი ორგანიზაცია ²⁾ (თუ, რასაკვირველია, კანადის პარლამენტი მოწინააღმდეგე არ გაუხდება), სამხრეთ-აფრიკის კავშირში დეცენტრალისტურ ნაწილების კონსტიტუციების შეცვლის კომპეტენცია მხოლოდ თვით კავშირს ეკუთვნის. — ამრიგად ქვემდებარე კონსტრუქციაც ვერ აკმაყოფილებს და ვერ

¹⁾ შესაძლებლობა პრობლემის ალტერნატიულ სახით დასმისა აიხსნება იმ გამოურკვეველი მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება საკითხი „ფედერალიზმის“ და „სახელმწიფოებრივობის“ მცნებების ერთმანეთთან დამოკიდებულებისა. განა გვაქვს ჩვენ უფლება „ფედერალიზმი“ და „სახელმწიფოებრივობა“ ერთმანეთისაგან განუყრელ მცნებებად ჩავთვალოთ? თუ ავსტრალია „სახელმწიფოდ“ არ არის მიჩნეული, არამედ მხოლოდ ავტონომიურ კოლონიად, რა საფუძველით ენიჭება „სახელმწიფოებრივობის“ ხარისხი მის ნაწილს, — მაგ., კუინსლენდს? მაგრამ ის გარემოება, რომ კუინსლენდს და მის მოკავშირეებს, რომელნიც ნომინალურად „შტატებს“, ე. ი. „სახელმწიფოებს“ წარმოადგენენ, სინამდვილეში „სახელმწიფოებრივობა“ არ გააჩნიათ, სრულიად არ გვიშლის თვით კავშირს, Australian Commonwealth-ს „ფედერაცია“-ს ვაწოდებდეთ სახელად. მკვლევარნი, რომელთაც „სახელმწიფოებ-

²⁾ მხოლოდ-ღა ვიცე-გუბერნატორის უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა აღემატება მის კომპეტენციას.

ფარავს საესებით ცხოვრებაში მიღებულ ტერმინოლოგიას¹⁾.

2. Kompetenz-Kompetenz-ის ტიპების კლასიფიკაციაზე²⁾ დაყრდნობილი კონსტრუქციის ნიმუში ზენ გვაქვს, მაგ., ფრანგ იურისტის მიშუ-ს (Michoud) ფორმულაში³⁾: „მფლობელობა (власть, le pouvoir), რომელიც ბატონობს არა-სუვერენულ სახელმწიფოსა ზედა, იურიდიულად განუსაზღვრელია; სრული გაქარწყლება პუბლიურ მფლობელობის უფლებებისა, რომელნიც ამ სახელმწიფოს ეკუთვნის, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ტლანქ ძალდატანებას მიმართავს. პირიქით, მფლობელობას, რომელიც ვრცელდება თემზე ან პროვინ-

რივობის“ და „ფედერალიზმის“ მცნებათა განუყრელობა უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, იძულებულნი ხდებიან აღიარონ ერთი ამ დებულებათაგანი: 1) ან ის, რომ ავსტრალია (არასუვერენული) სახელმწიფოა და არ უბრალო ავტონომიური კოლონია (იხ. ქვემო პროფ. გაჩეკის შეხედულება ბრიტანიის იმპერიის „მეტა-იურიდიული ფედერალიზმის“ შესახებ), — თუ კი თვით წევრები ავსტრალიის კავშირისა „სახელმწიფოებად“ იქნებიან გამოცხადებულნი და 2) ან ის, რომ ავსტრალია „ფედერაციას“ არ წარმოადგენს (თუ-კი „შტატების“ სახელმწიფოებრივობა უარყოფილ იქნება).

1) შესაძლებელია უფრო დაწვრილებითი განმარცვლოვანება თვითორგანიზაციის კომპეტენციის დანაწილების ტიპების და სათანადო კონსტრუქციების კლასიფიკაციებისა; ასეთ შესაძლებელ კონსტრუქციების შესახებ იხ. წიგნის მეორე ნაწილში (II).

2) ეს კლასიფიკაცია უფრო დაწვრილებით განმარცვლოვანებას თხოულობს, ვიდრე ის ღარიბი ორწევრიანი სქემა, რომელსაც ჩვეულებრივად იძლევიან სპეციალისტები, იხ. ამის შესახებაც ამ წიგნის მეორე (II) ნაწილი.

3) მოყვანილია დიუგის წიგნში, *Конституционное право*, გვ. 186.

იაზე, შეუძლია, უფლების დაუაროვევლად, შეზღუდოს და კიდევაც მოსპოს სამფლობელო უფლებანი (права власти, les droits de puissance), რომელნიც ამ პირთ ეკუთვნიან¹⁾. ამრიგად, მიზუსტებით, იქ, სადაც ცენტრალურ ორგანოებს მინიჭებული აქვთ კომპეტენცია პერიფერიულ ორგანოების კომპეტენციის სფეროს შეზღუდვისა ან გაფართოებისა, — ჩვენ გვაქვს საქმე „უნიტარულ“ სახელმწიფოსთან და პოლიტიკურ „პროვინციალიზმთან“, — ხოლო იქ, სადაც ცენტრი ასეთ, Kompetenz-Kompetenz-ის მოკლებულია, წინ გვიდგას „ფედერაცია“, „არასუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი“.

რომ Michoud-ს-მიერ აღნიშნული განსხვავება

¹⁾ იხ. ესევე ფორმულა ფრანგულად წიგნში: *C. A. Котляревский. Власть и право. Москва, 1915, გვ. 261, შენიშვნა 2.* — თვით კოტლიარევსკი შემდეგნაირ ფორმულას იძლევა: „...имѣеть особое значеніе контрастъ двоякаго рода государствъ: такихъ, гдѣ центральная власть обладаетъ свободой мѣнять по своему усмотрѣнію организацию (კურსივი ჩემია ნიკ. ჯორ) отдельных частей страны, и такихъ, гдѣ она въ этомъ смыслѣ связана обязательнымъ участіемъ тѣхъ или иныхъ органовъ, представляющихъ указанныя части“ — ეს, რიგით, თვითორგანიზაციის „საზოგადო ფორმულა და არ საკუთრად Kompetenz-Kompetenz-ისა, მაგრამ იმ მაგალითიდან (იხ. ქვემოთ ჩვენს ტექსტში), რომლის დაბმარებიტაც ავტორი ამტკიცებს ამ ფორმულის უვაროებას ფედერატიულ და უნიტარულ სახელმწიფოთა ვადაუნვისათვის, ნათელი ხდება, რომ მას სწორედ „კომპეტენციის კომპეტენცია“ ჰყავს მხედველობაში.

ვერ ფარავს სავსებით „უნიტარულ“ და „ფედერატიულ“ სახელმწიფოთა ერთმანეთისაგან განსხვავებას, — ადვილად ირკვევა რამდენიმე სადა მაგალითის საშუალებით¹⁾. გერმანია, მაგ., საყოველთაოდ აღიარებულია „ფედერატიულ“ სახელმწიფოდ, მიუხედავად თეორიით, მაშასადამე, მის ცენტრალ ორგანოებს არ უნდა მოეპოვებოდეს უფლება სახელმწიფო-წევრთა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვ. კომპეტენციების შეზღუდვისა; ნამდვილად კი ბუნდესრატს და რაიხსტაგს ასეთი კომპეტენცია უცილობლად გააჩნიათ²⁾; აგრეთვე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსაც შესწევთ ასეთი კომპეტენცია და მათ კიდევ ფაქტიურად არაერთხელ შეუზღუდავთ ცალკე შტატების საკანონმდებლო კომპეტენცია. მეორეს მხრით, როგორც სამართლიანად მიგვითითებს პროფ. კოტლიარევსკი³⁾, ხორვატიას (კროაციას), რომელსაც ჩვეულებრივად მხოლოდ ავტონომიურ პროვინციად სთვლიან (ჰუნგარეთის „უნიტარულ“ სამფლობელოში) მინიჭებული

¹⁾ იხ. დეჟუგი, *op. cit.*, გვ. 187; ავტორი სამართლიანად აღმოაჩენს აგრეთვე მიშუს ფორმულაში აშკარა *circulus vitiosus* ს.

²⁾ იურიდიულად ოღონდ მიჩნეულია (როგორც აღნიშნავს დეჟუგიც) შეუძლებლობა სახელმწიფოებრივ კავშირის ორგანოების-მიერ ცალკე სახელმწიფო-წევრის სრული მოსპობისა და აგრეთვე (რის აღნიშვნაც დეჟუგის რატომღაც ავიწყდება) ე. წ. სარეზერვაციო უფლებების წართმევისა.

³⁾ Власть и право, გვ. 261.

აქვს, 1868 წლის ხელშეკრულობით, უფლება — უკანონოდ სცნოს ყოველგვარი შეზღუდვა თვის კომპეტენციისა პუნგრეთის ცალმხრივი აქტით, ზაგრების სეიმის ნება-დაურთველად ¹⁾.

გ. კონსტრუქციები, რომელნიც ჩვეულებრივ საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელების კომპეტენციის იურიდიული ხარისხის განრჩევით ხელმძღვანელობენ, ორ სხვადასხვა სახით წარმოგვიდგებიან: ერთი (1) — საკანონმდებლო კომპეტენციის ფიქსაციის არსებობას მიაწერს მნიშვნელობას, მეორე (2) — ამავე საკანონმდებლო კომპეტენციის სავსეობის იურიდიულ ხარისხს. ამ ორ სახის ერთმანეთისაგან გამოიჯნვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

1. იმ გარემოებას, თუ რომელ მხრით (ცენტრში? პერიფერიაში?) ვხვდებით ჩვენ კონსტიტუციაში საკანონმდებლო კომპეტენციის დარგების მუხლებრავ აღნუსხვას ან ფიქსაციას, მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კომპეტენციის სიფართოვის ხარისხის გამოსარკვევად ²⁾. გერმანიის იმპერიის კონსტიტუციის

1) ამ განსაკუთრებულ უფლებისათვის, რომელიც თვით არასუფერინულ სახელმწიფოებსაც არ მიაუბოვებათ, ხორვატია-სლავონიას აღიდეგენ „სახელმწიფოებრივ ფრაგმენტის“ სახელწოდებით. ამ უცნაურ (დელლინგკას-მიერ შემოღებულ) ტიტულს ზოგიერთი მეცნიერები სხვა პოლიტიკურ ერთეულებსაც მიანიჭებენ.

2) „განსაზღვრულ“ უფლებათა ცენტრისადმი ან პერიფერიისადმი მოწერილობას ყოველთვის უსვამს ხაზს ა. დახი (იხ. *A. B. Дайси. Основы государственного права Англии*, მე-2 გამოც., Москва, 1907, თარგმ.

(16 აპრ. 1871 წ.) მე-4-ე მუხლში ჩამოთვლილია 16 სხვადასხვა კატეგორია საქმეთა, რომელნიც საიმპერიო ორგანოების კომპეტენციას ეკუთვნიან ¹⁾. უგეჯა დანახჩენი დარგი, რომელიც აქ ჩამოუთვლელი დარჩა, თავისთავად მიეწერა, ამ ფიქსაციის ძალით, სახელმწიფო-წევრთა (ფედერატების) კომპეტენციას. რა თქმა უნდა, ასეთი დანაწილება კომპეტენციისა არასუვერენულ სახელმწიფოთათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე იმპერიისათვის, რადგან საკანონმდებლო საქმეთა კატეგორიების წინასწარი აღნუსხვით საიმპერიო კომპეტენციის სფერო უნებლიეთ განზრახულზე უფრო ვიწროთ შემოიფარგლა: ფიქსაციის დროს ყველა წვრილმანების გათვალისწინება შეუძლებელი ხდება!

თუმცა, ამრიგად, ჩვენ არ უარვყოფთ კომპეტენციის ფიქსაციის მომენტის მნიშვნელობას სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის ხარისხის გამოსარ-

ინგლ-დან გვ. 494—501, აგრეთვე სხვა ადგილებშიც), თუმცა ავტორი ამ საკითხს არ უკავშირებს ფედერატიულ და უნიტარულ სახელმწიფოთა სხვადასხვაობის გამოაშკარაების პრობლემას.—სამაგიეროდ, ქვემდებარე საკითხების სწორედ ასეთ ლოლიკურ დაკავშირებასთან უნდა გგქონდეს საქმე იმ უცნაურ რთულ-შინაარსიან ფორმულის სახეში, რომლის ელემენტები, ვერ ვიტყვით, თუ რომელ წყაროებიდან ამოუკრეფია, ხოლო შეკონვით-კი, ალბად, თვით შეუკონაეს ბ. გვაზავას: „ფედერატიულ

¹⁾ იხ. И. Д. Новикъ. Современныя конституціи. Москва, 1906, გვ. 147—148 ან Саблинъ-ის გამოცემა: Собрание конституцій (по Дарест'у), Москва, 1905, გვ. 28—29.

კვევად, მაგრამ ამ მომენტზე უნიტარულ და ფედერატიულ სახელმწიფოთა ერთმანეთისაგან გამოჯანვის დამყარების ცდას-კი ვერ შევიწყნარებთ. — გერმანია მიჩნეულია „ფედერატიულ“ სახელმწიფოდ, მაგრამ აი ავსტრია, ეგ ხომ „უნიტარული“ სახელმწიფოა: კომპეტენციის „ფიქსაციის“ საკითხი აქაც სწორედ იმავ სახეს ღებულობს, როგორსაც გერმანიაში ვხვდებით; 1867 წლის 21 დეკ-ის „კონსტიტუციონალური კანონის“ მე-11 მუხლი ჩამოთვლის საქმეთა 14 კატეგორიას (ლიტერები A-დან O-მდე), რომელთ დარგშიაც რაიხსრატი კომპეტენციას თავისთვის იტოვებს, ხოლო შემდეგი, მე-12-ე მუხლის ძალით: „ყველა საკანონმდებლო საკითხები, გარდა იმ საკითხებისა, რომელნიც ამ კანონით რაიხსრატის უწყებაშია დატოვებული, მიეწერა სამეფოთა და რაიხსრატში წარდგენილ მიწათა ლანდტაგების

სახელმწიფოებში საერთო და საყოველთაო საქმეები გამოყოფილია თვითიველ შტატის უფლებებისაგან და გადაცემულია საერთო გამგეობის და კანონმდებლობის ხელში. ავტონომიის შესახებ-კი ეს საკითხი უკუღმა დგას: ადგილობრივი საქმეები აღნუსხულია (კუჩხივი ჩვედია. ნ. ჯორჯ.) და გამოყოფილია სახელმწიფოს უფლებებისაგან და გადაცემული აქვს ავტონომიას“ (1917 წლ. „საქართველო“, № 93; კუჩიოხულია ეპილოგიც: „ეს ყოველთვის აგრე არ არის, მაგრამ უფრო ხშირად აგრე ვხვდებით“. აქ დომხალივით არეულია ორი სხვადასხვა ხასიათის კონსტრუქცია: ლიტყვები „გამყოფილია“ და „გადაცემულია“ გენეტურ თეორიას ტერმინოლოგიის აქცესუარს წარმოადგენს, ხოლო ლიტყვა „აღნუსხულია“ ქვემდებარე „ფიქსაციის“ თეორიის გამოთხბილი უნდა იყოს.

კომპეტენციას და აღნიშნულ ლანდტაგების-მიერ უნდა მოწესრიგდეს კონსტიტუციის საფუძველზე“¹⁾. — მიემართოთ ეხლა სხვაგვარ მაგალითს: კანადაც და ავსტრალიაც, როგორც ვიცით, „ფედერაციებად“ არიან მიჩნეული, მაგრამ იმ დროს, როდესაც ავსტრალიაში „ფიქსაციის“ ქვეშ ფედერალური მართველობის კომპეტენციაა მოქცეული (სწორედ ისე, როგორც ავსტრალიაში და გერმანიაში), — კანადაში, პირიქით, „განსაზღვრულია“ (დაახსი. ტერმინი რომ ვიხმაროთ) პროვინციების მფლობელობის კომპეტენცია. მაშასადამე, აღნიშნული ფაქტები ვერ თავსდებათ ქვემდებარე კონსტრუქციის ფარგლებში.

2. უკანასკნელი კონსტრუქცია, რომელიც აგრეთვე საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინოლოგიისაგან მოელის თვის გამართლებას, ისევ ჩვეულებრივ საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელების ნაირობას მიაპყრობს ყურადღებას სხვადასხვა დეცენტრალისტურ სახელმწიფოებში, ხოლო კლასიფიკაციის *fundamentum divisionis*-ად გამოიყენებს საკანონმდებლო კომპეტენციის არა ფიქსაციას, არამედ იურიდიულ საფუძვლის არსებობას სახელმწიფოს დეცენტრალისტურ ნაწილში. თანახმად ამ თეორიისა, თუ აღვილობრივ კანონის გამოცემის პროცედურის

1) *Новикъ*. Современныя конституции, გვ. 259—261 ან *Саб.лицъ* — ის მიერ გამოცემული *Собрание конституцій*, გვ. 102—104.

ყველა სტატია, დაწყებული ინიციატივით და დათავებული მისი სანქციით, ხორციელდება მხოლოდღა ადგილობრივ ორგანოების საშუალებით, ჩვენს წინ არა-სუვერენული სახელმწიფო, ფედერატია¹⁾; წინააღმდეგ ამისა, თუ ადგილობრივი ორგანოები მოკლებული არიან საკანონმდებლო კომპენტენციის რომელსამე იურიდიულ მხარეს (ან ინიციატივას, ან კანონბროვექტის რედაქციას, ან სანქციას), მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე უბრალო ავტონომიურ²⁾ ერთეულთან.

შემდებარე კონსტრუქცია ერთად-ერთია ყველა განხილულ კონსტრუქციათა შორის, რომელსაც ცხოვრების ჩვეულებრივი ტერმინოლოგია მართლაც

1) იხ. Горенберг-ის სტატია „Автономія“ პოლიტიკურ ენციკლოპედიაში“, წ. 1, გვ. 49: „...издание мѣстныхъ законовъ всецѣло совершается органами отдѣльныхъ государствъ, такъ что всѣ моменты его, начиная инициативой и оканчивая санкціей, осуществляютъ въ предѣлахъ территоріи даннаго государства и его органами“; აქ სიტყვები „въ предѣлахъ территоріи даннаго государства“, რასაკვირველია ზემოთა, რაკი გვერდით მოიპოვება: „его органами“. იხ. აქვე (გვ. 49) საინტერესო დაპირისპირება ადგილობრივ და ცენტრალურ კანონების კოლიზიის სხვადასხვა ხასიათისა უნიტარულ და ფედერატიულ სახელმწიფოებში.

2) ტერმინი „ავტონომია“ ვერ განთავისუფლდა მრავალ-მნიშვნელოვანობისაგან მას შემდეგაც, რაც მისი განმარტება წმინდა ეტიმოლოგიურ ნიშნად მოცილებული შეიქნა. ჩვენ უკვე გავუცანით ორ მის მნიშვნელობას: 1^o. ავტონომია = სუვერენული სახელმწიფოები + არა-სუვერენული სახელმწიფოები + პარლამენტარული პროვინციები

ადასტურებს და სავსებით ფარავს¹⁾). გერმანიაში, ჩრდილ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში და სხვ. ფედერატებს მართლაც ეკუთვნისთ საკანონმდებლო კომპეტენციის სავსეობა (რასაკვირველია, მხოლოდ იმ საკითხებში, რომელნიც მათი კომპეტენციისათვის გამოყოფილია), დაწყებული ინიციატივით და დამთავრებული სანქციით. მაგრამ თუ მივუბრუნდებით, მაგ., ავსტრიის საგვირგვინო მიწებს, დავინახავთ, რომ აქ ადგილობრივ სტიმს მინიჭებული აქვს მხოლოდ ინიციატივა და კანონპროექტის რედაქცია, ხოლო სანქცია კანონპროექტისა ეკუთვნის ავსტრიის იმპერატორს, რომელც, რასაკვირველია, მთელი იმპერიის წარმომადგენელი

და 2°. ავტონომია = არასუფერენული სახელმწიფოები + პარლამენტიანი პროვინციები. არსებობს კიდევ ორი უფრო ვიწრო მნიშვნელობის მინიჭებელი განმარტება: 3°. ავტონომია = არასუფერენული სახელმწიფო და 4°. ავტონომია = პარლამენტიანი პროვინცია. ის შეხედულება რომელიც უფრო მოსახერხებლად სცნობს „ავტონომია“ მხოლოდ არასუფერენულ სახელმწიფოებს (რასაკვირველია, ფედერატებს და არ პროტექტორატის ქვეშ მყოფ სამფლობელოთ) უწოდოს, იმ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ამათა აქვთ მინიჭებული საკანონმდებლო კომპეტენციის იურიდიული სავსეობა: მაშასადამე

1) რასაკვირველია, იმ პირობის დაცვით, რომ ინგლისის კოლონიების „შტატების“ და „პროვინციების“ „სახელმწიფოებრივობა“-ს აბსურდად ჩავთვლით; მათი პარლამენტების კანონებს ხომ ინგლისის-მიერ დანიშნული ვიცე-გუბერნატორები ანიჭებენ სანქციას; კერძოთ, რაც შეეხება კანადას, აქ, ვარდა ამისა, პროვინციის პარლამენტის მიერ გამოცემული კანონი შესაძლებელია უარყოფილ იქნეს კანადის პარლამენტის-მიერ.

ორგანოა ამ შემთხვევაშიც. აგრეთვე ინგლისის ავტონომიურ კოლონიების პარლამენტების დადგენილებანი ინგლისის ადგილობრივ წარმომადგენელის, გუბერნატორის ან ვიცე-გუბერნატორის საჩქიროებენ (თვით ინგლისის ცენტრალ ორგანოებსაც გააჩნიათ, რა თქმა უნდა, veto-ს უფლება). და ყველგან, რომელ ერთეულსაც გინდა მიუბრუნდეთ, თუ კი მას პოპულიარული და ოფიციალური ენა „სახელმწიფოდ“ არ სცნობს, ეს ერთეული აუცილებლად საკანონმდებლო კომპეტენციის საფუძვლად მოკლებულად მიგვევლინება. ამრიგად ცხოვრებაში შეუმცნებლად შემუშავებულ კლასიფიკაციის fundamentum divisionis-ი, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩენილად უნდა ჩაითვალოს¹⁾.

სრული ავტონომიაც მხოლოდ მათ მიეწერება და არ პარლამენტთან პროვინციებს, რომელნიც მოკლებულნი არიან ასეთ იურიდიულად სრულ კომპეტენციას, სრულ ავტონომიასო (შეად. *Водовозовъ*, ბროკჰაუზის ანალიტიკონში: „...о собственной законодательной власти австрийскихъ земель говорить не приходится, и автономіей онѣ не пользуются“, გვ. 325; *Горенбергъ*,

¹⁾ იძულებული ვართ ერთხელ კიდევ გავუსვათ ხახი იმ გარემოებას, რომ ქვემდებარე კონსტრუქციას ჩვენ უნაკლებოდ ვთვლით მხოლოდ მის საყოველთაო და ოფიციალ ტერმინოლოგიასთან სრული თანხმობის თვალსაზრისით; მაგრამ გავიხსენოთ, რომ „კანონის“, „პარლამენტის“ და „სახელმწიფოს“ მცნებათა ურთიერთ დამოკიდებულების და გამოურყვევლობის განლაშკარავების საფუძველზე ჩვენ ერთხელ და საშუაამოდ უაღრესად უნიტარულ და ფედერატიულ სახელმწიფოთა ერთმანეთისაგან მეცნიერული გამიჯნვის შესაძლებლობა!

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ეხლა ის ორი კითხვა, რომელიც ამ განყოფილების (B) დასაწყისში დავსვით გარდასაქრელად: 1) რა პოზიცია დაუკავებია ფაქტიურად მეცნიერებას ცხოვრებაში შეუმცნებლად შემუშავებულ კლასიფიკაცია-ტერმინოლოგიათა მიმართ? და 2) რამდენად დამაკმაყოფილებელია, სამეცნიერო მეთოდოლოგიის თანახმად, მეცნიერების-მიერ ასეთ პრაქტიკულ თეორია-კლასიფიკაციათა მიმართ ფაქტიურად დაკავებული პოზიცია. პირველ კითხვას ჩვენ უკვე გავეცით პასუხი, გაუთვალისწინეთ რა საკმაო რიცხვი კონსტრუქციებისა, რომელნიც თავიანთი სამეცნიერო გამოსადეგრობის საზომად სწორედ მხოლოდ ამ ცხოვრებაში

„პოლიტ. ენციკ.“-ში: „австрійскія коронныя земли, не смотря на участіе ихъ въ изданіи мѣстныхъ законовъ, не обладаютъ, тѣмъ не менѣе, автономіею въ точномъ смыслѣ этого слова“... (გვ. 49). პირიქით, მოწინააღმდეგე შეხედულების (4⁰) თანახმად, ტერმინი „ავტონომია“ დაცულ უნდა იქნეს საკუთრად პარლამენტიან პროვინციებისათვის, ვინაიდან სახელმწიფოებრივ ერთეულებს უკვე გააჩნიათ განსაკუთრებული სახელწოდება „არასუვერენულ სახელმწიფოსი“ ან „ფედერატის“ (აგრეთვე: „შტატი“, „კანტონი“). — დასასრულ, მეორე (2⁰) შეხედულების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ „ავტონომიის“ ზოგადი მნიშვნელობა ხშირად განმარტვლოვანებული გვხვდება: „სახელმწიფოებრივ ავტონომიას“ (= არასუვერენული სახელმწიფოები) უპირისპირებენ „პროვინციულ ავტონომიებს“ (= პარლამენტიანი პროვინციები). — ტერმინოლოგიის ასეთი მრავალაზროვნება და შეუთანხმებლობა მეტისმეტად სახიფათოა: ბაბილონისებურ არეულობის ასაცდენად ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ, თუ რომელ ტერმინოლოგიურ სისტემას მისდევს ესა თუ ის ავტორი...

გავრცელებულ ტერმინოლოგიასთან თანხმობას აღიარებენ. მიუხედავად ასეთსაყოველთაეო მისწრაფებისა, მხოლოდ ერთმა კონსტრუქციამ შესძლო, როგორც ვხედავდით, დასახულ მიზნის მიღწევა. მაგრამ თუ თვით კონსტრუქცია სრულიად დაკმაყოფილებული დარჩა ამით, ესევე ვერ ითქმის. სამეცნიერო მეთოდოლოგიის შესახებაც უკანასკნელის თვალსაზრისით, ყოვლად შეუწყნარებელია თეორეტიკულ საკითხების დამუშავებაში მეცნიერებას ხელმძღვანელობას ცხოვრება უწევდეს. მეცნიერების მიერ საკლასო მცნებათა შექმნის პროცესი არსებითად სულ სხვა ხასიათის, მნიშვნელობის და სორთულის მოვლენაა, ვიდრე უბრალო ცდა-ცხოვრების შეუმცნებელ კლასიფიკაციისთვის ლოლიკურ საფუძვლების გამოძებნისა. ამ ორ განსხვავებულ პროცესის კონტრასტის გამოაშკარავება ზემო-დასმულ მეორე კითხვის გამორკვევას მოასწავებს.

ქვეშარითად მკაფიოდ უნდა ვარჩევდეთ ერთმანეთისაგან ორ ინტელექტუალურ პროცესს: 1^o. მოვლენათა განსაზღვრულ ჯგუფისათვის ხელახლად დადამოუკიდებლად კლასიფიკაციის შამუშავებას და 2^o. სხვის-მიერ მოწვდენილ მზა კლასიფიკაციის საფუძვლის მოძებნას. პირველი ამოცანა მიზნად გვისაბავს მოვლენათათვის საკლასიფიკაციო საფუძვლის (fundamentum divisionis) ამორჩევას და მის დახმარებით კლასიფიკაციის აშენებას, ხოლო მეორე პრობლემა უკვე მზა კლასიფიკაციას გვაწვდის და მხოლოდ გვა-

ვალებს—გამოვიკვლიოთ: რა საფუძველზე აუგიათ ეს კლასიფიკაცია? პირველ შემთხვევაში არ არის ცნობილი არც კლასიფიკაცია, არც მისი საფუძველი, ორივე უნდა მოიძებნოს; მეორე შემთხვევაში თვით კლასიფიკაცია მოცემულია, ძიების საგანს მხოლოდ მისი საფუძველი შეადგენს.

თუ ჩვენ აქ გამოაშკარავებულ განსხვავებას ჩაეუკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ის სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც მკვლევარნი განსაკუთრებით ეწეოდნენ სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის დაზღვევაში, სწორედ ამ მეორე ტიპის ამოცანის გარდაჭრის ცდას წარმოადგენდა: პუბლიცისტები როდი ცდილობდნენ—დამოუკიდებლად აეგოთ იმა-თუ-ამ იურიდიული პრინციპის საფუძველზე სამეცნიერო კვლევა-ძიების საკუთარ ინტერესებთან შეფარდებული კლასიფიკაცია, არამედ მოეღოს დროს უკვე სადღაც მეცნიერების გარეშე (და ისიც შეუმცნებლად!) შემუშავებულ კლასიფიკაციის ლოდიკურ გამართლებას ანდომებდნენ. ჟელლინგკ-გაჩეკისათვის ისევე როგორც დჟუგისათვის, დაასისათვის იმდენადვე, რამდენადაც ლაზარევისათვის სრულიად გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა კლიასთა-ქმნის სამეცნიერო პროცესის ჭეშმარიტი ბუნება, პეტრაჟიციკის-მიერ გადაშლილ ძვირფას მეთოდოლოგიურ პრინციპში: კლასიფიკაციის საფუძველის ამორჩევაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ მხოლოდ იმით, თუ რას ვვიკარნახებს საკუთარი ინტერესები სამეცნიერო კვლევა-ძიების

იმ დარგისა, რომლის საჭიროებათათვისაც იქმნება თვით კლასიფიკაცია. ყოველი განსაზღვრული ჯგუფი მოვლენათა მრავალნაირად, ე. ი. მრავალ სხვა და სხვა საფუძველით შეიძლება განკლასოვანებულ იქნეს; ამოცანის უმთავრეს მომენტსაც სწორედ იმ საკითხის გამორკვევა წარმოადგენს, თუ ამ მრავალ სხვადასხვა საკლასიფიკაციო საფუძველთაგან რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, მრავალ შესაძლებელ კლასიფიკაციათაგან რომელ ერთზე შევჩერდეთ? შეუწყნარებელია პასუხი ამ კითხვაზე, რომელიც დასახელებულ პუბლიცისტთაგან მოვისმინეთ: „იმ კლასიფიკაციაზე, რომელიც თვით ცხოვრებას აურჩევია“-ო. უცილობელია მეორე პასუხის სამართლიანობა: „იმ კლასიფიკაციაზე, რომელიც უკეთ აკმაყოფილებს სამეცნიერო ცოდნის მოთხოვნილებებს“... ჩვენი პრობლემის კვინტესენციაც, მაშასადამე, შემდეგი კითხვის გამორკვევაში უნდა მდგომარეობდეს: „რატა მოთხოვნილებებია ის მოთხოვნილებები, რომელთაც აუკრძალავი ცოდნა წარმოუყენებს დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის მოვლენათა კლასიფიკაციას?“ ამ უაღრეს მნიშვნელობის საკითხის გაშუქება ჩვენ მოვუხიბდება ქვემდებარე ნაშრომის დოგმატიურ ნაწილში.

C) მკითხველისათვის მას შემდგომ, რაც ეხლახან ითქვა, სრულიად ნათელი უნდა იყოს, თუ რა ხასიათის შეხედულებებს მივიჩნევთ ჩვენ, სამეცნიერ-

რო მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ზემო განხილულ კონსტრუქციებზე ერთი საფეხურით უფრო მაღლა მდგომად. ცხადია, რომ ასეთი მეცნიერულად უფრო მაღალხარისხოვანი კონსტრუქციები უწინარეს ყოვლისა სრულიად განთავისუფლებულად უნდა იგულისხმებოდენ სიტყვის ეტიმოლოგიის და ცხოვრებაში დაკანონებულ ტერმინოლოგიის გავლენათაგან. შემდეგ, აუცილებელ პირობას მათი მეცნიერულობისას შეადგენს მოთხოვნა მოვლენათა განკლასოვანების იურიდიულ მიზანშეწონილობისა. მართალია, თვით ის საკითხი, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული იურიდიულად მიზანშეწონილად შესაძლებელია სადავო საგნად იქცეს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს დასახელებულ დებულების უკვე სამეცნიერო კვლევა-ძიების ერთად-ერთ კრიტერიუმად პრინციპიალურ აღიარებას. ხოლო, რაც შეეხება იმ კონსტრუქციას, რომელიც პრინციპიალურ აღიარებასთან ერთად, ქვემდებარე საკითხის წარმატებით გადაჭრას არსებითადაც-კი შესაძლებდა, — ასეთი კონსტრუქცია ხომ სამეცნიერო კვლევა-ძიების კიდევ უფრო მაღალ — და სახელდობ, უმაღლეს — საფეხურად ჩაითვლებოდა. სამწუხაროდ, ასეთს სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხის იურიდიული ცოდნის დამაგვირგვინებელ თეორიას ჩვენ დღემდის მოკლებული ვართ.

დახასიათებულ ტიპის კონკრეტულ კონსტრუქციების გასაცნობად საკმარისია ავირჩიოთ სურვი-

ლისამებრ ერთი ზემო განხილულ კონსტრუქცია-
თაგანი და წარმოვიდგინოთ, რომ იგი შექმნილია
მკვლევარის-მიერ არა სიტყვის ეტიმოლოგიის ან
ცხოვრებაში ხმარებულ ტერმინოლოგიის ზეგავლენ-
ით, არამედ დამოუკიდებელ სამეცნიერო შემეცნე-
ბის განსაკუთრებული მოსაზრებით. ავიღოთ, მაგა-
ლითად, თვითორგანიზაციის თეორია, — ვიგულის-
ხმოთ, რომ მკვლევარს მისი შექმნით სურდა არა
მეცნიერების გარეშე შეუმცნებლად მიღწეულ „უნი-
ტარიზმის“ და „ფედერალიზმის“ მცნებათა გამიჯნ-
ვის ლაბიკური დაკანონება, არამედ სრულიად ახალი,
დამოუკიდებელი კლასიფიკაციის შექმნა იურიდიულად
უმნიშვნელოვან მომენტებთან მიზანშეწონვით; იდეალურ
კლასიფიკაციად, ამ მკვლევარის თვალსაზრისით,
უთუოდ, ის კლასიფიკაცია იქნებოდა მიჩნეული,
რომლის საკლასო მცნებებშიაც ჰპოვებდენ საუკუ-
თესო გამოსახულებას ჰაბიტიკურად უმნიშვნელოვანესი
ფაქტორები¹⁾. თვითორგანიზაციის თეორიის ავტორს
ასეთ პოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს მომენტად,
ცხადია, უნდა ჩაეთვალა შემდეგი გარემოება: გააჩ-
ნია, თუ არა, დეცენტრალისტურ ნაწილს კომპე-
ტენცია თავისი სახელმწიფოებრივის წესწყობილების

1) იურისპრუდენციის და პოლიტიკის (აგრეთვე სო-
ციოლოგიის) ურთიერთ-დამოკიდებულების ბუნების შესა-
ხებ იხ. მე-II-ე განყოფილებაში; აქვე ვაფრთხილებთ მკით-
ხველს, რომ ყველგან, სადაც-კი პოლიტიკაზე გვიხდება
ლაპარაკი, ჩვენ პოლიტიკა — მეცნიერება გვაქვს მხედვე-
ლობაში.

თავისუფლად შეცვლისა. აქ პოლიტიკურ საზომად მიღებულია სახელმწიფოს დეცენტრალისტური ნაწილეობის ინტერესების დაცვა, — და, თანახმად ქვემდებარე შეხედულებისა, არც საკანონმდებლო კომპეტენციის სწავსებობას, არც საკუთარი კონსტიტუციის უფიქსაციობას, არც Kompetenz-Kompetenz-იას და არც სხვა რომელსაშე უფლებას ვერ მიეწერება აღნიშნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც, ვითომც, თვითორგანიზაციის კომპეტენციით აღჭურვილობის ფაქტს უნდა გააჩნდეს. ასეთ რწმენაზე დამყარებულ კლასიფიკაციის ხასიათი სრულიად ნათელი უნდა იყოს ჩვენთვის: არასუვერენულ სახელმწიფოებად ან „სახელმწიფოებრივ ავტონომიებად“ მიჩნეულ იქნებიან ისეთი დეცენტრალისტური ნაწილები, რომელნიც ავტორგანიზაციის კომპეტენციას ეუფლებიან, — ხოლო უბრალო „ავტონომიებად“ ან „პროვინციულ ავტონომიებად“ — ისეთი პარლამენტური კოლექტივები, რომელნიც ამ კომპეტენციას მოკლებულნი არიან. დაე — აღმოჩნდეს, რომ ამ კლასიფიკაციას ეწინააღმდეგება ცხოვრებაში დაკანონებული ტერმინოლოგია: თვითორგანიზაციის ზოგიტიკურ თეორიის ავტორს ეს გარემოება მხოლოდ საბაბს მისცემს — თვით ტრადიციონური კლასიფიკაცია აღიაროს უვარგისად. ამრიგადვე, მაგ., Kompetenz-Kompetenz-იის ზოგიტიკურ თეორიის დამცველს ფაქტობისი კლასიფიკაციის ჩვეულებრივი ტერმინოლოგიის

მხრით უარყოფილობისა ოდნავადაც არ დააშინებს. ჩვენ ზემოთ გავეცანით პროფ. კოტლიარევსკის-მიერ მოყვანილ ფორმულას, რომელიც შეიცავს Kompetenz-Kompetenz-ით აღჭურვილ და მას მოკლებულ ერთეულთა ლოდიკურ დაპირისპირებას. ფორმულას მოსდევს ავტორის საკუთარი აღსარება: „Это различіе не вполне соотвѣтствуетъ различію федеративныхъ и унитарныхъ государствъ, какъ оно обычно проводится“¹⁾. მაგრამ ეს გარემოება, ავტორის შეხედულებით, სრულიადაც არ უკარგავს განსაკუთრებულ იურიდიულ მნიშვნელობას „კომპეტენციის კომპეტენციით“ აღჭურვილობის ნიშნით აგებულ კლასიფიკაციას, — აკი ავტორი აცხადებს: „въ предѣлахъ поставленной задачи“²⁾ *имѣетъ особое значеніе* контрастъ двоякаго рода государствъ“... და სხვა. ოღონდ პროფ. კოტლიარევსკი არ ჩქარობს ტრადიციონური ტერმინები: უნიტარული და ფედერატიული მაინცა-და მაინც, მხოლოდ მის მიერ იურიდიულად მნიშვნელოვანად აღიარებულ კლასებს მიუსაკუთროს³⁾.

რაკი იურიდიულ კლასიფიკაციათა მიზანშეწონილობის კრიტერიუმად ესა თუ ის პოლიტიკური

1) Власть и право, გვ. 261.

2) ავტორი ე. წ. „უფლებრივ სახელმწიფოს“ პრობლემას იკვლევს.

3) ამ მეტად ორიგინალ და დამოუკიდებელ შეხროვნის მეთოდოლოგიურ შეხედულებას ჩვენ ამ ნაშრომის მე-II-ე ნაწილში გავეცნობით.

მოასწრება გამოცხადდება, იურიდიულ სკოლასტიკისაგან თავისუფალ, დამოუკიდებლად მოაზროვნე მკვლევარისათვის იხსნება ამათ საშუალება კიდევ ერთი თამამი ნაბიჯის წინ გადადგმისა. კარგა ხანია — ცნობილია პოზიტიურ უფლებების დუალიზმი, რომელიც „იურიდიულ“ და „არა-იურიდიულ“ უფლებათა ერთმანეთთან დაპირისპირებაში გამოიხატება. ტრადიციონური კონცეპცია იურისპრუდენციისა სახელმწიფოში მომქმედ უფლებრივ ნორმების მხოლოდ ერთს ნაწილს აღიარებს „იურიდიულობის“ ხარისხს, დანარჩენი ნაწილი „მეტა-იურიდიულობის“ დაბალ საფეხურზე რჩება. ცნობილია ისიც, რომ ეგ „მეტა-იურიდიული“ უფლებრივი ნორმები ხშირად იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის გააჩნიათ, აქარბებენ და არც რაოდენობის მხრით ჩამოურჩებიან — საკუთრად „იურიდიულ“ ნორმებს. ე. წ. „კონსტიტუციონალური შეთანხმებანი“, რომლებზედაც სანახევროთ მაინც დამყარებულია ინგლისის და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი წესწყობილება, თანამდროვე სკოლასტიურ იურისპრუდენციაში ასეთსავე „იურიდიულ დეგრადაციას“ განიცდიან. შეფუძლებლათაა მიჩნეული მათი აღიარება „იურიდიულ“ ნორმებად¹⁾, მაგრამ, თუ „მეტა-იურიდიული“ უფლებ-

¹⁾ ქვემდებარე საკითხს ვრცლად ჩვენ მე-II-ე განყოფილებაში განვიხილავთ.

რივი ნორმები, როგორც ვსთქვით, პოლიტიკურის თვალსაზრისით, არა ნაკლებ მნიშვნელოვანად გვევლინება, ვიდრე უფლების „იურიდიული სისტემა“, ხომ თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ მკვლევარს, რომელსაც იურიდიულ შემეცნების კრიტერიუმად სწორედ ეგ პოლიტიკური თვალსაზრისი, ე. ი. სამეცნიერო პოლიტიკის პრინციპები აურჩევია, — ასეთ მიმართულების მკვლევარს „მეტა-იურიდიულ“ უფლებათა სისტემის ცალკე გამოყოფა სახელმწიფოს საერთო პოზიტიურ უფლებისაგან და მისი კვალიფიკაცია, როგორც „არაიურიდიულ“ რამ დარგისა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ და პირდაპირ იურიდიულ შემეცნებისათვის მავნე ტრადიციად უნდა წარმოუდგებოდეს. ამრიგად აღმოცენდება ახალი, „მეტა-იურიდიული“ მიმართულება იურისპრუდენციაში, რომელსაც ძველი სქოლასტიური მიმართულების დამარცხება მოეღის.

„მეტა-იურიდიულ“ უფლებრივ ფაქტების „გამაიურიდიელებელ“ მეცნიერებს ჩვენ, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით მეტად იშვიათად ვხვდებით, ამ მიმართულების განმტკიცებისათვის იბრძვის, რასაკვირველია, პროფ. ლ. ი. პეტრაჟიცი, მთელი თავისი შკოლით. მათ შემდეგ, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში არც ერთი მკვლევარი არ უსვამს ხაზს „უფლებრივ შეთანხმებათა“ იურიდიულ ავთენტისწუნებლობას ისეთის დაჟინებით, როგორც სერგეი კოტლიარევსკი. კერძოდ, სახელმწიფოებრივ

დეცენტრალიზაციის საკითხის დარგში ის ასეთი მკერმეტყველი მაგალითის საშუალებით ააშკარავებს მოწინააღმდეგე მიმართულებების „საბედისწერო ხელოვნურობას“: „Нигдѣ, быть можетъ, не сказывается роковая искусственность юридическихъ опредѣленій, вся непреодолимая трудность дать *юридически точное выражение* (კურსივი ქვემოდაც უველგან ჩემია. ნიკ. ჯორჯ.) ტყმь оттынкамъ, уклонамъ и своеобразіямъ, которые отличаютъ *реальную жизнь* политическихъ организацій. Классическая теорія союзнаго государства основана на томъ, что существуетъ опредѣленный *юридическій критерій*, позволяющій различать несамостоятельное государство и автономную провинцію, — критерій наличности или отсутствія собственнаго права. И вотъ оказывается, что автономныя провинціи, подобныя Канадѣ и Австраліи, хотя не имѣютъ „собственнаго права“, обладаютъ неизмѣримо болѣе широкой самостоятельностью даже въ области созданія новыхъ правовыхъ нормъ, чѣмъ такія несuverенныя государства, какъ Нью-Джерси въ Соединенныхъ Штатахъ, Саксонія и Брауншвейгъ въ Германіи. Получается какое то явное несоотвѣтствіе, и мимо него не могутъ равнодушно проходить юристы, не признающіе

*абсолютнаго дуализма нормы и факта*¹⁾). — ანალოგიურ მაგალითების რიცხვი შესაძლებელია შესამჩნევად გადიდებულ ყოფილიყო, საჭიროება რომ ითხოვდეს²⁾).

ვფიქრობ, რომ იურიდიული მეცნიერების „პოლიტიკურ“ მიმართულების და ამ უკანასკნელში „მეტა-იურიდიული“ მიმდინარეობის ხასიათი გამოჩვენებული უნდა იყოს ზემორე თქმულით. ჩვენ მივემხრეთ „პოლიტიკურ“ მიმართულებას, ვიცანით „მეტა-იურიდიული“ ფაქტების „გაიურიდიულების“ აუცილებელი საჭიროება, უარყავით შემავიწროებელი ტრადიციონული იურიდიული კონცეპცია... დადებით მუშაობის დროს, რომელსაც ჩვენ ქვემდებარე შრომის მეორე განყოფილებაში შევუდგებით, ჩვენ გამოვიყენებთ და დაწვრილებით განვავითარებთ აქ გამოთქმულ პრინციპიან მოსაზრებებს.

აქ ჩვენ გვსურს რამოდენიმე გვერდი ვუძღვნათ ქართულ პუბლიცისტურ ლიტერატურას სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის საკითხის შესახებ.

საჭიროება ამ ლიტერატურის განხილვისა არ გამოდინარეობს თვით ქვემდებარე კვლევის საკუთარი

1) С. Котляревский. Власть и право, გვერდი 259—260.

2) პროფ. გაჩეკი იძულებული ხდება ბრიტანია სახელმწიფოებრივ კავშირად აღიაროს, — მხოლოდ „არა-იურიდიულ საფუძველზე“ (Гачекъ, Общее госуд. право III, § 3, Внѣюридическая основа государственнаго соединенія, стр. 33—51).

სამეცნიერო მოთხოვნილებათაგან: ამ საკითხის დარგში ქართველი პუბლიცისტების ვარჯიშობით მეცნიერებას არც რამე შემატებია, არც დაკლებია. თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მსჯელობის მთლიანობას იმ ზომამდე ვიმეტებთ, რომ მას ამ მეცნიერულის თვალსაზრისით ირაციონალურ ნაწილის შიგ ჩართვით ვარღვევთ, ეს ნაბიჯი იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ თვით ქართულ სამეცნიერო აზროვნების ბედ-ილბალი მეტად მწვავე და საჭირობოროტო საკითხად მიგვაჩნია, რომელსაც არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ და არ შევეხოთ ყოველ კოტაოდნად მოსახერხებელ და ზოგჯერ თუნდ შეუსაბამო შემთხვევაშიაც-კი. აქაც ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ დავახასიათოთ ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც ამყოფება ქართული სამეცნიერო აზროვნება ისევე, როგორც სხვა მხარეები ჩვენი მშობლიური ცხოვრებისა.

ზემორე თქმულით თავისთავად ცხადი ხდება, რომ, რადგანაც ჩვენი სამუშაო მდგომარეობს არა მეცნიერებისათვის სასარგებლო აზრების ამოკრეფაში ქართველ პუბლიცისტების ნაწარმოებებიდან, არამედ მხოლოდ ამ უკანასკნელთა ღირებულების საერთო დახასიათებაში, ამიტომაც სრული გადათვალისწინება ეგვეს ქართულ პუბლიცისტურ ნაწარმებისა უსარგებლო, დაკარგულ და მოსაწყენ შრომად ჩაითვლებოდა. დასახული მიზნისათვის საკმარისია ავირჩიოთ რამდენიმე ტიპიური ნაწარმოები და ახლოვ

გავეცნოთ მათ. ასეთ ნაწარმოებების ამორჩევის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით ორი მოსაზრებით: 1. ჩვენ შევიჩერდით უკანასკნელ ხანებში გამოსულ ნაწარმოებზე, ვინაიდან ამ ბოლო დროს განსაკუთრებით იმატა საზოგადოებაში ინტერესმა ავტონომიუ-ფედერაციისადმი, და ჩვენც უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ სათანადოთ უნდა გაზრდილიყო ამ საკითხთა ცოდნაც პუბლიცისტურ წრეებში, რათა შესაძლებელ გამხდარიყო გაღრმავებული საზოგადოებრივი ინტერესის უფრო შესაფერისი დაკმაყოფილება და 2. თვით უკანასკნელ დროის ნაწერებში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმას, რომელნიც უფრო ცნობილ და თითქმის „მოლიდერე“ პუბლიცისტების კალამს ეკუთვნიან.

ჩვენს წინ გადაიშლება თავზარდამცემი სურათი. საარაკო უვიცობა და მის თანაბარი აღვირაზ-სნილობა მსჯელობისა, ავტორიტეტიულის ტონით აზრების გამოთქმისა — აი თანამედროვე ჩვენი „პუბლიცისტოკა“... ჩვენ მივაწვდით მკითხველს ფაქტიურ მასალას, რომლისაგან თვით ის გამოიყვანს დასკვნას იმის შესახებ, თუ რა საბედისწერო შედეგები გამომდინარეობს ჩვენი სამშობლოსათვის ამ გარემოებისაგან, რომ მისი საზოგადოებრივი აზროვნების და მოქმედების საჭე უვიცობას და პასუხის მგებლობის გრძნობასთან გაუცნობელ კადნიერებას უპყრო-ათ ხელში...

დავიწყეთ ჩვენი განხილვა იქიდან, საიდანაც უდიდესი პრეტენზიები მოისმის.

თედორე ღლონტმა, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ლიდერთაგანმა, წარსული წლის დამლევს გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „ავტონომია და ფედერაცია,“ რომელიც სამასზე მეტს წვრილად დაბეჭდილ გვერდს შეიცავს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი ლიტერატურა, ბოლოს და ბოლოს, ეღირსა ნამდვილ „კაპიტალურ“ თხზულებას სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის საკითხის დარგში: 300 გვერდი მეცნიერული მსჯელობისა ერთსა და იმავე პრობლემაზე—განა სახუმრო საქმეა!.. მაგრამ დახეთ ასეთ მოულოდნელობას: თქვენ შლით წიგნს და უკვე სარჩევის გადათვალთვრებით, ხოლო კიდევ უფრო სავსედ თვით ტექსტის წაკითხვის შემდეგ, რწმუნდებით, რომ წიგნის სულ ცოტა რომ ვსთქვათ $\frac{4}{5}$ შეიცავს მსჯელობას რაც გნებავთ საკითხებზე, გარდა დაპირებული ფედერაციის და ავტონომიის პრობლემისა. ირკვევა ამრიგად შეუთანხმებლობა სათაურის და მისი შინაარსის შორის, შეუთანხმებლობა იმ ზომამდე, რომ შეცდომაში შეყვანილ მკითხველს ნამდვილი იურიდიული საფუძველი შეეცემოდა ავტორის პასუხისმგებლობაში მოსაწვევად, რომ აქ ერთი შესაწყნარებელი გარემოება არ შევლოდეს საქმეს: აღნიშნული შეუსაბამობა ავტორის ბოროტი განზრახვით როდია გამოწვეული, არამედ მისი მეცნიერული შეუგნებლობით და გულუბრყვილობით, რომლის ქეშმარიტ ბუნებას ჩვენ ქვემოთ ახლოს გავეცნობით.

ფიქრობთ, რომ მკითხველი უამისოდაც შეუ-
რიგდებოდა საქმის ასეთ ვითარებას, იქედით, რომ
იმ დანარჩენ სამოციოდვე გვერდზე მაინც, რომელიც
აჭრელეებულა სიტყვებით: „ფედერაცია“ და „ავტონ-
ომია“ იპოვიდა იგი სერიოზულ გამოკვლევას აღ-
ნიშნულ მცნებებთან დაკავშირებულ პრობლემისას.
მაგრამ აი მეორე უბედურება: თქვენ გულმოდგინეთ
გადაიკითხავთ თავიდან ბოლომდე ამ „ნარჩევ“ ფუ-
რცლებს და დასასრულს განცვიფრებული შესჩივ-
ლებით ავტორს: „წიგნი დასრულდა... მაგრამ რაღაა
ეგ ავტონომია, რა არის ფედერაცია?!“ ჭეშმარიტად,
ესევე კითხვები გამოურკვეველი რჩებიან თვით ავ-
ტორისათვის! ამაოდ სვამს ავტორი მათ გადასაწყვე-
ტად დაჟინებით თითქმის ყოველ ნაბიჯზე და ამაოდ
ცდილობს მათს გადაწყვეტას კვლავ და კვლავ გან-
მეორებით, თითქოს თვითვე სავსებით გრძნობდეს,
რომ წინანდელი ცდა საკითხის გადაჭრისა უვარგო-
სი იყო: მეთექვრთ ალმართული ბარიერი იმდენადვე
უწვდომელი და უძლეველი რჩება თედორე ლლონ-
ტის სამეცნიერო რაშისათვის, როგორც პირველი
და ყველა სხვა. გასაკვირალიც არ არის! ავტორი
გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ შესაძლებელია
განმარტება „ავტონომიის“ და „ფედერაციის“
იუჩიდიულ ინსტიტუტებისა ამ უკანასკნელთა ფუნ-
დიულ ნიშანდობლივ თვისებების მხედველობაში
მიუღებლად. მართლაც წიგნის უკანასკნელ ფუ-
რცლებამდე თქვენ ვერ იპოვით მითითებას, თუნდ

ერთს იურიდიულ ნიშანზე, რომელიც ახასიათებს ავტონომიას ან ფედერაციას, ხოლო ნაცვლად გარკვეულ და სასტიკათ განსაზღვრულ უფლებრივ მცნებებისა ავტორი გვაყრუებს ბუნდოვან და უსაზღვრო გაზიდულობის მნიშვნელოვან სიტყვების რახარუხით. და ეგ — მიუხედავად თვით ავტორის აღსარებისა, რომ, უწინარეს ყოვლისა „ფედერალიზმი ფორმაა სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა“ (გვ. 328), ე. ი. წმინდა იურიდიული მცნება (კიდევ 325 გვ.: „ფედერალიზმი ფორმაა პოლიტიკურ წესწყობილებისა“). მხოლოდ წიგნის დაახლოვებით მე-300-ე გვერდის შემდეგ ელირსება ბოლოს და ბოლოს განაწამები მკითხველი რამოდენიმე ფურცლის მანძილზე იურიდიულ ფაქტების მოხსენებას და იურიდიულ მსჯელობას. მაგრამ... აქ მას მოელოის უკანასკნელი სიურპრიზი: ფაქტები იგი სრულიად ყალბად გაშუქებულია და მსჯელობა იგი პაროდიაა იურიდიულ მსჯელობისა! დავასაბუთოთ ჩვენი დახასიათება ფაქტებით.

დავიწყოთ იმის გაცნობით, თუ როგორ დებულობს ბ. ლლონტი იურიდიულ ბარიერებს არა-იურიდიულ ნახტომებით. საინტერესოა, რომ ყოველ ასეთ ნახტომის წინ გულადი მხედარი საჭიროდ რაცხს მიაქციოს ჩვენი ყურადღება იმაზე, რომ ყველა მის წინამორბედ მხედრებს კისერი უტეხიათ ამავე ბარიერის აღების დროს. აი, მაგ. 210-ე გვერდზე ბ. ლლონტი გვაკნობს „ფედერალიზმს,“ ხო-

ლო წინდაწინვე მოგვაგონებს: „საზოგადოდ, ფედერალიზმი, როგორც მოძღვრება, თეორია და პრაქტიკა სრულიად უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის“-ო და: „დანამდვილებით შემიძლიან ვთქვა, რომ არა თუ უბრალო მკითხველმა, თვით „კარგმა“ სოციალდემოკრატმა ჩვენში არაფერი იცის ფედერალიზმისა“-ო. ავტორი ამის მიზეზად სთვლის იმ „წყაროების სისუსტეს,“ რომელთაგანაც ამოკრფავენ ხოლმე „სოციალდემოკრატები“ მეცნიერულ ცნობებს ფედერალიზმის შესახებ. „კარგი“ სოციალდემოკრატის დაცვა, მართალი მოგახსენოთ, არც ჩვენს განზრახვაში შედის, მაგრამ აი როგორ განმარტავს „ფედერალიზმს“ (უნდა ვიგულისხმოთ— „კარგი წყაროების“ გამოყენებით) თვით ბ.ნილლონტი, — „კარგი სოციალისტი — ფედერალისტი“: „ფედერალიზმის პოლიტიკური ორიენტაცია ოლქებისა და ერების ავტონომიაა, პრინციპი დეცენტრალისტური, დეზინტეგრაცია, დიფერენციაცია, ხოლო ავტონომიურ ერთეულთა ურთიერთობა, კავშირი, მთლიანობა, პრინციპი ცენტრალისტური, ინტეგრალური, ასოციური“ (გვ. 210). შეუძლებელია ამ საუცხოვო წანადადებას იმ ხომამდე მიეჩვიო, რომ შესძლო გაუღიმებლად მისი განმეორება! ნუ თუ ავტორი მართლაც ფიქრობს, რომ მან რამე ახსნა, რამე სთქვა ერთს წინადადებაში ამდენი უცხო სიტყვის ერთად მოგროვებით, რომელთაგან თვითოეული თხოულობს თავისთვის

განსაკუთრებულ განმარტებას? ჩვენ გვესმის, რომ ავტონომიის პრინციპია „დეცენტრალიზაცია, დეზინტეგრაცია, დიფერენციაცია“, — მაგრამ გამოსარკვევი სწორეთ ის არის, თუ რაში გამოიხატება ეგ „დეცენტრალიზაცია, დეზინტეგრაცია, დიფერენციაცია?“ ჩვენ ვტყობილობთ, რომ ფედერალიზმის პრინციპია „ურთიერთობა, კავშირი, მთლიანობა, ცენტრალიზაცია, ინტეგრაცია, ასოციაცია“, — მაგრამ არსებით საკითხს სწორეთ ის შეადგენს, თუ რა საშუალებით და რა სახით ხორციელდება ეგ „ურთიერთობა, კავშირი, მთლიანობა, ცენტრალიზაცია და სხვა და სხვა“. იურიდიული ნიშნები, ბატონო, მოგვაწოდეთ, იურიდიული ნიშნები, თორემ, ათჯერაც რომ გაიმდიდროთ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ოდნავადაც ვერასფერს ვერ გამოარკვევთ. ყველამ უთქვენოდაც კარგად იცის, რომ ფედერაცია წააგვ „ურთიერთობა“, ხოლო ავტონომია წააგვ თვითმოქმედება; და თუ თქვენ ისეთს ცოდნის მოცემას ჩემულობთ, რომელიც „უბრალო მკითხველს“ არ გააჩნია, ინებეთ და აგვიხსენით: როგორ იმიჯნება ეჭვიდღიუჯად ერთმანეთისაგან პუბლიურ ერთეულთა თვითმოქმედების და ურთიერთობის „კავშირის“ კომპეტენციები? — მაგრამ, თუ არ ვცდებით, თვით ავტორი ვერ დარჩა კმაყოფილი თვისი პირველი მხალტე ნახტომით; ყოველ შემთხვევაში ზბნ-ე გვერდზე ის საჩქაროდ აღმართავს ხელახლა იმავე ბარიერს: „გაუვიგოთ თვით შინაარსი

ფედერალიზმისა, მისი დეფინიცია“-ო, — მოგვიწოდებს ავტორი. „ამ ომისა და ნაციონალიზმის ბატონობის დროს განსაკუთრებით ფედერალიზმის დეფინიცია მტკიცედ უნდა გვახსოვდესო“. როგორც ხედავთ, ამ შემთხვევისათვის ავტორი სერიოზულად ემზადება. აქვე, რასაკვირველია, — ჩვეულებრივი წინასწარი ჩივილი: „სამწუხაროდ, საზოგადოების ფართო მასა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იცნობს ფედერალიზმს“-ო. და შემდეგ — თვით „დეფინიციაც“: „ფედერალიზმს არასცერი ესმის შოვინიზმის, ავტარნიზმის და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს იგივე ებრძვის, როგორც კოსმოპოლიტიზმს და ცენტრალიზმს. ფედერალისტური მიმართულება უაღრესად ჰუმანიური მიმართულებაა. მასში კერძო მიმართულებაც დატულია და საერთოც. ან როგორც რენერი ამბობს, ფედერალიზმში დიფერენციაც არის წარმოდგენილი და ინტეგრაციაც. ფედერალიზმი ეგო-ალტრუისტულ გრძნობათა, თუ მოტივთა თაიგულია და მის გარეშე ფედერალიზმის წარმოდგენა აბსურდია. დაახლოვებით ასეთია დეფინიცია ფედერალიზმისა“. გავკადნიერდებით და შევეკითხებით ავტორს: „დაახლოვებით“ რომელი წინადადება წარმოადგენს ფედერალიზმის „დეფინიციას“ ამ წინადადებათა შორის „თაიგულში?“ ან, იქნებ, — მთელი „თაიგული?“ — „ფედერალიზმს არასფერი ესმის... ფედერალიზმი ებრძვის“... — ნუ თუ ამგვარ წინადადებებს თქვენ „დეფინიციებად“ სთვლით? „ფედერალისტური მი-

მართულება უაღრესად ჰუმანიური მიმართულებაა“
— ასე გვაცნობთ თქვენ ფედერალიზმის „თვით
შინაარს“-ს? „ფედერალიზმში კერძო მიმართულე-
ბაც დაკუთლია და საერთოცო“, — მაგრამ როგორ,
რა საშუალებით არის დაკული ფედერაციაში ეგ
ორივე მიმართულება; თუ „დეფინიციაში“ — არა,
მაშ სადღა უნდა ღოველოდეთ ჩვენ ამის განმარტე-
ბას? „ფედერალიზმი ეგო-ალტრუისტულ გრძნო-
ბათა თუ მოტივთა-თაიგულია“-ო, — მოდით და ამ
წინადადების საშუალებით გაიგეთ, თუ რა სახელმ-
წიფოებრივი ფორმაა ფედერალიზმი! ორში ერთი:
ან ავტორმა არ იცის, რაში მდგომარეობს „თვით
შინაარსი“ ფედერალიზმისა, ან მან არ იცის, რას
ეწოდება „დეფინიცია“. თუმცა შესაძლებელია მან
ერთდროულად არ იცოდეს არც ისა და არც ეს.
ყოველ შემთხვევაში 255-ე გვერდის „დეფინიციის“
ცდას მისდევს 285-ე გვერდზე ახალი ცდა ფედერა-
ლიზმის „კვალიფიკაციისა:“ „ფედერალიზმის მიზანი
ყველასი სრულქმნაა თვითოეულ ერების თავისუფ-
ლებით“ „ყველასი სრულქმნა“ — მორჩა და გა-
თავდა! „კვალიფიკაციაში“ მეტს ვერასფერს ვტყო-
ბილობთ იმის შესახებ, თუ როგორ იღწევა და
ხორციელდება ფედერაციაში ეგ სიმპატიური „ყვე-
ლასი სრულქმნა“. — ავტორის „დეფინიციები“ და
„კვალიფიკაციები“ გამოუღვევლია; 289-ე გვერდზე
კიდევ ვკითხულობთ: „შტატების და კანტონების
სისტემა, ერთა შერიგება და ეროვნულ ძალთა უფ-

ლების ერთ ფოკუსში მოქცევა — აი ფედერალიზმი“.
ავტორი სიმართლეს არ აცილებს: ფედერალიზმი
შტატების და კანტონების სისტემაა, ხოლო შტა-
ტების და კანტონების სისტემა ფედერალიზმია! მაგ-
რამ რაღაა ერთი და მეორენი? პასუხი: „ერთა
შერიგება!“ რა გზით, რა საშუალებით? პასუხი:
„ეროვნულ ძალთა უფლების ერთ ფოკუსში მოქცე-
ვით!“ როგორც ხედავთ, ჩემო მკითხველო, ბუნდო-
ვანობის საშინელს „ფოკუსში“ ჩაგვაგდო ავტორმა
და ერთს ნაბიჯსაც არ გვადგმევინებს წინ. წავი-
წიოთ წინ ჩვენ თვითონ, იქნება სადმე უფრო გარ-
კვეულ ადგილს მივაკვლიოთ, — აგერ 291-ე გვერდზე
კიდევ რაღაც „დეფინიციები“: „ავტონომია ბერძ-
ნული სიტყვაა და ნიშნავს თვითმართველობას,
თვითკანონმდებლობას¹⁾. ფედერაცია კი ფრან-
გული სიტყვაა და შეკავშირებას ნიშნავს, დამო-
უკიდებელ ერთეულების შეთანხმებას, საერთო ქირ-
ვარამის გაზიარებას“²⁾. მკითხველს ამ „დეფინიციე-
ბის“ კრიტიკით არ შევაწუხებ, — საკმარისია მოვიბ-
სენიო კუროზული ფაქტი: ავტორს, როგორც
ეუტობა, დავიწყებია, რომ მან თვითონ იხმარა ეს
უკანასკნელი დეფინიციები ქართულ წიგნში და სა-
შინელ ავტოკრიტიკას იძლევა თავის რუსულ პრო-

1) შეად. 154 გვ: „ავტონომია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს თვითმართველობას, სახელმწიფოს შემადგე-
ნელ ნაწალების — ოლქების, მიდამოების, ერობის კანტ-
რალურ მართველობისაგან სხვადასხვა საკითხებში დამო-
უკიდებლობას“.

შურაში (Федерализмъ, Тифлисъ, 1917). დაუგ-
დეთ უური: „въ обыденныхъ рѣчахъ и докла-
дахъ вульгаризируютъ доктрину автономіи и
федераци и отъ глубоко интереснаго полити-
ческаго ученія остается лишь одно: автономія—
самоуправленіе, самозаконотательствованіе прои-
сходитъ отъ греческаго слова, а федерация—
французское слово, значитъ объединеніе само-
управляющихся, самозаконотательствующихся
(sic ნაკ. ჯორჯ.) единицъ“ (გვ. 10). თავისივე „დე-
ფინიციებს“ ავტორი „ვულგარიზმის“ სახელით ნათ-
ლავს: თავისთავის „გაროზგვაც“ სწორეთ ამას ეწო-
დება!—მკითხველს, მგონი, თავი მოვაბეზრეთ ამდენ
მარგალიტის ამოწერით, მაგრამ ვთხოვთ მოთმინება
იქონიოს და ეს ერთი უკანასკნელი განმარტებაც
მოისმინოს, ვინაიდან—აი თვით ავტორი რას გვპირ-
დება: „ავტონომიისა და ფედერაციის ამ განმარ-
ტებას რომ დავაკვირდებით, მაშინვე გავიგებთ მოძ-
ღვრების საფუძველს“-ო! მოდი და ნუ დაინტერეს-
დები ასეთი სამაგალითო თვისების „განმარტებით“,
რომელიც თედორე ლლონტის კალამს დაუბადია!
სმენად ვიქცეთ: „ვინც ავტონომიას და ფედერა-
ციას აღიარებს, მას ძალიან შეეფერება შემდეგი
დახასიათება: შეერთების მომხრე ვარ ჩემი ვინაობის
დაუკარგველად“ ხოლო საკუთარი ვინაობის დამ-
ცველი ვარ საერთო საქმის დაუვიწყებლად“ (გვ.
291). უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ იგი საუ-

კეთესო გრძნობებით ყოფილა გამსქვალული, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო ის იყო—გვცოდნოდა, რა რიგ ახერხებს ბ. ლლონტი უედერალიზმის საშუალებით ამ გრძნობათა განხორციელებას. ამის შესახებ კი ბ. ლლონტი სდუმს თვის „დეფინიციებსა“, „კვალიფიკაციებსა“ ღ „განმარტებებში“.

—ვხედავ, რომ ჩემი მკითხველის ნოთბინების ფიქლა გაივსო, და ამაზე ვსწყვეტ თ. ლლონტის ვარჯიშობათა არაიურიდიული ნაწილის განხილვას. შევნიშნავ მხოლოდ, რომ ბ. ლლონტი შემდეგშია ცდიდ ხანს ასეთი წყლის-ნაყვით ერთობა.

ბ. ლლონტის სპეციალური იურიდიული ცოდნის დასახასიათებლად ჩვენ მოგვეპოება სხვადასხვა კატეგორიის ფაქტები: ერთნი ააშკარავებენ, რომ ეს ცოდნა მოკლებულ ა ყოველგვარ მუდმივობას და სიმტკიცეს, ასე რომ ავტორი ერთისა და იმავე წიგნის ორს მახლობელ ფურცელზე საშინლად და შეუურიგებლად წინააღმდეგობს თავისავე თავს; მეორენი დაგვანახებენ ავტორის ცოდნის ძირითად სიყალბეს, მის მიერ სიმართლეს მოკლებულ ცნობების თავისუფალ თხზვას; მესამენი გვაცნობენ ამ ცოდნის „საარაკო ბუნდოვანობას“, ავტორის უმწეობას მეორე ხარისხოვან ნიშნებისაგან არსებითი ნიშნების გამოყოფაში, —იმ არასასიამოვნო მდგომარეობას, როდესაც ავტორი „СЛЫШИТЬ ЗВОНЪ, ДА НЕ ЗНАЕТЪ, ГДѢ ОНЪ“; მეოთხენი—მრავალრიცხოვანი წვრილმანი ფაქტები, რომელნიც ყო-

ველ ნაბიჯზე გვხვდებიან, — წარმოგვიდგენენ იურიდიული ენის სისწორის წინააღმდეგ შეცოდებებს და ყველაფერზე უფრო მჭერმეტყველურად ღალატებენ, რომ ავტორი საზოგადოდ მოკლებულია იურიდიულ მომზადებას. მაგრამ ვამეტყველოთ თვით ფაქტები.

მკითხველს, უთუოდ, ემახსოვრება, რომ ზემოთ ჩვენ გამოვთქვამთ განსხვავებას, სხვათა შორის, შემდეგ სამ ტერმინოლოგიურ სისტემის შორისაც: თანახმად ერთი ტერმინოლოგიური ტრადიციისა „ავტონომია“ ეწოდება მხოლოდ პარლამენტთან პროვინციებს, ხოლო ფედერაციებისათვის (შტატებისათვის, კანტონებისათვის და სხ.) ეს ტერმინი არ იხმარება; პირიქით, მეორე ტრადიცია „ავტონომიის“ სახელწოდებას სწორედ არასუვერენულ სახელმწიფოებს მიანიჭებს, პარლამენტთან პროვინციებს კი ამ ტიტულს არ აღირსებს ან, უკეთეს შემთხვევაში, მათ „ავტონომიის“ მახინჯ, უფლება-მოკვეცილ სახელს სთვლის; დასასრულ მესამე ტრადიცია, მოხსენებულთა შემარიგებელი, ხმარობს ტერმინ ავტონომიას, როგორც არასუვერენულ სახელმწიფოთათვის, ისე პარლამენტთან („სეიმიან“, „ლანდტაგიან“ და სხ.) პროვინციებისათვისაც, განაჩნევს რა პირველთ „სახელმწიფოებრივი ავტონომიების“ სახელით უკანასკნელთაგან — როგორც „პროვინციული ავტონომიებისაგან“. — განსაკუთრებულ საკითხს შეადგენს ის, თუ ამ პირობითი ტერმინოლოგიებისაგან რომელი უნდა იქნეს

აღიარებული სხვებზე უფრო მიზანშეწონილად. ჩვენ ვეცდებით თავის ადგილზე გავსცეთ პასუხი ამ კითხვასაც; ხოლო ეხლა გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ტერმინოლოგიის მიზანშეუწონლობა საქმის ვითარებას აჩვენებდა არ ეხება და არც ვნებს, თუ კი დაცულია ერთი პირობა: ერთხელ არჩეულ ტერმინოლოგიურ ტრადიციას მეცნიერი მუდმივად უნდა მისდევდეს, არ ლალიატობდეს, სხვა ტერმინოლოგიურ სისტემაზე შეუმჩნევლად არ გადადიოდეს. წარმოიდგინეთ ეხლა ისეთი მკვლევარი, რომელიც მკითხველის გაუფრთხილებლად, ერთდროულად სამს ტერმინოლოგიურ სისტემას მისდევს, რომლის თხზულებაში ტერმინ „ავტონომიას“ სამი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს; წარმოიდგინეთ კიდევ დამატებით, რომ ეს ავტორი — რაც ყველაფერზე უფრო სახიფათოა, — თვითონვე ველარ გრძნობს თავის ტერმინოლოგიის მრავალაზროვნობას — და თქვენ მიიღებთ უტყუარ სურათს თედორე ლლონტის სამეცნიერო ფიზიონომიისას. ან საბუთები ჩვენი „პუბლიცისტი“ ცოდნის ამ უმადალითო არევ-დარევისა. როდესაც ბ. მკვლევარი გვამცნობს, რომ: „კანტონს, ფედერატს, ფედერაციას მეტი უფლება აქვს, ვიდრე ავტონომიასო“ (გვ. 319) ან: „автономія не есть государство“ — (федерализмъ, 1917, გვ. 15), — ცხადია, რომ ის ამ დროს იმ მეცნიერთა წიგნების კითხვის გავლენის ქვეშ სწერს, რომელნიც ზემოდ დასახელებულ

პირველ ტერმინოლოგიურ სისტემას. მისდევენ, ე. ი. ავტონომიად სთვლიან არა ფედერატს, არამედ მხოლოდ არასახელმწიფოებრივ პარლამენტთან ერთეულებს. მაგრამ ბ. ლლონტს ხომ კიდევ ბევრი სხვანაირი წიგნები წაუკითხავს მის სიცოცხლეში, იმ წიგნებშიაც ისევ „ავტონომიაზე“ ყოფილა მსჯელობა, და რადგანაც ჩვენს პუბლიცისტს ვერ წარმოუდგენია, რომ, თუმცა სიტყვა ძველი დარჩა, მაგრამ მასთან გადაბმული მტნება კი უკვე ახალ, წინანდელის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე მნიშვნელობას ატარებდეს, — ამიტომაც იგი თამამად ითვისებს ამ მეორე კატეგორიის წყაროებიდან დებულებებს, რომელნიც სრულიად უარყოფენ „ავტონომიისათვის“ მის მიერვე მიღებულ, ზემოაღწერილ განმარტებებს; სახელდობრ: ავტონომიებად უკვე „არასახელმწიფოებრივ“ ერთეულებს როდი სთვლიან, არამედ წინააღმდეგ — სწორედ „არასუვერენულ სახელმწიფოებს“, „ფედერატებს“; მოუსმინეთ: „ფედერაციას ორი მხარე აქვს... ავტონომია და უნია“ (გვ. 156), ან: „ფედერალიზმის პოლიტიკური ორიენტაცია... ავტონომიაა“ (გვ. 210), კიდევ: „автономія мыслима и цѣлесообразна только при федераціи“ (Федерализмъ, стр. 16). მაგრამ ბ. ლლონტს ბევრი წიგნი აქვს წაკითხული მის სიცოცხლეში, მათ შორის ისეთებიც, რომელნიც ავტონომიაში ორ სახეს განარჩევენ: პროვინურს და სახელმწიფოებრივს, ან, ყოველ შემ-

თხვევებში, პირველს სთვლიან „არასავესე ავტონომიად“, ხოლო მეორეს — „სრულ ავტონომიად“; ბ. ლლონტი ეხლაც ისევე მონურად, თავისივე ტექსტთან შეუთანხმებლად, ამოსძახებს იმას, რაც შას ჩასძახეს ამ მესამე კატეგორიის წიგნებმა, — დაუგდეთ ყური: „ავტორიამ თუ თავის ერებს სრული ავტონომია არ მიანიჭა“-ო... და სხვა (გვ. 154), ან: „ავტონომიის სიმტკიცე ფედერალიზმშია და ფედერაცია სიცოცხლე ავტონომიისა“ (გვ. 291), ან კიდევ: „ჩვენ იმდენად ავტონომისტები აღარ ვართ, რამდენად ფედერალისტები“ (გვ. 320). დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ ბ. ლლონტის საზღვროვანო ორგანო მოკლებულია სამეცნიერო ხავეზბის მონელების, ერთმანეთთან შეთანხმების ნიჭს... ჩვენ ვურჩევთ ბ. ლლონტს ცოტაოდენ დაფიქრდეს იმ საგანზე, თუ ვის მისამართით უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო სამართლიანად და ზედგამოჭრილად განსვენებულ მიხაილოვსკის შემდეგი სიტყვები, რომელთაც უშიშრად გადმოგვქდავს თავის წიგნში თვით ავტორი (გვ. 313): „ბევრი მეცადინეობა და კითხვაც ზოგიერთს დაუთარს უბნებს და გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს“-ო.

ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს კი ირკვევა, რომ, მიუხედავად ავტორისავე კატეგორიულ რწმუნებისა, რომ „ავტონომია წარმოსადგენია მხოლოდ ფედერაციაში“... (автономія мыслима только при федерации“), ავტორისათვის არ რჩება უც-

ნობი ის მოულოდნელი აღმოჩენაც, რომ ავტონომია ამავე დროს, თურმე, ფედერაციის გარეშედაც წარმოსადგენი ყოფილა, ე. ი. ფედერატსა და ავტონომიას შორის რაღაც განსხვავება არსებულა: „კანტონს, ფედერატს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ავტონომიას“-ო. და აი საინტერესოა ეხლა შევიტყოთ, თუ რამდენადა აქვს გათვალისწინებული და შეთვისებული ბ. ლლონტს იურიდიული საფუძველი ფედერატსა და ავტონომიას („ავტონომიურ პროვინციას“) შორის განსხვავებისა, რომელსაც იგი ეგზომ სსსწყულებრივ ხან უარყოფს და ხან აღადგენს ერთისა და იმავე წიგნის სხვადასხვა ფურცლებზე. სწორედ აქ შეგვიძლია ჩვენ საუკეთესოდ გამოვცადოთ ავტორის ნიჭი და მომზადებულობა არსებით ნიშნების მეორე ხარისხოვან მოვლენათაგან გამოყოფაში. ის, რასაც ჩვენ აქ ვემოწმებით, სამწუხაროდ, აქარბებს ყოველგვარ მოლოდინს! მოვლენათა არსებით ნიშანდობლივ თვისებების მეორე ხარისხოვან ნიშნებზე დახურდავებას თქვენი ჭირიც წაუღია, — ბ. ლლონტი ისეთ მოვლენებს უახლოვებს და გადააბამს ერთმანეთს, რომელთა შორის არავითარი პირდაპირი მიზეზობრივი (იურიდიულად ფუნქციონალური) კავშირი არ არსებობს. ეს თანასწორის სიმართლით ითქმის იმ სამსავე ფედერალიზმისათვის ვითომც იურიდიულად დამახასიათებელი თვისებების შესახებ, რომელზედაც მიგვიითებებს ჩვენი სახელგანთქმული კალმოსანი და რო.

მელთაგან სინამდვილეში პირველი და მეორე არავითარ პირდაპირ მიზეზობრივ დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან ფედერალიზმთან, ხოლო მესამე — „არსებითი განსხვავება“, თვით ავტორის რწმუნებით — სრულიადაც არ წარმოადგენს ფედერალიზმის *specifica differentia*-ს. არ იფიქროთ, რომ სადმე ბ. ლლონტის წიგნში თქვენ შეხვდეთ თუნდ უბრალო მოხსენებას ან *Kompetenz-Kompetenz*-ის დანაწილების, ან თვითორგანიზაციის საკითხის, ან საკანონმდებლო კომპეტენციის იურიდიულ საფუძვლის პრობლემისა და სხ. ბ. ლლონტს ბევრი წიგნი წაუკითხავს მის სიცოცხლეში, მაგრამ — გაწყრა ღმერთი და მას სწორეთ ის სპეციალური თხზულებები არ ჩავარდნია ხელში, რომლებშიაც განიხილება დასახელებული, დეცენტრალიზაციის პრობლემისათვის არსებითი საკითხები. რა უნდა ექნა ამ პირობებში ჩვენს ავტორს, რომელიც შეურყეველის სიმტკიცით მოწოდებულად სთვლის თავის თავს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა, — „რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება კატეგორიულად ილაპარაკოს“ მისთვის უცნობ ფედერალიზმისა და ავტონომიის საკითხების შესახებ („...намъ кажется необходимымъ говорить очень много самымъ категорическимъ языкомъ по всемъ этимъ вопросамъ“ (Θ. Глонти, Федерализмъ, გვ. 3) ? ამ უძლეველ სულიერ ლტოლვილების დასაკმაყოფილებლათ სათანადო ცოდნას მოკლებული ჩვენი

„თეორეტიკოსი“ ძალაუნებურად იძულებული ხდება თვის საკუთარ შემოქმედებითი ნიჭის ძლიერებას მიენდოს და თავის სამეცნიერო საღაროში გამოიხატოს რამე საშვალეობა ფედერალიზმის საკითხის რომელსამე სხვა საკითხთან გადაბმისა. და აი ჩვენი „ორიგინალ“ მეაზროვნის „ასოციური“ შემოქმედებაც რა მომწიფებულ ნაყოფს ისხამს:

ბ. ლლონტს ბევრი რამ კარგი გაუგონია რეფერენდუმზე (ყველგან ქვემოდაც საკანონმდებლო რეფერენდუმი გვყავს მხედველობაში); რად არ სცადოს და რად არ დაუკავშიროს მან ფუნქციონალურად „რეფერენდუმი“ „ფედერალიზმს“, ამ ყოველივე სიკეთის დასაბამს, — „ყველასი სრულმქმნელს“? განზრახულია — შესრულებულია. მე-300 — 301 გვ. ავტორი გვასაჩუქრებს „ფედერალიზმის ფილოსოფიით“ შთანთქმულ რეფერენდუმის თეორიით. ნუ იტყვიან, თურმე რეფერენდუმი დემოკრატიზმის პირდაპირი ფუნქცია როდი ყოფილა, არამედ ფედერალიზმისა! ან, თუ გნებავთ, „ფედერალიზმის ფილოსოფია“ ნებას გაძლევთ თვით დემოკრატიზმიც ფედერალიზმის ფუნქციად ჩასთვალოთ! თუ რეფერენდუმი ეგზომ გავრცელებულია შვეიცარიაში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, — ეს „ფედერალიზმის ფილოსოფიის“ თანახმად, იმით კი არ აიხსნება, რომ ეს სახელმწიფოები დაწინაურებული დემოკრატიებია, არამედ იმით, რომ ისინი ფედერაციებია! მაგრამ, ეს რომ ასე იყოს, რად არ

ვხვდებით ჩვენ რეფერენდუმს გერმანიაში, კანადაში, ბრაზილიაში და სხვა ფედერაციებში? ამის შესახებ ავტორი სდუმს. ან კიდევ: რეფერენდუმი რომ მართლაც სწორედ ფედერაციისათვის იყოს დამახასიათებელი, რა მიზეზია, რომ ამერიკაში ის გავრცელებულია მხოლოდ ცალკე შტატებში (რომელიც მარტივ და არა ფედერატიულ სახელმწიფოებს წარმოადგენს), თვით კავშირისათვის კი, ფედერაციისათვის საკანონმდებლო რეფერენდუმი უცნობია? კიდევ: ვინ მოახსენა ბ. ლლონტს, რომ უნიტარულ სახელმწიფოსა და რეფერენდუმის ინსტიტუტს შორის ასეთი შეურიგებელი ანტაგონიზმი არსებობდეს? ბ. ლლონტი აღბად გაიკვირებდეს, როდესაც მოვახსენებთ მეტსაც: უნიტარულ სახელმწიფოებში რეფერენდუმის მსგავსი ინსტიტუტი არც ისე უცნობია, როგორც მას ჰგონია. მხოლოდ ბ. ლლონტის ცოდნის შესავსებათ იტყულებული ვხვდებით ამოვსწეროთ აქ რეფერენდუმის შესახებ შემდეგი ცნობები: „мысль о референдумѣ находить себѣ сочувствіе и въ странахъ, гдѣ наиболее укоренились традиціи представительства. За него высказывались англійскіе торы; его же предлагали въ Бельгіи при пересмотрѣ конституціи въ 1892 году . . . Эти симпатіи въ пользу референдума были бы, вѣроятно, еще живѣе, но дѣло въ томъ, что всякое распущеніе палатъ и новые выборы являются въ этихъ

странахъ своего рода референдумомъ, такъ какъ обыкновенно на этихъ выборахъ выступаетъ главный вопросъ по отношенію къ которому и происходитъ группировка избирателей. Англійскіе выборы 1895 года, на которыхъ потерѣли поражение Гладстонъ и либералы, были своего рода референдумомъ по вопросу о гомъ-рулѣ для Ирландіи, выборы 1900 года—по вопросу о Южно-Африканской войнѣ и имперіалистическомъ направленіи внѣшней политики; выборы 1905—1906 г.—по вопросу о протекціонизмѣ и свободѣ торговли. Французскіе выборы 1902 г. являлись въ значительной степени референдумомъ по вопросу объ отношеніяхъ государства и католической церкви. Конечно, это не есть полная замѣна: на выборахъ вопросъ не ставится какъ отчетливо и изолированно, какъ это бываетъ при Швейцарскомъ и Американскомъ референдумахъ⁽¹⁾—ვეფიქრობთ, რომ მკითხველისთვის სავსებით გამოირკვა, თუ რამდენად მახინჯდება რე-

1) С. А. Котляревскій. Конституціонное государство. 1907, стр. 40—41; შვედ. მთხვე: Власть и право, გვ. 250—251 („замаскированный референдумъ“)—ავტორის ცხრილობიდან: „не получивъ предварительнаго одобренія избирателей, палаты не рѣшаются приступать къ крупнымъ реформамъ—образуется даже чувство, если и, не получившее опредѣленной юридической формулировки,—что, дѣйствуя такъ, парламентъ превышаетъ свои полномочія. Известно, какъ въ этомъ смыслѣ возражали во Франціи противъ принятія закона 1913 го-

ფერენდუმის საკითხი „ფედერალიზმის ფილოსოფიის“ ან—უკეთ—„ლლონტიზმის“ ცალმხრივად—მიკერძოებულ გაშუქებაში.

მაგრამ კიდევ უფრო უბედური დღე აღგება, „ფედერალიზმის ფილოსოფიის“ შეხების გამო, მეორე პრობლემას, ე. წ. „სახელმწიფოთა საგარეო ცხოვრების“ საკითხს. ჩვენი პუბლიცისტის ცოდნის ქაოტიურობა უკიდურესი სიაშკარავით იჩენს თავს მის ამ საკითხზე მსჯელობის დროს. ფედერალიზმის წინაშე ვაშმაგებული გუნდრუკის კმევა ბოლოს და ბოლოს თავს უბრუებს თვით თავგანწირულ ქურუმს, იგი კარგავს მოვლენათა შუა საზღვრების გარჩევას ნიქს, სრულიად უბრალო მცნებებს ის უკვე ვერ ცნობილობს, „იფანეს“ ის „პეტრეს“ ეძახის. წმინდა წყლის შინაური პოლიტიკა, „ფედერალიზმის ფილოსოფიის“ მაგიური შეხებით მოულოდნელად „საგარეო პოლიტიკად“ აღქცევა! არ გჯერათ?—მოუსმინეთ: „ავტონომია—ფედერაციის განხორციელების დროს მოქალაქეობ-

да о трехлѣтней военной службѣ почти наканунѣ общихъ выборовъ“).—პროფ. გაჩევიც სთვლის droit de dissolution ს რეფერენდუმის ფუნქციის აღმასრულებელი ინსტიტუტად; თუ უშუალო (პირდაპირ) დემოკრატიაში რეფერენდუმი პარლამენტის საკანონმდებლო მოღვაწეობის კანტროლს წარმოადგენსო, ამბობს იგი, ასეთნაირ საკანტროლო საშუალებების როლს პარლამენტალური რესპუბლიკაში (და მონარქიაშიაც—დავაძატივით ჩვენ) პარლამენტის დათხოვის ინსტიტუტი ასრულებსო (Гачевъ. Общее госуд. право წ. II. Право современной демократіи, გვ. 109—110).

რევი თავისუფლება მყარდება შინ, ხოლო საგარეო პოლიტიკაშიაც (sic!) ფედერატიული კავშირი უნდა განმტკიცდეს და ყოველი სახელმწიფო უნდა დაემორჩილოს ფედერალურ საბჭოს დადგენილებასო“ (გვ. 301). ამრიგად ჩვენ ვტყობილობთ, რომ ფედერალური საბჭოს დადგენილებანი, თურმე, საგარეო პოლიტიკის სფეროს ეკუთვნიან! მართალია, თანამედროვე სახელმწიფოებრივი უფლება სხვანაირად გვესწავლის, მაგრამ „ლონტიზმის“ მიხედვით კი ეს ასე ყოფილა. ავტორი განაგრძობს: „საშინაო ცხოვრებაში ორგანიზაციაა კანონი, საგარეო ცხოვრების სფეროშიც კანონი უნდა იყოს სახელმწიფოს უკიდურეს ეგოიზმის ამლავმელი, მაგრამ ცენტრალისტურ სახელმწიფოსათვის კანონი არ არსებობს, მან მხოლოდ კონვენციები და ტრიბუნალები, ტრაქტატები და კონტრაქტებილა იცის“. (გვ. 298). სხვაგვარ მდგომარეობს საქმე „დეცენტრალისტურ სახელმწიფოში“ (იგულისხმე: ფედერაციაში¹): აქ „საგარეო ცხოვრებაში“ სახელმწიფო, როგორც გვამცნო ავტორმა, თურმე ხელშეკრულების საშუალებას როდი მიმართავს, არამედ კანონისას! ჩანს, გერმანიის ბუნდესრატის მიერ დამტკიცებულ კანონს ჩვენი პუბლი-

1) იმის შესახებ, რომ მცნება „დეცენტრალიზაცია“ ბ. ლლონტისათვის სრულიად იფარება „ფედერაციის“ მცნებით და რომ ამ უკანასკნელს ის პირდაპირ „ცენტრალისტურ“ სახელმწიფოს უპირისპირებს და არ „უნიტარულს“, — იხ. ქვემოთ.

ცისტი „საგარეო ცხოვრების“ აკტად სთვლის! გონს მოდით, ბ. ლლონტი! ხედავთ, სადამდუ მიგიყვანათ „ფედერალიზმის ფილოსოფიით“ თვითგაბრუნებამ? რაც შეეხება „საგარეო პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულებას, ეს უკანასკნელი ერთნაირია ზოგორც უნიტარულ, ისე ფედერატიულ სახელმწიფოში. გერმანიის იმპერიის კანონების ადრესატი გერმანიის იმპერიის ქვეშევრდამებია! ვინაიდან თვითრთული გერმანიის იმპერიაც, მთლიანად აღებული, სახელმწიფოა და არა „საგარეო პოლიტიკის“ რაღაც კომბინაცია, და მისი კანონებაც გერმანიის იმპერიის შინაური ცხოვრების მოვლენებს წარმოადგენენ და არ რაღაც „საგარეო პოლიტიკაში“ მოღვაწეობას! ასეთია დამოკიდებულება ფედერაციასა და მის ფედერატებს შორის: ყოველივე „საგარეო პოლიტიკის“ წარმოება მათ შორის შეუძლებელია (რომელი უცნაური ადამიანი იტყვის, რომ, მაგ. გერმანია ვიურტემბერგის ან პრუსიის მიმართ „საგარეო პოლიტიკას“ ეწეოდეს!). სულ სხვაა — დამოკიდებულება ერთდამავ ფედერაციის ფედერატებისა ერთმანეთთან: რამდენადაც ამ უკანასკნელთ (მაგ. გერმანიის კავშირის წევრებს) მინიჭებული აქტუფლება განსაზღვრულ ფარგლებში ერთმანეთთან პირდაპირი დამოკიდებულება იქონიონ, ისინიც სწორედ ისე, როგორც ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოები საგარეო პოლიტიკაში, იძულებული ხდებიან, მიუხედავად სახელოვან „ფედერალიზმის

ფილოსოფოსის“, ბ. ლლონტის სასტიკი აღკრძალვისა, ისევ „კონვენციების და ტრიბუნალების, ტრაქტატების და კონტრაქტების“ დახმარებას მიმართონ. ყველაფერი ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ განა ესეც ჩვენი ბრალია, რომ ბ. ლლონტს თავის დროზე სახელმწიფოებრივი უფლების ანბანიც არ გაუვლია და ეხლა კი ხალხის მასწავლებლის როლში გამოდის! ყოველ შემთხვევაში, აქ ჩვენ გვეძლევა შესაფერისი შემთხვევა უკან დავუბრუნოთ ბ. ლლონტს შემდეგი საკუთარი მისი სიტყვები: „არიან ჩვენში ისეთი პირები, რომელნიც პოლიტიკურ აზროვნებაში სახელს იხვეჭენ და ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ იმ საკაცობრიო დიდი მოძრაობისა, რომელსაც ფედერალიზმი ეწოდებაო“ (გვ. 290). „მოძღვრების შესახებ საარაკო ყალბ ცნობებს ვავრცელებთ. ესე იგი საკითხის გაშუქებას კი არ ვუწყობთ ხელს, არამედ ვაძნელებთ, ბურჟსში ვხვევთ“ (გვ. 312). „თვით შინაარსი არ გვაქვს კარგად გათვალისწინებული ფედერალიზმისა“ (გვ. 313)!...

რომ ეს სწორედ ასეა და ეხლა ამოწერილი სიტყვები არავითარ გადაჭარბებას არ წარმოადგენენ თვით ავტორის მისამართით, ე. ი. რომ ბ. ლლონტს, რომელიც 300 გვ. წიგნს წერს ფედერალიზმზე, ფედერალიზმის შინაარსიც არა აქვს ნათლად წარმოდგენილი, საბოლოოდ აშკარავდება წიგნის იმ ფურცლებზე, სადაც ავტორი უკანასკნელ და გენერალურ ბრძოლას უმართავს მისთვის უძლეველ პრობლემას, სა-

დაც იგი მთელი თავისი ძალ-ღონის მოკრეფით სინჯავს ავტონომიასა და ფედერატს შორის „არსებით განსხვავების“ გამორკვევას. ამ გენერალურ ბრძოლაში ბ. ლლონტს წილად ხვდება გენერალური დამარცხება. მარცხის მთავარ მომენტს ის კა არ წარმოადგენს, რომ ბ. ლლონტის რწმუნებით: „კანტონს, ფედერატს, ფედერაციას მეტი უფლება აქვს, ვიდრე ავტონომიას—აი რა არის არსებითი განსხვავებაო“; ნამდვილად კი—როგორც ჩვენ ზემოთ ვხედავდით—არსებობენ ისეთი ავტონომიებიც, რომელთა უფლება-მოსილება ფედერატების კომპეტენციას დიდად სჭარბობს (იხ. მე-გვ. მოყვანილი ციტატა კოტლიარევსკის თხზულებიდან). ბევრად უფრო კურიოზულია ის, თუ რაში ნახულობს ბ-ნი ლლონტი ფედერატის „მეტ-უფლებიანობას“ ავტონომიასთან შედარებით: „სუვერენული უფლება რუსეთის პარლამენტსა აქვს, სადაც არც ერთი ფინლიანდიელი არ არის წარმოდგენილიო“ (გვ. 319; „Федерализмъ“, стр. 16: „ни одного финляндскаго депутата при автономіи Финляндіи нѣтъ въ русскомъ парламентѣ“); „ავსტრალიელი დეპუტატი ინგლისის პარლამენტში არ არის წარმოდგენილიო“ (გვ. 319; „Федерализмъ“, стр. 16: „ни одного австралійскаго и канадскаго депутата нельзя указать въ англійскихъ верхней и нижней палатахъ“). სვანაირად მდკომარეობს, რასაკვირველია, საქმე ფედერაციებში: აქ ფედერა-

ლოურ პარლამენტში იკრიბებიან დეპუტატები ყველა ფედერატებისაგან. აი ეს არის, ბ. ლლონტის მოსახრებით-უკანასკნელი მომწიფებული მისი მოსახრებით, — „არსებითი განსხვავება“ ფედერატსა და ავტონომიას შუა. მაგრამ შევეკითხოთ ბ. ლლონტს, მოეხსენება მას თუ არა, რომ ავსტრია წარმოადგენს არა ფედერაციას, არამედ უნიტარულ დეცენტრალისტურ სახელმწიფოს? მოეხსენება მას თუ არა, რომ რაიხსრატში წარდგენილია ავსტრიის ყველა ავტონომიური პროვინცია? მოეხსენება მას თუ არა, რომ ეს პროვინციები ავსტრიის კონსტიტუციაში პირდაპირ ასე იწოდებიან: „სამთავროები და მიწები, რომელნიც რაიხსრატში არიან წარდგენილიო“. აგვიხსნას ბ. ლლონტმა: რა რიგ მოხდა ის, რომ ის ინსტიტუტი, რომელიც მან ფედერაციის *specifica differentia*-დ გამოაცხადა (ე. ი. დეცენტრალისტურ ნაწილთა დეპუტატების ცენტრალურ პარლამენტში კანონმდებლობა), მოულოდნელად არა ფედერატიულ, უნიტარულ სახელმწიფოშიც (ავსტრიაში) ამოყოფს თავს? ან რით ავხსნათ, რომ თქვენ „ავტონომიებში“ საქმის ვითარების დახასიათების დროს გახსენდებათ ფინლანდია, ავსტრალია, კანადა, ხოლო ავსტრიის ავტონომიურ პროვინციების შესახებ დიპლომატიურად სდუმხართ? თქვენ ხომ კარგად უნდა გცოდნოდათ, რომ ავსტრიაში საქმე სხვაგვარ მდგომარეობს, რომ ავსტრიის მაგალითი თქვენს თეორიას სრულიად არღვევს. თქვენი დუ-

მილი აქ უბრალო უცოდინარობა როდია, ეს უკვე
ლიტერატურული არაკეთილსინიღისიერებაა!

„კმარა!“ — იტყვის მკითხველი... ვისაც სურს,
ესეც იკმაროს, მაგრამ იმ მკითხველს კი, რომელ-
საც, იქნებ, არა ერთხელ გაუცხადებია სერიოზუ-
ლის სახით, რომ მას წაუკითხავს, კიდევ გაუგია და
ერიად მაღლა აფასებს „დაუღალავ“ თ. ლლონტის
„კაპიტალურ“ ნაშრომს, — ასეთ მკითხველს მე ვურ-
ჩევდი თავის თავის დასასჯელად კიდევ უფრო ღრმად
შესცუროს და იყურჭუმელოს ბ. ლლონტის უფიცობის
ზღვაში, რათა ამ სანტანჯველო საცდელში განიწ-
მინდოს ძველი შეცოდებისაგან. მისთვის აქ ბოლოში
ჩვენ შევინახეთ საუკეთესო მარგალიტები ბ. ლლონ-
ტის ჭეშმარიტად ორგიასტულ ენამოძრავობისა.
თ. ლლონტი, ბოლოს და ბოლოს, თითქოს სრულიად
კარგავს ბეჭდვითი სიტყვისადმი პატივისცემას, გან-
საცვიფრებელის დაუფიქრებლობით და დაუდევრო-
ბით ის ისვრის სიტყვებს და წინადადებებს, რომე-
ლიც კი ენაზე მოადგება, დღეს ასე და ხვალ ისე,
თითქოს სახელ-განთქმულ მანასეს ეჯიბრება, თით-
ქოს თვისი დანიშნულება, როგორც პუბლიცისტიზა,
მართლაც იმაში ეცნოს, რომ: რაც შეიძლება კატე-
გორიულის ენით — რაც შეიძლება მეტი ილაპარაკოს.
„Федерализмъ“-ის მე-15 გვ. ავტორი გვამც-
ნებს, რომ „ავსტრალია და კანადა სახელმწიფოებს
არ წარმოადგენენო“; ცხრა გვერდით ადრე კი, ე.
ი. მეექვსე გვერდზე ეს კოლონიები წოდებული

არიან „ძლევამოსილ ფედერატიულ სახელმწიფოებად“ („могущественный федеративный государством“). იმავე მეექვსე გვერდზე ამ ძლევამოსილ სახელმწიფოთა სიაში ჩარიცხულია ბრაზილია, ხოლო მე-15 გვ. ვტყობულობთ, რომ ბრაზილია სახელმწიფო არ ყოფილა! ნეტა ვის კოლონიად სთვლის ბ. ლლონტი ბრაზილიას, ამ დამოუკიდებლობაში დაბერებულ სახელმწიფოს? უნდა ვიფიქროთ-ინგლისის კოლონიად, რადგანაც მას ავსტრიასა და კანადას შუა იხსენიებს.— „კანტონს, ფედერატს, ფედერაციას—ხოშაკალივით გვაყრის ბ. პუბლიცისტი—მეტი უფლება აქვს, ვიდრე ავტონომიასო“. ნუთუ მართლაც ასეა, ბ. ლლონტი? რომ ფედერატს მეტი უფლება აქვს ავტონომიაზე (იგულისხმე ავტონომიურ პროვინციაზე), ეს ფაქტურად თუ ყოველთვის არა (როგორც ამას ზემოთ ვხედავდით), ფორმალურად მაინც სწორად აგებული და გასაგები აზრია,—მაგრამ რაღას ნიშნავს: ფედერაციას მეტი უფლება აქვს, ვიდრე ავტონომიასო? ავტონომია ხომ დეცენტრალისტური ნაწილია, ფედერაცია კი დეცენტრალისტური ერთეული, —როგორ შეიძლება მათი უფლებბრივი თანშეზომვა? როგორც ფედერატს—ავტონომია, ისე ფედერაციას—უნიტარულ დეცენტრალისტური ერთეული უნდა თანშეეზომოს. და თუ ეს ასეა, როგორ შეიძლება, ერთსა და იმავე დროს ფედერატს ავტონომიაზე მეტი უფლება ჰქონდეს, ფედერაციას კი ავტონომიურ პროვინციე-

ბისაგან შემდგარ სახელმწიფოზე მეტი? — რაცა
ფედერატს უფლება ემატება, მაშინ ეს უფლება ფე-
დერაციას აკლდება; მაშასადამე—უბრალო არითმე-
ტიკული მოსაზრებით—თუ ფედერატს ავტონომიაზე
მეტი უფლება აქვს, ფედერაციას უნიტარულ სა-
ხელმწიფოზე ნაკლები კომპეტენცია რჩება! მაგრამ
ბ. ლლონტი ისეთი გრძნობით როდია აღტკინებული,
რომ არითმეტიკულ და ლოლიკურ მოსაზრებებს ან-
გარიში გაუწიოს. მისი ერთად ერთი მიზანია: რაც
შეიძლება კატეგორიულად რაც შეიძლება მეტი
ილაპარაკოს. — განვაგრძოთ: ზემოთ ჩვენ გავყვანი-
ბ. ლლონტის ასეთ წინადადებას: „ფედერაციას ორი
მხარე აქვს... ავტონომია და უნია“. შემდეგ გა-
მოირკვა, რომ ფედერაციის ერთი ე. წ. „მხარე“,
სახელდობ — ავტონომია, თურმე, ფედერაციის „მხა-
რედ“ ვერ გამოდგება, რადგან ფედერაციის ნამ-
დვილ „მხარეს“ ფედერატი წარმოადგენს, ავტო-
ნომია კი — როგორც თანდათან გამოირკვა ავტო-
რისათვის-ფედერატზე უფრო ვიწრო უფლებიანი
ერთეული ყოფილა. ესევე ისტორია-საფსებით განმე-
ორდება ფედერაციის მეორე დასახელებულ „მხა-
რის“ მისამართით, ე. ი. უნიის მცნების მიმართაც.
თუ 156-ე გვერდზე უნია პირდაპირ ფედერაციის
მხარედ ინათლება, 327-ე გვერდზე ირკვევა, რომ
უნია, როგორც სახელმწიფოებრივი კავშირი, თურ-
მე სულ სხვა რამეა, ხოლო ფედერატი უფრო კავშირი,
როგორც აგეთი, კიდევ სულ სხვა რამეა ავტორი

გვიხსნის - უნია მაშინ არსებობსო, როდესაც „მოკავშირენი შეუზღუდველნი არიანო“, ხოლო „ფედერაციის ფედერატს სუვერენული ძალა შეზღუდული აქვსო“. წინააღმდეგობის ახსნა იმავე ავტორის დაუდევრობაში უნდა ვეძიოთ: მცნება „უნია“ „სახელმწიფოებრივ უფლებებაში ტექნიკური მცნებაა, რომელიც მუდამ ერთდამავ განსაზღვრულ მნიშვნელობით იხმარება (უნია ეწოდება მაგალითად ავსტრო-უნგრეთს, მაგრამ არას დროს არ ეწოდება გერმანიას ან სხვა რომელსამე ფედერაციას); ბ. ლლონტისათვის კი ეს სიტყვა ხან იურიდიული (ტექნიკური) ტერმინია და ხან საზოგადოების სიტყვა („კავშირის“, „შეერთების“ მნიშვნელობით), რა მნიშვნელობითაც მოადგება ენაზე, ისე ასაღებს. — ამ ტერმინის წამება აღნიშნულით არ მთავრდება, — მხოლოდ იწყება. სიტყვიდან „უნია“ გრამატიკულად წარმოებულია ფორმა: „უნიტარული“, მაგრამ ამ უკანასკნელ ტერმინის მნიშვნელობა იურისპრუდენციაში განსაკუთრებულია, — ისევ ტექნიკური: „უნიტარული სახელმწიფო“ ანტითეზაა „ფედერატიული სახელმწიფოს“ მცნებისა. ბ. ლლონტი აღნიშნულ მცნებას ამ მნიშვნელობითაც იცნობს და კიდევ ხმარობს (თუმცა ძალიან იშვიათად), მაგრამ აი ეხლა მოუსმინეთ: „უნია მაშინ არსებობს, როდესაც უნიტარული (!) სახელმწიფონი სრულ სუვერენულ უფლებების გამომსახველნი არიანო“ (გვ. 327). აქ, ცხადია, სიტყვა „უნიტარული“ წარმოებულია

„უნიისაგან“ არა მარტო გრამატიკულად, — მნიშვნელობითაც კი, — მისი განსაკუთრებული ტექნიკური მნიშვნელობა კი უკვე მივიწყებულია. „უნიტარული“, კონტექსტის გაშუქებით, აქ ნიშნავს ისეთს სახელმწიფოს, რომელიც „უნიაში“ შედის. ასე რომ, შემთხვევით ავსტრია რომ ფედერატიული სახელმწიფო ყოფილიყო, მისთვის, ბ. ლლონტის ტერმინოლოგიით, ჩვენ მაინც „უნიტარული სახელმწიფო“ უნდა გვეწოდებია, რაკი ავსტრია უნიაში შედის; ამრიგად ფედერატიული სახელმწიფო იმავე დროს უნიტარული სახელმწიფო იქნებოდა! — ქვემდებარე ტექნიკური მცნების ავტორის მიერ წამება კიდევ არ დამთავრებულა. როგორც ვსთქვით, ავტორისათვის არ არის სრულიად უცნობი მცნების ნამდვილი მნიშვნელობა, როგორც ფედერაციის ანტითეზისა. მაგრამ წიგნის დიდ მანძილზე მცნების ეს მნიშვნელობა მას ავიწყდება და თვით მცნება შეუმჩნევლად სულ სხვარამეზე — „ცენტრალიზაციაზე“ შეეცვლება. ამის შემდგომ თვით „დეცენტრალიზაცია“ უკვე „ფედერაციის“ სრულ სინონიმად იქცევა, და „ფედერაცია“ — „დეცენტრალიზაცია“ უშუალოდ უპირისპირდება „ცენტრალიზაციას“, უნიტარულ-დეცენტრალისტური სახელმწიფოს მცნება კი დავიწყების უფსკრულში იძირება. ამ საარაკო არევ-დარევისაგან გამომდინარეობენ მეტად საინტერესო აღმოჩენანი ბ. ლლონტისა. თუმრმე „ცენტრალისტურ ატომისტურად მოწყობილ რესპუბლიკაში ერმა შეიძლება მიიღოს ფარ-

თო ავტონომია“ (გვ. 303), ე. ი. შესაძლებელი ყოფილა „автономія при централистическом образѣ правленія“ (Федерализмъ, стр. 16). ავტონომია ცენტრალისტურ სახელმწიფოში—ეგ ხომ ნამდვილი nonsense-ია, მაგრამ ბ. ლლონტის ნიქს სწორედ ის ახასიათებს, რომ მისთვის აბსურდებიც გასაგებია! ბ. ლლონტი წარბშეუხრელად განაგრძობს— „არც ერთ ცენტრალისტურ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, არც საფრანგეთში, არც ინგლისში“... და სხვა (გვ. 300). წარმოიდგინეთ—ინგლისი, ეს ხანიმუშო კლასიკური ქვეყანა როგორც პოლიტიკურ, ისე ადმინისტრაციულ (—ინგლისური თვითმართველობა!--) დეცენტრალიზაციისა, „ცენტრალისტურ სახელმწიფოდ“ ინათლება! მაგრამ აი კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩენა: „დეცენტრალისტები(!), როგორც ასკვიტი (!), გრეი (!), ჯორჯი (!), და სხვები მიემხრენ ფედერალიზმს“ (გვ. 323). ასკვიტი და „ცენტრალისტი!“ გრეი და— „ცენტრალისტი!“ ჯორჯი და— „ცენტრალისტი!“... და მერე—ეგ „ცენტრალისტები“ რაღაც მანქანებით გარდაიქცვიან პირდაპირ „ფედერალისტებად“!?! იწამეთ ღმერთი, ბატონო ლლონტი! „ფედერალისტის“ და „ცენტრალისტის“ შუა თქვენ სრულიად დაკარგეთ ერთი საშუალო მცნება: „უნიტარისტ-დეცენტრალისტი“. აი ასეთი „უნიტარისტ-დეცენტრალისტები“ გაახლდნენ ასკვიტ-გრეი-ჯორჯი და ამან გაუადვილა მათ შესაძლებლობა „ფედერალისტ-დეცენ-

ტრალისტები გამხდარიყვნენ. „ცენტრალისტებისაგან“
კი ბრიტანიის იმპერია ამ ბოლო ხანებში ღმერთ-
მა დაიფარა და თქვენ რაღა მისი ჯიხი გჭირთ?
აგერ კიდევ 306-ე გვერდზე თქვენ ბრძანებთ: კა-
ნადას „ინგლისის კლანჭები მოსვენებას არ აძლევე-
ნო“, და ეს—იმ დროს, როდესაც ყველა მკვლევა-
რი ერთსულოვნად ღალადებს, რომ კანადაც ისე,
როგორც ყველა სრულყოფილებიანი ავტონომიური
კოლონიები ინგლისისა თითქმის განცხრომაში იმ-
ყოფებიან მეტროპოლიის კეთილგანწყობილ მფარვე-
ლობის ქვეშა!¹⁾ ზემო მოხსენებულ მცნებათაგან
დომხალის შეზავების მიზეზი ის გახლავთ, რაც მო-
გახსენეთ: ზემო ჩამოთვლილ წინადადებებში სიტ-
ყვის „ცენტრალისტურის“ მაგიერ „უნიტარული“

¹⁾ იხ. ზემო მოყვანილი სიტყვები (გვ. 58) პროფ. კოტლიარევსკისა კანადის უფლება-მოსილების სიფართო-
ვის შესახებ; შვად. კანადის კონსტიტუციის სპეციალურ
მკვლევარის პროფ. კორტის სიტყვები: „Канада сама
осуществляет всё три функции государства: за-
конодательную, административную и судебную; она
сама творить свое право; сама и самостоятельно
распоряжается своимъ социальнымъ строемъ и по-
литической судьбой; зависимость ея отъ метропо-
лиі является въ наши дни весьма проблематич-
ною“. (бар. С. А. Корфъ, Автономныя колоніи Вели-
кобританіи, С.-Пет., 1914, გვ. 97); შვად. 73-ე გვ.:
„если бы Канада не была сама заинтересована въ
участіи въ общей Британской имперіи, то давно
бы уже отдѣлилась отъ нея, т. к. физической си-
лой Англія не въ состояніи была бы ее удержать
въ имперіи. Это признавали не только Дизраэли и
Гольдвинъ Смитъ, но и самъ Гладстонъ“.

რომ ჩავსვათ, უაზრო წინადადებებს აზრი მიეცემა. ასეთია სავალალო შედეგები ავტორის დაუდევრობისა, მის ცოდნის საშინელ რყევადობისა. ეს დაუდევრობა და უყურადღებობა საკუთარი წინადადებების, ჭეშმარიტ მნიშვნელობისადმი ხშირად დაუჯერებლად ჰიპერტროფიულ სახეს ღებულობს, — როგორც ვსთქვით, პირდაპირ ბეჭდვითი სიტყვის მიმართ სრულ მოურიდებლობად იქცევა, — როგორც, მაგ.: შემდეგს წინადადებაში: „გერმანია ადმინისტრაციის სფეროში უკვე (!) ავტონომიური სახელმწიფოა, რომლის ყოველი ნაწილი ფედერატიული კავშირით არის ერთი მეორეზე გადაჯაჭულიო“ (გვ. 154). ძნელია ყველა იმ უაზრობის აღნუსხვა, რომელიც იყრის თავს ამ უცნაურ წინადადებაში. „გერმანია უკვე ავტონომიური სახელმწიფოაო“, — მაგრამ გერმანია ხომ — აგერ თითქმის 50 წელია — სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოა! სჩანს, ავტორს სულ სხვა უნდოდა ეთქვა: „გერმანიის კავშირის წევრები ავტონომიური სახელმწიფოებიაო“. მაგრამ — თუნდ ასედაც რომ იყოს — რაღას ნიშნავენ სიტყვები: „ადმინისტრაციის სფეროში?“ თითქოს კანონმდებლობის სფეროში კი მოკლებული იყვენ გერმანიის კავშირის წევრები ავტონომიას?! გვჭირდება, მაშასადამე, ახალი განმარტება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ სიტყვების („ადმინისტრაციის სფეროში“) წინადადებაში ჩართვის ამოცანა შემდეგ გარემოებაში იმალება: შესაძლებელია, აქ ავ-

ტორის მიერ იგულისხმებოდეს გერმანიის იმპერიის წევრთა ის განსაკუთრებული კომპეტენცია, რომლის ძალითაც მათ ადმინისტრაციულ უფლება მინიჭებული აქვთ იმ საკითხების დარგშიაც კი, სადაც ისინი თვით საკანონმდებლო კომპეტენციას მოკლებულნი არიან¹⁾. მოდით ეხლა და ამოიკითხეთ ყველასთვის ზემო თქმული ბ. ლლონტის თავისუფალ გადმოცემაში: „გერმანია (!) ადმინისტრაციის სფეროში (!) უკვე (!) ავტონომიური (!) სახელმწიფოაო“ და სხვა! ჩვენც პირადად გამოვტყუდებით, რომ ბ. ლლონტის უაზრო წინადადებებში აზრიანობის ძებნამ ბევრად უფრო მოგვალა, ვიდრე თავის დროზე თვით სპეციალისტების ნაწერების გარჩევამ. ვფიქრობთ აგრეთვე, რომ საკმარისად მოვლავლეთ მკითხველიც. და—მადლობა უფალს! — ვანებებთ თავს ბ. ლლონტს.

შხლა დაგვრჩენია—გავცნოთ ორს არანაკლებ ცნობილ პუბლიცისტს ნაწერს,—უკვე ნაციონალ-დემოკრატების ბანაკიდან; ეს გახლავთ გ. გვაზავა და ვ. წერეთელი, აღნიშნულ პარტიის ლიდერთაგანნი... ჩვენდა სანუგეშოდ, ამათ არ მოხვლიათ თავში უიღბლო იდეა ქვემდებარე საკითხისათვის უსათუოთ „კაპიტალური“ ნაშრომები ეძღვნათ,—ესენი წვრილ სტატიებით კმაყოფილდებიან და

¹⁾ გარდა ფოსტა-ტელეგრაფის ადმინისტრაციისა რომელიც, ბავარიის და ვიურტემბერგის გამოკლებით, ყველგან საიმპერიოა.

ჩვენც სათანადოდ შრომას გვიმოკლებენ. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მათი ერთად-ერთი უპირატესობაც თ. ლლონტის წინაშე სწორედ ამ გარემოებაში გამოიხატება: მათ ბ. ლლონტზე ნაკლები უწერიათ ამ საკითხზე¹⁾). თორემ ის მცირედიც, რასაც ჩვენ ისინი გვაწუდიან, არ ტოვებს რამე ეჭვს იმაში, რომ—მათ რომ მეტი დაეწერათ—მათი შეცდომების რაოდენობა პირდაპირი პროპორციონალურობის დამოკიდებულებას გამოიჩინდა ნაწერის რაოდენობასთან,—სწორედ ისე, როგორც თ. ლლონტის მაგალითში...

ბ. გვაზავს დედა აზრი ის არის, რომ ავტონომიასა და ფედერატს შორის თითქო არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობდეს. „განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თვითმართველობა ყოველი შტატისა ან კანტონისა ყოველგან ერთნაირია, ერთ და იმავე შინაარსისა (კომპეტენციისა). შტატი ან კანტონები უფლებრივად თანასწორნი არიან. ეს კი არ ითქმის ავტონომიაზე. უფლებრივად ავტონომია ერთ მეორესთან არ არის თანასწორი. ერთი ავტონომია შეიძლება იყოს ძალიან ვრცელი, მეორე ძალიან შეზღუდულიო“ და სხვა („საქართველო“, 1917, № 93). ბ. გვაზავა არ სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ მის მიერ აღნიშნული „გან-

1) ამ თვალსაზრისით პირველობა მაინც სოციალ-დემოკრატებს რჩება: ესენი სრულიად სდუმან ამ ბოლო ხანებში სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის სამეცნიერო საკითხის შესახებ.

სხვაეება“ აჩსებითად ვერ ჩაითვლება. მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ: საიდან გამომდინარეობს თვით ეს შიში ბ. გვაზავასი, რომ აღმოჩნდება, მის გარდა, კადევ ისეთი ადამიანი, რომელსაც აზრათ მოუფლეს „განსხვაება“ აჩსებით განსხვაებულად ჩასთვალონ ავტონომიასა და ფედერატს. შუა?! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავდით, რომ სპეციალისტები სრულიად არ იხსენიებენ ბ. გვაზავას მიერ ყურადღებულ მოვლენას ზრამც თუ არსებნით, არამედ მეორე ხარისხიან მნიშვნელობის განსხვაებების როლშიაც კი. კიდევ უფრო საინტერესოა ამ უკანასკნელი გარემოების მიზეზის გამორკვევა: საქმე ის არის, რომ საზოგადოდ ასეთი „განსხვაება“ ფედერატისა და ავტონომიის მცნებათა შორის არ არსებობს და ბ. გვაზავას მხოლოდ მოლანდებია საკითხის არა სავსე ცოდნის გამო. განა ითქმის გერმანიის იმპერიის და კანადის ფედერატების შესახებ, რომ მათ თანასწორი უფლებები ჰქონდესთ მინიჭებული ფედერაციაში იმ დროს, როდესაც აქ უაღაყოფილოა პრინციპთ ფედერატების ფედერალურ ორგანოში ხმების თანასწორ რიცხვით აღჭურვისა? ან იქნება ფედერატების კომპეტენციების თანასწორობას იქ ფაქტი მოწმობდეს, რომ გერმანიაში ე. წ. საკუჭკუაფა უფლებები მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფო—წევრსა აქვს მინიჭებული!? ან იქნება ავტორი ფიქრობს, რომ ავსტრია უმაღლ ფედერაციად იქცეოდა, რომ იქ ფაქტიურად განებორციელებიათ ანსაფაუტური თანას-

წორობა ავტონომიური მიწების კომპეტენციებისა დაახლოვებით იმავე საზღვრებში, რაც მათთვის ეხლაა შემოხაზული?! თუმცა ესეც არის: — რა უფლება გვაქვს ჩვენ ამ შემთხვევაში დეცენტრალისტურ ერთეულების კომპეტენციების აბსოლუტურ თანასწორობას ვილაპარაკოთ, როდესაც ასეთ აბსოლუტური თანასწორობა, როგორც ვხედავდით, თვით ზოგიერთ ფედერაციაში არ არსებობს!? ან იქნება ბ. გვაზავა ამ შემთხვევაშიაც აპირებს თვის შეუღარებელ ფრაზის განმეორებას: „ეს ყოველთვის ასე არ არის, მაგრამ უფრო ხშირად ასე ხდებაო!“ მაშინ იძულებული გავხდებით მივაგზავნოთ ჩვენი პუბლიცისტი ლოდიკის რომელსამე ელემენტარულ სახელმძღვანელოსთან, სადაც ის შეიტყობს, რომ ორ მცნებას შორის „განსხვავებად“ ითვლება ლოდიკაში მხოლოდ ის ნიშანი, რომელიც რჩება ამ მცნებათა შორის განსხვავებად სწორედ „ყოველთვის“ და არ თუ მარტო... „უფრო ხშირად!“ ამ რიგად ბ. პუბლიცისტი კიდევ უფრო მიუახლოვდება სიმართლეს, თავიდანვე რომ გამოეცხადებინა, რომ მის მიერ წამოყენებული „განსხვავება“ არამც თუ „არსებითი“ არ არის, არამედ... საზოგადოდ არ არის „განსხვავება“...

თუ სპეციალისტები სრულიად არ იხსენიებენ ბ. გვაზავას მიერ აღმოჩენილ „განსხვავებას“, ეს უკანასკნელიც სამაგიეროს უხდის: ის თავის მხრით სრულიად იყრუებს თავს თვითორგანიზაციის, კომ-

პეტენც—კომპეტენციის, საკანონმდებლო უფლებამოსილების და სხვა საკითხების გამო, თითქოს ასეთები სულაც არ არსებობდენ და მეცნიერთა მთავარ ყურადღებას არ იპყრობდენ. გასაკვირვალიც არ არის მას შემდგომ, რაც ბ. გვაზავამ ავტონომიასა და ფედერატს შორის განსხვავებაში ვერავითარი არსებითი მხარეები ვერ იპოვა. მხოლოდღა „გენეტიურ“ და „ფიქსაციის“ თეორიების შესახებ მოეპოვება მას, როგორც ეტყობა, ბუნდოვანი ცნობები: ჩვენ უკვე ზემოთ გავეცანით (გვ. 42—43) მის ამ ორივე თეორიების უცნაურად შემადუღებელ ფორმულა-ლიგატურას. მაგრამ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე აქაც ბ. პუბლიცისტი ვერ ნახულობს რაიმე არსებითად მნიშვნელოვან მხარეს, და—რაც ყველაზე უფრო საინტერესოა—მას ორივე შემთხვევაში ეთანხმება მკაცრ, მაგრამ სამართლიან „კრიტიკოსის“ როლში, ბ. ლლონტი. ბ. ლლონტი იმასაც კი უდასტურებს ბ. გვაზავას, რომ ფედერატსა და ავტონომიას შორის უკანასკნელის მიერ აღნიშნული „განსხვავებანი“ მართლაც არსებობდენ და მხოლოდ ჰკიცხავს „იურისტს“ იმის გამო, რომ მას ნამდვილ არსებით განსხვავებისათვის ვერ მიუგვნია იმ დროს, როდესაც თვით კრიტიკოსისათვის, ბ. ლლონტისათვის, ეს სულ უბრალო საქმეა. ჩვენის მხრით, ჩვენ უკვე ზემოთ გამოვარკვიეთ, თუ რამდენად არსებითია ის „სპეციფიკა-დიფერენცია“, რომელსაც წარმოაყენებს თვით ბ. ლლონტი.

ბ. გვაზავას დაწუნებულ შეხედულებათა ნაცვლად.
ბ. ლლონტის რეცენზია მეტის მეტად მრისხანეა:
„საარაკო ბუნდოვანობა, შემდეგ საგნის შინაარსის
მიუწდომლობა და ყალბი დასკვნა—თი რა გამომდი-
ნარეობს ბ. გვაზავას აზრიდან. თუ ეს „იურისტზე“
ითქმის, ჩვეულებრივ მკითხველ ადამიანისათვის რაღა
უნდა ვსთქვათო. (გვ. 318). ვაი ასეთს „იურისტს“,
ვაი მის საარაკო „კრიტიკოსს“ და განსაკუთრებით
ვაი იმ „ჩვეულებრივ მკითხველ ადამიანს“, რომე-
ლიც იძულებულია მათ მიერ მოწვედნილ ინტელექ-
ტუალურ საზრდოდ იკვებოს, —დავსძენთ ჩვენ ჩვენის
მხრით.

ბ. ვ. წერეთელი თავის პატარა ბროშურაში
(„ავტონომია და ფედერაცია, — 1783 წ. ტრაქტატი,
ავტონომია და ფედერაცია“, ქუთაისი, წლის
ალუნიშნველად), როგორც ეტყობა, მიზნად ისა-
ხავდა გადმოცემის პოპულიარობის მიღწევას, და ეს
გვაიძულებს უფრო ღმობიერ მოთხოვნილებების
წარდგენას ბროშურის ენისა და თვით შინაარსი-
სადმი. მაგრამ, რაც ფინდპოპულიარობას ჩემულობა-
დეს წიგნი, არსებობს მაინც ენისა და შინაარსის
სისწორის მოთხოვნილებათა მინიმუმი, რომლის ათვა-
ლისწუნება უკვე ყოველად შეუწყნარებლადაა მიჩნე-
ული. ბ. წერეთლის ენა იმდენად თავისუფალია,
მისი განმარტებანი — იმდენად მოკლებული ლოლი-
კურ სისწორეს და იურიდიულ გარკვეულობას, რომ
ხშირად ამ მხრით თვით ბ. ლლონტის „დღევინიციებს“

ეჯიბრებიან. აი როგორ იწყებს ავტორი თავის წიგნაკს: „რა არის ავტონომია? ავტონომია თავისუფლებაა. სხვანაირად რომა ვსთქვათ, ავტონომია ის არის, როდესაც კაცი თავის საკუთარ საქმეს თავისუფლად თავის ნებით აკეთებს და აწესრიგებს და ბატონ-პატრონი არა ყავს. მაშ, ავტონომია-ბატონობის ძირიან-ფესვიანად ამოვარდნა და აღმოფხვრა“. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს სამეცნიერო ენის პოპულიზირებაა კი არა, მისი ვულგარიზაციაა. ბ. წერეთლის აზროვნება და ენა აქ ისეთი თართე ამპლიტუდით ირწევა, რომ ყოველ იურიდიულ საზღვრებს გადალახავს, და—მეტეც: რეალ მოვლოენის მაგიერ რატაც უტოპიის სურათს გვიშლის თვალი წინ. რაღა ბ. წერეთლის მიერ ავტონომიის საშუალებით „ბატონობის ძირიან—ფესვიანად აღმოფხვრა“ და რაღა ბ. ლლონტის მიერ ფედერალიზმის საშუალებით „ყველასი სრულქმნა!“ ბ. წერეთელი რომ თავის წინადადებას ცოტა უფრო დაუკვირდებოდეს, დაგვეთანხმება, რომ ის უფრო ანარქიის მდგომარეობას გვისურათებს, როგორც ეს უკანასკნელი წარმოდგენილი აქვთ უტოპისტ ანარქისტებს, —ვიდრე ავტონომიის სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს. თუ საქმის ასეთი მოულოდნელი მიტანილობა ავტორს აკრთობს, ჩვენ დავამშვიდებთ, რომ მას ანარქისტების ბანაკში შეგნებულად თავის ჩაწერას არ ვწამებთ, — მხოლოდ ასეთი სამწუხარო შედეგები მოსდევს იურიდიული ენის სასტიკი სისწორის ათვა-

ლისწუნებას და ფრაზების დაუფიქრებლად გადმოსროლას...

იგივე უზრუნველობა განმარტების ლოდიკურ და იურიდიულ უნაკლოობის მიმართ იჩენს თავს, მაგ., მე-6-7-ე გვერდზედაც, სადაც ავტორი ცდილობს გააცნოს მკითხველს, თუ რა არის პოლიტიკური ავტონომია: „წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს წარმომადგენელთა კრებას, ანუ პარლამენტს, ნება აქვს გამოსცეს საქართველოს საზღვართა ფარგალში სისხლის სასამართლოსი და სამოქალაქო კანონები, მოსჭრას ფული, დაადვას ბაჟები საქართველოში შემოსულ საქონელს, გამოსცეს კანონები: კრების, ბეჭდვის, სიტყვის, გაჯიცვის, ამხანაგობათა თავისუფლებისა, მუშათა, ქალთა და ბაშეთა მფარველობის და სხ., შეჭკრას სავაჭრო ხელშეკრულობანი უცხო სახელმწიფოებთან და ყავდეს კულტურულ—სოციალურისა და ეკონომიური საქმეების მოსაწესრიგებლად თავისი კონსულები უცხო სახელმწიფოებში. ეს იქნებოდა—საქართველოს პოლიტიკური ავტონომია“.

ამ წინადადებიდან მკითხველს არ შეუძლია გამოიყვანოს რამე სხვა დასკვნა, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს რომელიმე ნაწილის ავტონომიურად გამოცხადებისათვის საჭიროა მის პარლამენტს მინიჭებული ჰქონდეს კანონმდებლობის უფლება უსათუოდ ყველა იმ დარგში, რომელსაც ჩამოსთვლის ზემოთ ბ. წერეთელი, — ვინაიდან მკითხველი, უნდა

ვიფიქროთ, კარგად იცნობს ლოლიკის იმ დებულებას, რომლის თანახმად დეფინიციის დიფერენცია სფეციფიკას როლში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ საჭირო და მასთან საკმარისი ნიშნები. გამოდის ისე, თითქოს, თუ ადგილობრივ პარლამენტს აკლია, მაგ., „სისხლის სასამართლოსი და სამოქალაქო კანონების“ გამოცემის უფლება, ის ავტონომიას მოკლებული ყოფილა. სწორეთ ასეთი კომპეტენცია არ გააჩნიათ გერმანიის იმპერიის წევრებს და, მაშასადამე, ბ. წერეთლის ფორმულის თანახმად, ისინი სახელმწიფოებრივ ავტონომიებად ვერ გამოცხადდებიან! ან თუ, მაგ., ავსტრიის საიმპერიო მიწები მოკლებულნი არიან უფლებას „მოსკრან ფული, შეპკრან სავაჭრო ხელშეკრულებანი უცხო სახელმწიფოებთან და ჰყავდეთ კულტურულ სოციალურისა და ეკონომიურ საქმეების მოსაწესრიგებლად თავისი კონსულები უცხო სახელმწიფოებში“, — მარტო ამ ფაქტით თითქოს უარიყოფოდეს მათი პროვინციალური ავტონომიურობა და სხვა და სხვა!

ბ. წერეთლის წიგნაკით ამაოდ ეცდებით გამოირკვიოთ (პროვინციალურ) ავტონომიასა და ფედერატს შუა არსებული განსხვავება. 45-ე გვერდზე ის სწერს: „ფედერატიულ სახელმწიფოს ახასიათებს სხვათა შორის მცირეთა და დიდ შემადგენელ ავტონომიურ ნაწილთა თანასწორი წარმომადგენლობა ზედა პალატაშიო“. რომ ეგ პრინციპი უკვე გერმა-

ნის ფედერაციის მაგალითზე ირღვევა, ამას აღიარებს თვით ავტორი შემდეგ გვერდზე; და ეს არ უშლის მას დასახელებული პრინციპი ფედერაციისათვის მაინც „დამახასიათებლად“ ჩასთვალოს. ხოლო რომ ეს პრინციპი ირღვევა აგრეთვე კანადის დემოკრატიულ ფედერაციის მაგალითზედაც, — ამის შესახებ ბ. წერეთელი, ბ. გვაზავასავით, დიპლომატიურ დუმილს არჩევს...

ასეთია სურათი ქართული პუბლიცისტიკის თანამედროვე მდგომარეობისა. იქნება, ოდესმე შემთხვევა მოგვეცეს კიდევ რომელიმე სხვა საკითხის მაგალითზედაც დავანახვით მკითხველს შემზარავი მეცნიერული მოუმზადებლობა ჩვენი ე. წ. „ქვეყნის მასწავლებელთა“ — მაგრამ უკვე ეხლაც შეიძლება *a priori* ითქვას, რომ რაკი ისეთ საჭარბოროტო და საყოველთაოდ ყურადღებულ პრობლემის დარგში, როგორც სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის საკითხია, ასეთი უნუგეშო სურათი წარმოგვიდგება თვალთ წინ, ცოდნის სხვა დარგებშიაც საქმე, უთუოდ, ასევე ცუდად — თუ არ კიდევ უარესად — უნდა მდგომარეობდეს. იქნება, ვისმე ასეთი დაფასება მეტად მკაცრად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენი თანამედროვე პუბლიცისტები, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯერ თვითსამეცნიერო მსჯელობას შეუჩვეველნი არიან. ცნობები, რომელნიც მათ დაუგროვებიათ თავიანთი აჩქარებული თვითგანვითარების ხანაში, ქაოტიურად არეულდა-

რეულია მათს გონებაში და არათუ სისტემატიურად დალაგებული. ამიტომაც არის მათი აზროვნება მოკლებული სამეცნიერო დისციპლინას და თავშეკავებულობას; ამიტომაც არის რომ მცნებებს მკაფიო საზღვრები უსხლტებიან მათ გონებას, მოუზიდებლად გადალახავენ ერთმეორეს და ერთვიან ერთმანეთს ერთს აუწერელ გაურკვეველ ქაოსში; ამ მხრით მეტად საინტერესოა და დამახასიათებელი ზემო მოხსენებული ისტორია ბ. ლლონტის თხზულების სათაურისა: რიგით ამ წიგნის ადეკვატური სათაური იქნებოდა შემდეგი: „კრებული სტატიებისა ნაციონალურ საკითხში“. მაგრამ ბ. ლლონტი სათვის სრულიად ბუნდოვანია, თუ რა დამოკიდებულება არსებობს „ნაციონალურ საკითხის“ და „სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციის პრობლემის“ მცნებებს შორის, რომელია ამათში უფრო ფართო მოცულობის მცნება და სხვა. მაშინაც, როდესაც ბ. ლლონტი „ქარაველ ერის სტატისტიკის“ საკითხს ეხება, მაშინაც, როდესაც „ქართული ეკონომიკის მთლიანობას“ არკვევს და სხვა და სხვა, — ის სრულიად დარწმუნებულია, რომ ავტონომიის და დეცენტრალიზმის“ პრობლემის კერძო საკითხებს არჩევს და ამიტომაც გულუბრყვილოდ მთელს წიგნს ამ — მისის აზრით — საგვარო პრობლემის სახელწოდებით ასათაურებს იმ დროს, როდესაც წიგნში სახელმწიფოებრივ-უფლებრივი შინაარსის ფურცლები სანთლით საძებარია...

ჩვენი მიმოხილვის ბოლოში¹⁾ ჩვენ გვსურს გამოვსთქვათ მოსაზრება, რომ ასეთმა მდგომარეობამ შეუძლებელია დიდ ხანს გასტანოს, და ქართველ ერს უნდა შეუძუმწავდეს მისი წარსულის და მომავლის ღირსი მშობლიური მეცნიერება. ვინაიდან— უკვდავ პოეტის თქმის არ იყოს— „საქმე ძლიერობს მხოლოდ იქ, სადაც აზრი ძლიერია“ (შექსპირი, „მეფე ჯონ“, პირ. მოქმ., დასასრული).

¹⁾ შეგვიძლია აქ მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა კიდევ: 1. აღ. წერეთლის სასარგებლო წიგნაკი „ავსტრალიის ფედერაცია (მისი წარმოშობა და განხორციელება)“ ქუთაისი, 1917 და 2. ჩვენი თანამემამულას, სოციალისტ რევოლუციონერთა პარტიის ლიდერთაგანის В. П. Гончаря-ს რუსული ბროშურა: „Автономія, федерація и грузинскій вопросъ“ (წლის აღუნიშნველად); ეს უკანასკნელი წიგნაკი ყოველ კრიტიკაზე დაბლა სდგას.

შ ე ც დ რ მ ე ბ ი:

დაბეჭდილია:

უნდა იყოს:

გვ. 12,	სტრიქ. 12	ქვ. ბაურ-გერშაფტს	ბაურგერშაფტს
„ 16	„	2 ზემ. წიგნის	თხზულებების
„ 50	„	5—4 ქვ. გადაშლილ	გადაშლილი
„ 66	„	6—5 ურთიერთობის	ურთიერთობის,
„ 87	„	12 ზემ. მე-გვ.	მე-58 გვ.
„ 97	„	6 ქვ. იქ	ის

ქუთაისი. თ. ა. მთავრიშვილისა და
 მაღაზიის საკუთარი გამოცემა

32
 5 731

- 1) ნ. ჩიკოლაძე. მამულის სიყვარული და
- 2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე
- 3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი პირველდაწყებითი
 შკოლებისტვის, იბეჭდება
- 4) იაკობ ხუცესი. წამება წმიდისა შუშანიკისი. ტექ-
 სტი, შენიშვნები და ვარიანტები ს. რ. გორ-
 გაძის რედაქტორობით 1 მ. " "
- 5) ს. ყიფიანი. შაქარას ნამბობი 3 " "
- 6) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, ნ. 1, ისტო-
 რიული ქარტით, მეორე გამოცემა. გაიყიდა. 50 " "
- 7) ს. გორგაძე. კაზმულსიტყვიერებითი ქრისტომატია
 ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, იბეჭდება.
- 8) ს. დათეშიძე. სახატავი ნიმუშები და ქართული დე-
 დანი 30 კ.
- 9) ს. მატაყული. შურისძიება, თარგ. ტარ. მამალაძისა 5 " "
- 10) ს. რ. გორგაძე. ქართული მართლწერა. 40 " "
- 11) უ. კ—ი ხელთა ანუ სააღდგომო ქორონიკონი 15
- 12) ვაჟ. წერეთელი. ქართული სამეცნიერო და საფი-
 ლოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარ-
 გმანის მიხედვით 30 " "
- 13) დ. უზნაძე. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანე-
 ლო. ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი
 კულტურა. მეორე გამოცემა, ყვით 2 მ. 40 " "
- 14) ია ეკალაძე. მოთხრობები, წიგნი I. 50 " "
- 15) ს. რ. გორგაძე ჩვენი ახალი მწერლობა, ყვით 4 მ. " "
- 16) ტ. მამალაძე. სამ შობლო სურათები. ფრინველებზე
 უთოფოთ ნადირობა. 25 " "
- 17) ი. გომელაური. მოსწავლის პიგიენა, ნათარგმნი 20 " "
- 18) ზაალიშვილი. მოკლე სახელმძღვანელო ბუნების
 მეტყველებისა. არაორგანიული ბუნება 2 " 60 " "
- 19) მისივე. ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია 1 " 50 " "
- 20) ერობა კავკასიაში დ. ნაზაროვისა. ფასი. 65 " "
- 21) ნ. ჯირჯიკია. სახელმწიფოებრივი დეცენტრა-
 ციალიზა. (ავტინოზია და ფედერაცია) 2 მ. —
 აქვე იყიდება ახლად დაარსებული ამხანაგობის
 "განათლების" ყველა გამოცემანი.